# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 11 დეკემბერი 2006 №286 (2908) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპის ქიუდოს ქართული თავი ხაბარელი საუკეთესოა



## აი ია და აიაქსი
### შოთამ სკოლა გახსნა და ორმოცდაათი დაახურა



## დიდი ფეხბურთის ხლართები
### თამაშობს ორი, იგებს მესამე



ლევან კობიაშვილის „შალკემ“ უპრინციპულესი მეტოქე იოლად ჩამოიცილა

გუშინდელი საღამო ნაღდად იყო დიდი ფეხბურთისა, რაკილა დიდი გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. თვალსასეირო თამაშებიც გამოვიდა და ცხრილებიც საინტერესოდ ჩაიხლართა.

ლევან კობიაშვილის „შალკემ“ რურულ დერბიში სამი გოლით დაცხრილა „დორტმუნდი“ და ისევ გაუსწორდა ლიდერ „ვერდერს“. რომაულ დერბიში „ლაციომ“ „რომა“ შეიწირა და თავის ქომაგთან ერთად „ინტერიც“ გაახარა, რაკი „შავ-ლურჯები“ უკვე 7 ქულით გაიჭრნენ წინ და ეს ცოტა სულაც არ არის.

და „მანჩესტერის“ რვაქულიანი ლიდერობა? ეს ამბავი ლონდონურ დერბიში გამოიჭედა, სადაც „ჩელსიმ“ ძელები კი დაუხეთქა „არსენალს“, მაგრამ ოდენ ქულას გამორჩა. არადა, ამ თამაშს „მეთოფენი“ იგებდნენ და „ჩელსიმ“ გაათანაბრა ბოლო წუთებზე, მაგრამ ის ბოლო წუთები ისეთი იყო, გადარჩენილი „არსენალს“ ეთქმის.



ლაციო — რომა 3:0. რომაული დერბის პირველი გოლი კრისტიან ლედესმამ შორეული გასროლით გაიტანა

AFP რომიდან



ჩელსი — არსენალი 1:1. ლონდონელთა შეხლაში მოგებული „მანჩესტერი“ დარჩა

AFP ლონდონიდან

# 50-ე ამსტერდამ არენაზე
## გოლი და პუბლიკის პატივისცემა

გუშინ ჰოლანდიის ჩემპიონატში ალკმაარელი შოთა არველაძე თავის ყოფილ გუნდს, ამსტერდამის „აიაქსს“ სტუმრად დაუპირისპირდა და გოლიც გაუტანა — შეხვედრა 2:2 დასრულდა, შოთამ „ალკმაარიდან“ პირველი გოლი გაიტანა, 51-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა...

შოთა წინა სეზონშიც გამოირჩა „აიაქსთან“ — ალკმაარელებმა ამსტერდამელებს შინ 4:2 მოუგეს და არველაძემ დუბლი შეასრულა: მოკლედ, შოთამ გუშინ მესამე გოლი გაუტანა „აიაქსს“, ხოლო მიმდინარე ერედივიზიონში ეს მისი მეათე ბურთი იყო...

„ალკმაარამდე“ არველაძემ ოთხი სეზონი ითამაშა „აიაქსში“ და გუშინ მან 50-ე გოლი შეაგდო „აიაქსის“ სტადიონ „ამსტერდამ არენაზე“...

# არველაძემ ბავშვები ქართულ სკოლაში გაუშვა

— გუშინ ერთობ მნიშვნელოვანი გოლი გაიტანე, მაგრამ თითქოს ფლეგმატურად ჩაიარა ამან შენთვის...

— პატივი ვეცი იმ გუნდის პუბლიკას, სადაც ოთხი წელი ვითამაშე. გოლი ძალიან გამიხარდა, უბრალოდ, ის ისე არ აღვნიშნე, როგორც სხვა გუნდების კარში გატანილი გოლები.

— გოლიდან რამდენიმე წუთში იყო ეპიზოდი, როცა ერთი და იგივე მეტოქე სამჯერ მოატყუე — ამით კიდევ უფრო გსურდა თავის მოწონება „ამსტერდამ არენას“ პუბლიკისთვის?

— არა, ეს არაფერ შუაშია. უბრალოდ, იმ მომენტში ასე მოხდა ყველაფერი.

— „აიაქსის“ გულშემატკივრები როგორ შეგხვდნენ?

— ეს ჩემი 50-ე გოლი იყო „ამსტერდამ არენაზე“. აიაქსელი გულშემატკივრები კი თამაშის შემდეგ ჩემს სახელს ყვიროდნენ.

— გუშინდელი შედეგით ალბათ უკმაყოფილი არ ხართ — ფრე ხომ უფრო „ალკმაარს“ აძლევდა ხელს, ვიდრე „აიაქსს“ — ამსტერდამელებს ხომ ისევ ქულით უსწრებთ.:

— ამ ფრით პირველ რიგში პსვ-მ გაიკეთა საქმე — ეინდჰოვენელები ახლა უკვე შვიდი ქულით გვისწრებენ და მათი დაწევა კიდევ უფრო გაძნელდება მიუხედავად იმისა, რომ მთელი მეორე წრე წინაა.

— ამსტერდამის „აიაქსის“ მიმართ კი ნოსტალგიური მომენტები შოთა არველაძისთვის არცთუ მკრთალია...

— იმის მიმართ, სადაც ბედნიერი იყავი, ნოსტალგია ყოველთვის არის — „აიაქსის“ სახელს და ისტორიას თავი რომ დავანებოთ, ამ გუნდთან ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს. შედიხარ „აიაქსის“ გასახდელში და შენს სურათს ხედავ, ყველა გცნობს, ყველა თბილად გეპყრობა...

— პსვ დაახლოებით „ალკმაარის“ და „აიაქსის“ სიძლიერის გუნდია თუ მნიშვნელოვნად აღემატება მათ?

— სეზონის დაწყების წინ „ალკმაარიდან“ რვა ფეხბურთელი წავიდა-მოვიდა, ბევრი ფეხბურთელი წავიდა „აიაქსიდანაც“, ხოლო პსვ მხოლოდ ერთმა მოთამაშემ დატოვა, თანაც ისეთმა, ძირითადში ხშირად რომ ვერ ხვდებოდა. ერთი სიტყვით, პსვ ჩვენთან შედარებით უფრო სტაბილური გუნდია, მისი ფეხბურთელები ხუთი-ექვსი წელია, ერთად თამაშობენ.

— შევიტყვეთ, რომ ამსტერდამში გოლის გარდა სხვა რამითაც გამოგიჩენია თავი...

— მე და ჩემმა მეგობრებმა პირველი ქართული სკოლა გავხსენით ჰოლანდიაში, სადაც ქართველი ბავშვები შაბათ-კვირას ივლიან. სკოლაში ჯერ მხოლოდ ოცდახუთამდე ბავშვი დადის, რომლებიც რელიგიის ისტორიასაც სწავლობენ — წიგნები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმაც გამოგვიგზავნა.

**დავით თავართქილაძე**




ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან კობიაშვილმა (მარცხნივ) და შალკელებმა „დორტმუნდი“ დასცეს

# შოთაათიანი!
## ქართველების დაცვა ტრავმირებულია

**ისევ** შოთა, ისევ გოლი! ქართველმა ბომბარდირმა მიმდინარე ერედივიზიონში მეათე ბურთი შეაგდო და თანაც, ძალიან ფასეული. არველაძის „ალკმაარმა“ სტუმრად 2:2 ითამაშა ამსტერდამის „აიაქსთან“, ჩვენიანმა 90 წუთი დაყო მინდორზე და მეორე ტაიმის დასაწყისში 1:1 გახადა ანგარიში — **შოთა არველაძემ** მარცხენა ფლანგიდან მიღებულ ბურთს ცაციათი მიუჩინა კარში ადგილი.

ამ ფრით „ალკმაარი“ მეორე ადგილზე დარჩა.

ჰოლანდიაშივე კვლავ იუქმა **გოგა გახოკიძემ**, მისი „ტვენტე“ კი მშვენიერ ფორმაშია და ამჯერადაც მოიგო — 3:1 „ტილბურგთან“.

გერმანულ ბუნდესლიგაში, რურულ დერბიში **ლევან კობიაშვილის** „შალკემ“ 3:1 მოუგო „დორტმუნდს“. კობიმ სრულად ითამაშა, თუმც საგოლე კომბინაციებში მონაწილეობა არ მიუღია.

მეორე ბუნდესლიგაში **დავით სირაძის** აუემ მიჯრით მეექვსე მატჩი მოიგო („კობლენცთან“ 4:1), ოღონდ ქართველ თავდამსხმელს დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია. აუე კი ნელ-ნელა მიიწევს ბუნდესლიგისკენ.

რაც შეეხება ალექსანდრე იაშვილისა და **ოთარ ხიზანეიშვილის** „ფრაიბურგს“, დღეს აქვს მატჩი „კარლსრუესთან“.

ლიდერ „ჰანზასთან“ სათამაშოდ ჩასულმა „მიუნხენ 1860“-მა ქულა მოიპოვა — „ლომებმა“ 1:1 ითამაშეს და მათე ღვინიანიძე შეუცვლელად გაისარჯა.

იტალიაში „მილანის“ ცოდვა ტრიალებს — „როსონერიმ“ შინ 0:0 ითამაშა „ტორინოსთან“... რაც შეეხება **კახა კალაძეს**, იგი მინდორზე არ გამოჩენილა და არც სათადარიგოებში გახლდათ: საქართველოს ნაკრების კაპიტანს მიკროტრავმა აწუხებს.

ასევე მცირე ტრავმის გამო გამოტოვა შეხვედრა **ზურაბ ხიზანიშვილმა**. მისი „ბლექბერნი“ კი გასული სეზონის დარად ვერ ყოჩაღობს და ძალიან არასტაბილურია — „ხიზანას“ გუნდმა შინ „ნიუკასლთან“ 1:3 დათმო.

**ილია ნანოგაშვილი**

# ბაქო მოსკოვისთვის მუჯირითაც ბაქიბუქობს

**აზერბაიჯანის** ჩემპიონ „ბაკუში“ ალექსანდრე გოგობერიშვილისა და გიორგი მეგრელაძის გარდა კიდევ ერთი ქართველი ითამაშებს — ამ უქმეებზე 32 წლის ამირან მუჯირმა „ბაკუსთან“ კონტრაქტი გააფორმა.



ამ ცოტა ხნის წინ აზერბაიჯანულ პრესაში ვარაუდი გამოითქვა, მეგრელაძეს „ბაკუდან“ გაუშვებენო, მაგრამ ასე არ მოხდა — აზერბაიჯანის ჩემპიონატში პირველი წრე დასრულდა, გუნდი შვებულებაშია, ხოლო მეგრელაძე „ბაკუდან“ არ გაუშვიათ.

„ბაკუ“ აზერბაიჯანის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზეა და ამ მომენტისთვის გუნდის უმთავრესი ამოცანაა, მოსკოვში გასამართი „თანამეგობრობის თასისთვის“ რიგიანად მოემზადოს.

**ნიკა ჯორჯაძე**

# ადამიამ წრე გოლით შეკრა

**გიორგი ადამიამ** მორიგი ულამაზესი გოლი გაიტანა, თუმც ადრინდელთაგან განსხვავებით, ამ გოლმა ოდენ ანგარიში „შეალამაზა“ — ბაქოს „ნეფთჩიმ“ სტუმრად 1:2 დათმო „თურანთან“.

აზერბაიჯანელმა კი ჟურნალისტებმა ადამია ბაქოელთაგან საუკეთესოდ დაასახელეს.

ამ წაგებით „ნეფთჩიმ“ მეორე ადგილზე გასვლის შანსი დაკარგა და პირველი წრე ოდენ მეოთხეზე ჩაამთავრა.

**კახა შალამბერიძე**

ესეც ასე, ჩემპიონატში პირველი წრე დასრულდა, სატრანსფერო ფანჯარაც გაიღო და პირველი გარიგებაც გაიჩარხა. 28 წლის საყრდენი ნახევარმცველი **მიხეილ მესხი** მომდევნო ორ წელიწადს თბილისის „ამერში" ითამაშებს.

მესხი „ამერში" საჩხერის „ჩიხურადან" გადავიდა. იქამდე კი „დინამოში", „მერანში", „თბილისსა" და „ბორჯომში" უთამაშია. ეს ტრანსფერი უფრო ადრეც შეიძლებოდა განხორციელებულიყო, მაგრამ ფეხბურთელისა და კლუბის ინტერესები მხოლოდ ახლა დაემთხვა ერთმანეთს...



# დეკემბრის მერცხალი

## მიხეილ მესხს წასულიც უნახავს და წამოსულიც

— „ჩიხურასთან" კონტრაქტი დამიმთავრდა და „ამერიდანაც" მაშინვე დამიკავშირდნენ. ამ გუნდში თამაშის საწინააღმდეგო, აბა, რა მექნებოდა, როცა ადრე თავადაც მსურდა „ამერში" გადასვლა, ახლა კი ორმხრივი სურვილი იყო. ვიცი ამ გუნდის შესაძლებლობები, ვიცი, როგორ პროფესიულად უდგება კლუბის ხელმძღვანელობა თავის საქმეს. „ამერთან" ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და მიმაჩნია, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი. ეს ის გუნდია, სადაც ჩემი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის საშუალება მექნება — გვითხრა კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მიხეილ მესხმა — „ამერში" ჩემი ბევრი მეგობარი თამაშობს და გუნდთან შეგუება არ უნდა გამიჭირდეს.

— **მეგობრები კარგია, მაგრამ „ამერში" ძლიერი კონკურენტიც დაგხვდება...**

— დენის დობროვოლსკი საქართველოს ჩემპიონატში მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველია. თუმცა კონკურენცია არ მაშინებს. ზოგადად, ისეთი გუნდისა რა ვთქვი, სადაც კონკურენცია არ არის და თერთმეტ ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს. მიმაჩნია, გუნდში რაც მეტი ფეხბურთელია, ეს თავად ფეხბურთელისთვის არის კარგი, ასე უფრო გაიზრდები და არ იზარმაცებ. თუ მზადებას თუნდაც ოდნავ რამეს დააკლებ, არავინ გათამაშებს. სათადარიგოობა კი, აბა, რომელ ფეხბურთელს სურს?! როცა დიდი კონკურენციაა, მწვრთნელსაც მეტი არჩევანი აქვს და ეს მას საქმეს უიოლებს, კონკრეტული მატჩისთვის საუკეთესო შემადგენლობის დაყენების მეტი საშუალება აქვს.

— **ისე, შენი გვარ-სახელის ფეხბურთელისთვის საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია ცოტა უცნაურია...**

— სხვათა შორის, თამაში სწორედ მიხეილ მესხის „ავაზაში" დავიწყე და, როგორც ყველა ბავშვს, თავდასხმაში თამაში და გოლების გატანა მსურდა. საყრდენად კი მოგვიანებით, 16 და 18-წლამდელთა ნაკრებებში ვითამაშე და მას შემდეგ ამ პოზიციაზე ვთამაშობ, თუმცა იყო პერიოდი, როცა მცველიც ვიყავი.

— **შენს სათამაშო პლუს-მინუსებზე რას იტყვი?**

— ვერაფერს, საკუთარ თავზე ვერ ვილაპარაკებ, ეს სხვათა საქმეა. ისე კი, მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები, ბრძოლა მიყვარს და ამას არ ვერიდები.

— **დობროვოლსკის გარდა საქართველოში შენი ამპლუის რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევ?**

— ლაშა ნოზაძესა და დავით დიღმელაშვილს...

— **უკვე დიდი ხანია, ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობ. როგორ ატყობ, ჩემპიონატის დონე იზრდება?**

— არ ვეთანხმები ხალხის იმ კატეგორიას, რომელიც დღედაღამე ამბობს, ჩემპიონატის დონე იკლებსო. მიმაჩნია, რომ საქართველოს ჩემპიონატი ძალიან საინტერესო და დაძაბულია, ყოველ ტურში არის ერთი-ორი გამორჩეული და სანახაობრივი მატჩი. ადრე ევროტურნირებზე ქართული გუნდები დიდი და სამარცხვინო ანგარიშებით აგებდნენ, ამ ბოლო დროს კი... თუნდაც იგივე „ამერი" ნახეთ, რომელიც ბუნდესლიგის „ჰერტას" ტოლსწორად ეთამაშა და ერთად-ერთი, ისიც ბოლო წუთზე გაშვებული გოლით დამარცხდა. „ვიტ ჯორჯიამ" სლოვაკური „არტმედია" დაამარცხა, ბოლნისის „სიონიც" ღირსეულად დაუდგა ბულგარულ „ლევსკის".

— **უცხოეთში წასვლაზე არ გიფიქრია?**

— როგორ არ მიფიქრია, ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, უფრო ძლიერ და მაღალი დონის გუნდში ითამაშოს, მაგრამ არ მსურს, უცხოეთში წავიდე და მეორე-მესამე ლიგის გუნდში ვითამაშო. სხვათა შორის, ბევრი ფეხბურთელი მინახავს, უთქვამს, საქართველოს ჩემპიონატი ძალიან დაბალი დონისააო, წასულა უცხოეთში, უკან მობრუნებულს კი ჩვენი გუნდების მოთხოვნებიც ველარ დაუკმაყოფილებია. მესმის, რომ საქართველოს ჩემპიონატი არც რუსეთის დონეზეა და, მით უმეტეს, არც ბუნდესლიგაა; თუმცა თუ ფეხბურთის თამაში გინდა, აქაც მოუმატებ და გაიზრდები.

— **ჩემპიონატის მეორე წრისგან რას ელი?**

— კიდევ უფრო საინტერესო და უშელავათო მატჩებს. სატურნირო ვითარება ხომ ისედაც დაძაბულია და გაზაფხულიდან ჩვენს ჩემპიონატს მეტი ეშხი შეემატება. ხუთ-ექვს გუნდს აქვს ჩემპიონობის თანაბარი შანსი და ახლა ძალიან ბევრი მოსამზადებელ პერიოდზე იქნება დამოკიდებული. ზამთარში ვინც უკეთ მოემზადება, მისი საჩემპიონო შანსიც ერთი-ორად გაიზრდება.

— **საჩემპიონო ბრძოლაში შენი ახალი გუნდის უმთავრეს კონკურენტად რომელი გუნდი მიგაჩნია?**

— რომელი ერთი ვთქვა... „ოლიმპი", „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია", „დინამო", მეორე წრიდან ალბათ „სიონიც" მოუმატებს. მოკლედ, ინტრიგა და თვალსასეირო მატჩები საქართველოს ჩემპიონატს არ მოაკლდება და იმედი მაქვს, ამ ბრძოლაში „ამერი" გაიმარჯვებს.

**ქობა ინასარიძე**

# ამერი — დიდავა: ერთად კიდევ წელიწადნახევარი

**გივი დიდავამ** თბილისის „ამერთან" კონტრაქტი გააგრძელა. მოლაპარაკება დიდხანს არ გაგრძელებულა, გუშინ კლუბის ხელმძღვანელობა და ფეხბურთელი სამომავლო პირობებზე საბოლოოდ შეთანხმდნენ და წელიწადნახევრიანი ახალი ხელშეკრულებაც გაფორმდა.

გივი დიდავა, ვინც „ამერამდე" თურქეთში თამაშობდა, თბილისურ კლუბს ამ სეზონის დასაწყისში შეუერთდა. ძველი კონტრაქტი კი მას ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ დაუმთავრდა...

— უცხოური გუნდებისგან წინადადებები მქონდა, მაგრამ როცა „ამერმა" კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზა, დიდხანს არც მიფიქრია და დავთანხმდი. შინ ვიქნები, ოჯახში, თანაც შვილი უკვე სასკოლო ასაკშია და არც თავად ვარ ძალიან ახალგაზრდა. გუნდსაც კარგად შევეწყვე და იმედი მაქვს, „ამერთან" ერთად კიდევ ბევრ ტიტულს მოვიგებ — გვითხრა გუშინ გივიმ.

ჯერჯერობით ბოლო ტიტული კი დიდავამ ამას წინათ სწორედ „ამერთან" ერთად მოიგო — „ფოლკსვაგენის თასი", რომელსაც აქამდე სუპერთასი ერქვა და დიდავას სამჯერ მოეპოვებინა.



გივი დიდავა საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია, თურქეთის გარდა მას ისრაელში, ბელგიასა და ლიტვაში უთამაშია, ქვეყნის ნაკრებში კი 21 მატჩი ჩაუტარებია.

**ქობა ინასარიძე**

# საჩხერემ პირველი წრე ჩიხურას გაატანა

## ბანკი ქართუ და სტადიონი: კულუარები ზემო იმერეთში

**საჩხერის** „ჩიხურამ" პირველი წრე მეთერთმეტე ადგილზე ჩაამთავრა, რითაც ბევრი გააკვირვა. სეზონის დასაწყისში იმერული გუნდისგან გაცილებით მეტს ელოდნენ.

როგორც ჩანს, საჩხერელებმა ამბიციები სამეორეწრეოდ გადადეს — „ჩიხურა" რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებას გეგმავს.

კულუარული ინფორმაციით, საჩხერულ კლუბს ბანკი „ქართუ" დააფინანსებს, იმერლები სტადიონის აშენებასაც აპირებენ და წესით, მშენებლობა თებერვალში უნდა დაიწყოს...

ახლა „ჩიხურა" შვებულებაშია, გუნდი, სავარაუდოდ, ერთ კვირაში შეიკრიბება და ვარჯიშს თბილისში დაიწყებს.

სანამ „ჩიხურა" ფინანსურ მომძლავრებაზე ფიქრობს, გუნდი უკვე დატოვეს მიხეილ კაკალაძემ და მიხეილ მესხმა. მესხი კლუბს ოფიციალურად გამოეთხოვა, კაკალაძე კი ზემოიმერლებს თბილისის „დინამოსგან" ჰყავდათ ნათხოვარი და იმედოვნებენ, რომ „დინამოსთან" შეთანხმების შემდეგ კაკალაძე სეზონს სწორედ „ჩიხურაში" ჩაამთავრებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



საჩხერელებს მიხეილ კაკალაძის დაბრუნების იმედი აქვთ



# გინდ მცველი და გინდ ნახევარმცველი

## ლაშა ნოზაძე: სადაც დინამოს დავჭირდები

რამდენიმე წელია, ლაშა ნოზაძე საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია — თავის დროზე „ვიტ ჯორჯიას“, მერე კი „დინამოსაც“ კაპიტნობდა და ნახევარდაცვაში, როგორც ჩამშლელის, ასევე ორგანიზატორის ფუნქციების შესრულება თანაბრად შეუძლია. პირველი წრის ბოლო მატჩებში კი დუშან უჰრინმა ნოზაძე მარჯვენა მცველად დააყენა...



— არანაირ დისკომფორტს არ განვიცდი მარჯვენა ფრთაზე, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობის შემდეგ დაცვაში არ მითამაშია.

**— ეს დუშან უჰრინის ექსპერიმენტი იყო თუ?**

— არ ვიცი... ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. ფეხბურთელი პროფესიონალი უნდა იყოს და გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს.

**— ზაფხულში „დინამომ“ ტრანსფერზე დაგაყენა და ორი თვე უთამაშებელი დარჩი. ამან ალბათ ფორმიდანაც ამოგაგდო...**

— არ ვთამაშობდი, მაგრამ გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი — ფორმიდან ამოვარდნის უფლებას არ მივცემდი ჩემს თავს. ეგაა, ბოლო მატჩში „ჩიხურასთან“ ფეხი ვიტკინე და ახლა ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, მაგრამ ეს არაფერია, დღე-დღეზე მწყობრში ვიქნები.

**— ზაფხულში უცხოეთში აპირებდი წასვლას და იყავი კიდეც ისრაელის კლუბში. კიდევ ცდი ბედს თუ „დინამოში“ რჩები?**

— „დინამოში“ ვრჩები — კიდევ ორი წლით მაქვს კონტრაქტი.

**— „დინამო“ არცთუ დიდი სხვაობით ჩამორჩება ჩემპიონატის ლიდერს და როგორ ატყობ, შეძლებთ ჩემპიონობისთვის ბრძოლას?**

— რა თქმა უნდა. „დინამო“ ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის იბრძოდა და ახლაც ასე იქნება. კონკურენტებიდან კი ვერც ერთს ვერ გამოვარჩევ — ცხრილში ვინც ჩვენს ზემოთაა, ყველა კარგი გუნდია და მეტ-ნაკლებად თანაბარი დონისანი არიან.

**ილია ნანობაშვილი**

# კარგი ბიჭების სამაისო შანსი

## ტოპმიოლერმა შეგირდებს მადლობა გამოატანა

5 და 7 დეკემბერს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა მალტელ თანატოლებთან.
კუნძულელებთან მატჩები ჩვენებისთვის წარმატებული გამოდგა — ქართველებმა ორ მატჩში ხუთი უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს. ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა, „ამერის“ თავდამსხმელმა რატი წინამძღვრიშვილმა ორივე მატჩში შეძლო გოლის გატანა და ერთი საგოლე პასითაც გამოირჩა...

— ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. ორივე შეხვედრაში თითო გოლი გავიტანე. გარდა ამისა, კიდევ მქონდა მომენტები, მაგრამ მეკარემ ამილო.

**— მთლიანად გუნდმა როგორ ითამაშა?**

— ორივე მატჩში ვფლობდით უპირატესობას, მეტოქეს აშკარად ვჯობდით. შეკრული გუნდი ვართ და მჯერა, თანდათან უფრო მოვუმატებთ.

**— ნაკრებში რამდენიმე ახალწვეულიც იყო. მათზე რისი თქმა შეგიძლია?**

— ძალიან კარგად ითამაშა ლევან მჭედლიძემ, ერთ-ერთი გამორჩეული იყო. პირველი თამაში გამოტოვა ლევან ყენიამ, მაგრამ მეორეში დამაჯერებლად ითამაშა და გოლიც მისი პასით შევაგდე.

**— ჰაინც ტომპიოლერი ამ მატჩებით კმაყოფილი დარჩა?**

— დეტალურად არ დაგვლაპარაკებია. მადლობა გადაგვიხადა და შეგვაქო, კარგი ბიჭები ხართო.

**— მაისში ელიტ-რაუნდში ითამაშებთ. რა შანსები გაქვთ შოტლანდიასთან, პორტუგალიასთან და თურქეთთან?**

— ეს ფეხბურთია და შანსი ყველას აქვს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენც. ვეცდებით, ეს გამოვიყენოთ და წარმატებას მივაღწიოთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სამი ტუზის ჯოკერი

## ტორპედოს ახალი პატრონი ჰყავს?



რევაზ ძოძუაშვილი

**ქუთაისის** „ტორპედოს“ ახალი მეპატრონე ჰყავს — კულუარული ინფორმაციით, „ტორპედო“ კომპანია „სამი ტუზის“ საკუთრება გახდა. როგორ გაფორმდა ეს ყველაფერი მაშინ, როცა იმერული კლუბის პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძე დაჭერილია, ჯერჯერობით უცნობია. დეტალების დაზუსტება თავად კომპანიის ხელმძღვანელ ზაურ კვიკვინიასთან ვცადეთ, მაგრამ მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. მიახლოებითი პასუხი „ტორპედოს“ მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე რევაზ ძოძუაშვილმა გაგვცა...

„პირადად მეც იგივე ვიცი, რაც თქვენ. გავიგე, რომ „სამი ტუზი“ „ტორპედოს“ მეპატრონე გახდა. დეტალები ჩემთვისაც უცნობია, ამომწურავ პასუხს, ალბათ, „სამი ტუზის“ ხელმძღვანელობა გაგცემთ“ — გვითხრა ძოძუაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ „სამი ტუზი“ „ტორპედოს“ კარგა ხანი სპონსორობდა. კომპანის ხელმძღვანელობამ კლუბი არც ხურციძის დაპატიმრების შემდეგ მიატოვა, თუმც ბოლო თვეებში დაფინანსება შეწყვიტა. შევიტყვეთ ისიც, რომ „სამი ტუზი“ და პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში აკაკი ბობოხიძე ერთმანეთს შეხვდნენ და რაღაცაზე შეთანხმდნენ.

მოკლედ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კოლხეთი ფოთელებს კარს უღებს

## უმაღლესი ლიგა რეგიონულ ლიგაში



წლეულს ისე მოხდა, უფულობის გამო ფოთის „კოლხეთი“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა და საერთოდ, არსებობა შეწყვიტა. ...მაგრამ სამიოდ კვირის წინაც დავწერეთ, რომ ფოთში ფეხბურთი ისევ გაცოცხლდა — გუნდს ბიზნესმენი თემურ ბარქაია პატრონობს და რეგიონალლიგაში მოთამაშე კლუბს ისეთი პირობები აქვს, ბარე ორ უმაღლესლიგელს შეშურდება...

— პირველი წრის შემდეგ მესამე ადგილზე ვართ, „ხობს“ რვა ქულით, „მგლები 2“-ს კი შვიდი ქულით ჩამოვრჩებით. მიუხედავად ამისა, პირველ ლიგაში გადასვლას ვგეგმავთ.

**— შემადგენლობის გაძლიერებას არ აპირებთ?**

— უკვე მიდის მოლაპარაკებები გამოცდილ ფეხბურთელებთან — „კოლხეთს“ ოთხი-ხუთი მოთამაშე სჭირდება. მინდა ვთქვა, რომ ყველა ფოთელი ფეხბურთელისთვის „კოლხეთის“ კარი ღიაა.

**— როგორც ვიცით, ადრე უცხოელ ინვესტორზეც იყო ლაპარაკი...**

— უცხოური კომპანია მართლაც დაინტერესებულია, მაგრამ საამისოდ გუნდი, სულ მცირე, პირველ ლიგაში უნდა იყოს და იქაც ლიდერის პოზიციაზე. არც იმის იმედი დამიკარგავს, რომ ფოთელები ფეხბურთისკენ გამოიხედავენ — ქალაქში არცთუ ცოტა ბიზნესმენია...

**— შეკრებას სად გაივლის „კოლხეთი“?**

— გრიგოლეთში ან ურეკში.

**— ალბათ ის შემთხვევაც გათვალისწინებული გაქვთ, წლეულსვე თუ ვერ გადახვედით პირველ ლიგაში...**

— ამის გაფიქრებაც არ გვინდა. „კოლხეთი“ მეორე წრეში გაცილებით ძლიერი იქნება შემადგენლობით. საერთოდ კი, პირველი წრით ნაღდად უკმაყოფილო არ ვარ: ათი დღის შეკრებილი ბიჭებით მესამეზე ვართ.

**ილია ნანობაშვილი**

# ევროპის აბსოლუტური ჩემპიონატი
## ნოვი სადი. სერბეთი. 8-9 დეკემბერი

# ხაბარელის აბსოლუტური ფინიში
## ოქრუაშვილმა ბრინჯაო იკმარა



შოთა ხაბარელი 2006 წლის ევროპული ძიუდოს საუკეთესო მწვრთნელია

**ძიუდოს** საერთაშორისო სეზონი ამ უქმეებზე სერბიულ ნოვი სადში დაიხურა. ტატამზე ევროპის აბსოლუტური ჩემპიონობისთვის მებრძოლი 28 მძიმეწონოსანი გავიდა. თითოეულ ქვეყანას სამი ძიუდოისტის გამოყვანა შეეძლო და ძლიერმა ნაკრებებმა ეს უფლება მაქსიმალურად გამოიყენეს. საქართველოს ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმაც სამეული იახლა სერბეთს და შინ ბრინჯაოს მედლით ბრუნდება, თუმცა ვიდრე უშუალოდ ტურნირზე ვიტყოდეთ, სხვა სასიამოვნო ამბავს გაცნობებთ.

ჩემპიონატის დღეებში ევროპის ძიუდოს ფედერაციამ გასული სეზონის საუკეთესოები დაასახელა. 2006 წლის საუკეთესო მწვრთნელი შოთა ხაბარელი გახდა, ხოლო მოჭიდავე — ბრიტანელი კრეიგ ფელონი (60კგ).

სერბეთში ქართული ტრიოდან საუკეთესო შედეგი ადამ ოქრუაშვილმა აჩვენა. ჯერაც ლაშა გუჯეჯიანისა და ზვიად ხანჯალიაშვილის ჩრდილში მდგომმა ახალგაზრდა ქართველმა ფინალში გასასვლელი ბრძოლა უკრაინელ ევგენი სოტნიკოვთან დათმო და პირდაპირ მესამე ადგილზე დარჩა. ევროპირველობის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, ამჯერად რეპეშაჟის წესი საერთოდ არ მოქმედებდა. ნახევარფინალამდე ოქრუაშვილმა ბოსნიელი იბრო მილადინი, ბელარუსი იური რიბაკი და ფრანგი მეტიუ ბატე ჩამოიცილა.

ზვიად ხანჯალიაშვილმა ტურნირი ჩენროგორიელი სლავკო მარკოვიჩის ძლევით დაიწყო. ორი წრეც რომ გაევლო, ნახევარფინალში ადამის პირისპირ დადგებოდა, მაგრამ მეორე წრეში ჰოლანდიელ დენი ვან დერ ხესტს ვერაფერი მოუხერხა. მერე ხესტს სოტნიკოვმა აჯობა.

ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი რუსი ალექსანდრ მიხაილინი გახდა. სამწუხაროდ, მისი ოქროს გზა ლაშა გუჯეჯიანით დაიწყო. მიხაილინმა იპონით იმარჯვა. მან იპონითვე მოამთავრა ფინალიც სოტნიკოვთან. მეორე ბრინჯაოს მედალს კი ესტონელი მარტინ პადარი დაეუფლა.

კაცების პარალელურად, ნოვი სადის ტატამზე აბსოლუტური ჩემპიონობა მძიმე ქალებმაც გაითამაშეს. თორმეტი მონაწილიდან ოთხი რუსი იყო და სამმა მათგანმა ნახევარფინალს უწია. ფინალი რუსული გამოვიდა და, შესაბამისად, მეორე ოქროც ჩრდილოელებმა წაიღეს, თუმცა ეს საქართველოდან წლების წინ წასულმა თეა დონლუზაშვილმა შეძლო.



ადამ ოქრუაშვილმა (მარჯვნივ) ევროპა ბრინჯაოთი მოიარა

**ოთარ მაღლაკელიძე**

**კაცები**

1 ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი)
2 ევგენი სოტნიკოვი (უკრაინა)
3 ადამ ოქრუაშვილი (საქართველო)
3 მარტინ პადარი (ესტონეთი)

---

9 ზვიად ხანჯალიაშვილი (საქართველო)

---

17 ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო)

**ქალები**

1 თეა დონლუზაშვილი (რუსეთი)
2 ნატალია სოკოლოვა (რუსეთი)
3 იულია ბარისიკი (ბელარუსი)
3 ელენა ივაშენკო (რუსეთი)



## ევროპული ბრინჯაო, მსოფლიო ვერცხლი და ოქროს დიდი პრიზი
# გიორგი გოგშელიძე საუკეთესო მოჭიდავეა



**ჭიდაობის** საერთაშორისო ფედერაციამ ორიოდ დღის წინ 2006 წლის საუკეთესო მოჭიდავეები დაასახელა. ფილამ სეზონის სამი უმთავრესი ტურნირის — მსოფლიოს ჩემპიონატის, ევროპის ჩემპიონატისა და ოქროს დიდი პრიზის შედეგები დააჯამა და საბოლოო რეიტინგებიც შეადგინა. წონების მიხედვით ქართველთა პოზიციებზე ცოტა ქვემოთ. იქამდე კი სასიხარულო ამბავი — ამ წლის საუკეთესო თავისუფალი სტილით მოჭიდავე გიორგი გოგშელიძე გახდა.

2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონს წლეულს არც ევროპული ოქრო მოუგია და არც მსოფლიოსი, მაგრამ კვარცხლბეკზე ორივე ამ ტურნირზე ავიდა. პირველზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო მეორეზე — ვერცხლის. ზედ ოქროს დიდი პრიზის ჩემპიონობაც დაამატა და საერთო ქულებით ყველა წონის უძლიერესი მოჭიდავე უკან მოიტოვა. თავის წონაში — 96 კილოგრამში კი გოგშელიძემ უმთავრეს კონკურენტს, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს, რუს ჰაჯიმურატ გაცალოვს აჯობა, ვისაც ოქროს დიდი პრიზის ტურნირზე არ უასპარეზია. რაც შეეხება ბერძნულ-რომაულს, აქ საუკეთესო 84-კილოგრამში მოჭიდავე თურქი ნაზმი ავლუჯა გახდა, გიორგის ანალოგიური შედეგებით.

სხვა ჩვენებურებიდან რეიტინგსიაში საუკეთესო პოზიცია კლასიკოსმა მანუჩარ კვირკველიამ დაიკავა. იგი 74-კილოგრამიანთა ლიდერია. მსოფლიოსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონი დავით ბედინაძე (60) კგ) მეორე ადგილზეა, ხოლო ირაკლი ჭოჭუა (55 კგ) — მეშვიდეზე. ბევი დარჩიას შეგირდებიდან საუკეთესო რვეულში მხოლოდ ეს სამი მოხვდა.

თავისუფლებში მხოლოდ საწყისი ორი წონის — 55 და 60 კილოგრამის მოწინავეთა სიაა ისეთი, ქართულ გვარს რომ ვერ წააწყდებით, დანარჩენ ხუთში კი ზაზა თურმანიძის გუნდის წევრების გვარ-სახელებსაც ამოიკითხავთ. ოთარ თუშიშვილს (66 კგ) მესამე შედეგი აქვს. მძიმე წონაში ერთი წლით აწეულ ლუკა კურტანიძეს — მეოთხე, ხოლო გელა საღირაშვილსა (74 კგ) და რევაზ მინდორაშვილს (84 კგ) — მეექვსე.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### 2006 წლის საუკეთესოები

**ბერძნულ-რომაული**

55 კგ
1 როვშან ბაირამოვი (აზერბაიჯანი)
2 ვენელინ ვენკოვი (ბულგარეთი)
3 ჰამიდ სორიან რეიანპური (ირანი)

---

7 ირაკლი ჭოჭუა

60 კგ
1 ჯოზეფ უორენი (აშშ)
2 დავით ბედინაძე
3 ვიაჩესლავ ჯასტე (რუსეთი)

66 კგ
1 სერგეი კოვალენკო (რუსეთი)
2 იანიან ლი (ჩინეთი)
3 ოლექსანდრ ხვოშჩი (უკრაინა)

74 კგ
1 მანუჩარ კვირკველია
2 დანიარ კობონოვი (ყირგიზეთი)
3 მაჰმუტ ალთაი (თურქეთი)

84 კგ
1 ნაზმი ავლუჯა (თურქეთი)
2 არტურ მიხალკევიჩი (პოლონეთი)
3 ჰასემ რეზაეი (ირანი)

96 კგ
1 ჰამზა იერლიქაია (თურქეთი)
2 მარეკ სვეცი (ჩეხეთი)
3 მარგულან ასემბეკოვი (ყაზახეთი)

120 კგ
1 გიორგი წურწუმია (ყაზახეთი)
2 მიხან ლპეს ნუნესი (კუბა)
3 ისმაილ გუზელი (თურქეთი)

**თავისუფალი**

55 კგ
1 რადოსლავ მარინოვი (ბულგარეთი)
2 ნამიკ აბდულაევი (აზერბაიჯანი)
3 სამუელ ჰენსონი (აშშ)

60 კგ
1 მავლეტ ბატიროვი (რუსეთი)
2 ვასილ ფედორიშინი (უკრაინა)
3 ვუსალ ალიევი (აზერბაიჯანი)

66 კგ
1 ბილ ზადიკი (აშშ)
2 ალბერტ ბატიროვი (ბელარუსი)
3 ოთარ თუშიშვილი

74 კგ
1 დონ პრიცლაფი (აშშ)
2 ბუვაისა საიტიევი (რუსეთი)
3 მურად გაიდაროვი (ბელარუსი)

---

6 გელა საღირაშვილი

84 კგ
1 ტარას დანკო (უკრაინა)
2 რეზა იაზდანი (ირანი)
3 ზაურბეკ სოხიევი (უზბეკეთი)

---

6 რევაზ მინდორაშვილი

96 კგ
1 გიორგი გოგშელიძე
2 ხაჯიმურატ გაცალოვი (რუსეთი)
3 ნურჟან კატაევი (ყაზახეთი)

120 კგ
1 არტურ ტაიმაზოვი (უზბეკეთი)
2 კურამაგომედ კურამაგომედოვი (რუსეთი)
3 მარიდ მუტალიმოვი (ყაზახეთი)
4 ლუკა კურტანიძე

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დონის დონე: 1200


ლეიკერსელმა კვეიმ ბრაუნმა ზაზა ფაჩულია ვერ შეაჩერა

### 8 დეკემბერი

**ლეიკერსი 106:95 ატლანტა**
ლეიკერსი: პარკერი (11), ევანსი (22), უოლტონი (25), ოდომი (6 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი), ბრაუნი (13); ფარმერი (15), რადმანოვიჩი (5), ბინამი (4), ვუიჩიჩ (3), კუკი (2), ტურიაფი
ატლანტა: კლაქსტონი (4), ჯონსონი (30), სმიტი (17 ქულა, 11 მოხსნა), შ. უილიამსი (8), ფაჩულია (34 წუთი, 18 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება); ლუ (11), მ. უილიამსი (9), რაიტი (2), ჯონსი (2), სტუდემაიერი, ბოზმანი

**შარლოტი 62:92 ჰიუსტონი**
შარლოტი: ფელტონი (16)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (23), მინი (21)

**ინდიანა 108:95 პორტლენდი**
ინდიანა: ტინსლი (25), გრეინჯერი (20), ჰარინგტონი (16)
პორტლენდი: რენდოლფი (29), დიქსონი (17), მაგლორი (14)

**ორლანდო 83:87 დეტროიტი**
ორლანდო: ჰოვარდი (25 ქულა, 10 მოხსნა), ჰილი (22)
დეტროიტი: ბილაფსი (31), ჰამილტონი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**ბოსტონი 111:116 ფინიქსი**
ბოსტონი: პირსი (36), ალენი (18), გომესი (18), ტელფაირი (14)
ფინიქსი: მერიონი (29 ქულა, 12 მოხსნა), ნეში (16 ქულა, 14 პასი), ბელი (14), დიაუ (14), სტუდემაიერი (13)

**მინესოტა 110:103 იუტა**
მინესოტა: გარნეტი (31 ქულა, 14 მოხსნა), ჯეიმსი (28), დევისი (21)
იუტა: უილიამსი (21 ქულა, 11 პასი), ოქური (18), ფიშერი (17)

**სიეტლი: 94:74 ნიუ ორლეანი**
სიეტლი: უილკოქსი (19), უოტსონი (17), ლუისი (15)
ნიუ ორლეანი: პოლი (16)

**ფილადელფია 98:113 ვაშინგტონი**
ფილადელფია: ვებერი (21 ქულა, 10 მოხსნა), კორვერი (20)
ვაშინგტონი: არენასი (32), ბატლერი (20 ქულა, 11 მოხსნა), სტივენსონი (17)

**სან ანტონიო 111:82 კლიპერსი**
სან ანტონიო: ჯინობილი (22), დანკანი (16 ქულა, 10 მოხსნა), ბერი (16)
კლიპერსი: ლივინგსტონი (16)

**მილუოკი 100:94 მემფისი**
მილუოკი: პატერსონი (30), რედი (25)
მემფისი: უორიკი (31 ქულა, 13 მოხსნა)

**ჩიკაგო 93:90 ტორონტო**
ჩიკაგო: დენგი (25), ნოჩიონი (17 ქულა, 14 მოხსნა)
ტორონტო: გარბახოსა (17), ბოში (13 ქულა, 12 მოხსნა)

**დენვერი 123:107 მაიამი**
დენვერი: სმიტი (37), ენტონი (32), კლეიზა (15), მილერი (20 პასი)

### 9 დეკემბერი

**კლივლენდი 107:75 ინდიანა**
კლივლენდი: ჯეიმსი (27), ილგაუსკასი (15), ჯონსი (15)
ინდიანა: არმსტრონგი (13)

**დალასი 105:90 დენვერი**
დალასი: ჰოვარდი (30 ქულა, 11 მოხსნა), ნოვიცკი (25), ტერი (24)
დენვერი: ენტონი (18), სმიტი (18)

**გ. სტეიტი 101:80 ნიუ ორლეანი**
გოლდენ სტეიტი: პიეტრუსი (22), ბიედრინსი (17 ქულა, 13 მოხსნა), დევისი (16 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა), ელისი (16)
ნიუ ორლეანი: მეისონი (24), პარგო (15 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი)

**ვაშინგტონი 109:114 ჰიუსტონი**
ვაშინგტონი: არენასი (41), ჯემისონი (27 ქულა, 11 მოხსნა), ბატლერი (17 ქულა, 10 მოხსნა)
ჰიუსტონი: მინი (38 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება), მაკგრეიდი (28)

**ორლანდო 86:84 ფილადელფია**
ორლანდო: ჰოვარდი (28 ქულა, 12 მოხსნა), ჰილი (23)
ფილადელფია: ვებერი (19 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), იგუდალა (19), კორვერი (16)

**მემფისი 82:89 კლიპერსი**
მემფისი: მილერი (19 ქულა, 13 მოხსნა)
კლიპერსი: ბრენდი (26), კასელი (18)

**ნიუ ჯერსი 90:92 ბოსტონი**
ნიუ ჯერსი: კრსტიჩი (20), კარტერი (19 ქულა, 11 მოხსნა), ჯეფერსონი (17)
ბოსტონი: ჯეფერსონი (29), პირსი (17)

**ნიუ იორკი 115:107 მილუოკი**
ნიუ იორკი: კარი (36), კროუფორდი (25), რობინსონი (22)
მილუოკი: უილიამსი (33), ვილანუევა (24), რედი (22)

**ჩიკაგო 81:91 მინესოტა**
ჩიკაგო: გორდონი (21), ნოჩიონი (17), ჰაინრიხი (15)
მინესოტა: გარნეტი (18 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), ჯეიმსი (15), დევისი (15)


დონ ნელსონმა 1200 შეასრულა

დასავლეთში 5-თამაშიანი ტურნეს მეოთხე მატჩი წარუმატებელი გამოდგა ზაზა ფაჩულიას „ატლანტასთვის“. დენვერში ფაჩულიას გარეშე მომგებმა „ქორებმა“ ლოს ანჯელესში უკობიბრაიანტო „ლეიკერსთან“ უიმედოდ წააგეს. ზაზამ ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია კი მოიხადა და „ლეიკერსთან“ თითქმის ორმაგი დუბლი შეასრულა, თუმც მასპინძლები ისე ყინჩად დაუხვდნენ ალმოსავლელებს, რომ ვერც ზაზამ და ვერც სხვა ატლანტელებმა ვერ შეურყიათ გამარჯვების სურვილი და რწმენა.

ლეიკერსელი მორის ევანსი, ვინც ბრაიანტის პოზიციაზე სასტარტო ხუთეულში ითამაშა, ამ სეზონამდე 3 გუნდში ეძებდა ბედს და ვერსად იპოვა. სამაგიეროდ ამ სტანდარტული მონაცემების მქონე ყმაწვილში კარგი კალათბურთელი იპოვა „ლეიკერსის“ თავკაცმა ფილ ჯექსონმა და აი, შედეგიც — ევანსმა ჯო ჯონსონის წინააღმდეგ თამაშში კარიერაში სარეკორდო 22 ქულა გააკეთა. ასევე კარიერაში უბევრესი, 25 ქულა გააზერზა ლუკ უოლტონმაც, რომელიც ევანსთან და ლამარ ოდომთან ერთად ხელმძღვანელობდა მასპინძელთა შეტევებს და პირველი ტაიმის 46:47 დათმობის შემდეგ მეორე ნახევარი 60:48 მოაგებინა „ლეიკერსს“.

ამ მარცხის შემდეგ „ატლანტამ“ სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში მეორე ადგილი დაკარგა და წინ „ვაშინგტონი“ გაუშვა, რომელიც კარგა ხანი მეოთხე ადგილზე მიჩანჩალებდა. მეოთხეზე კი უგერგილო ჩემპიონმა „მაიამიმ“ „მოიკალათა“, ვისთვისაც შაკილ ონილის ტრავმა ლამისაა, დამღუპველი გამოდგეს. წინა სეზონის ტრიუმფატორები მოგება-წაგებათა 50-პროცენტიან ზღვარსაც ვერ სწვდებიან. ისე კი ამ სამ გუნდს — „ატლანტას“, „ვაშინგტონსა“ და „მაიამის“ შორის სხვაობა მიზერულია და შემადგენლობით სუსტ „ატლანტას“ ისიც აქტივში ჩაეთვლება, მათ გვერდით ყოფნას რომ ახერხებს და უიმედო აუტსაიდერებთან არ იძირება.

დივიზიონში და საზოგადოდ აღმოსავლეთში სრულიად მოულოდნელად გაბატონებულმა „ორლანდომ“ პარასკევს დიდი ჯახი გადაიტანა კონფერენციის კიდევ ერთ ბობოლა „დეტროიტთან“ და დამარცხდა, რისი პირდაპირი მიზეზიც გამოუცდელობაა. 2004 წლის ჩემპიონი და 2005 წლის ფინალისტი „დეტროიტი“ უხეირო გუნდებთან აძლევს თავს მოდუნების უფლებას, მაგრამ რაკი „ორლანდოში“ ტოლი და კონკურენტი დაინახა, მთელი დატვირთვით ამუშავა თავისი მანქანა და სულ ბოლო „მეტრებზე“ აჯობა დიდად მოწადინებულ მოწინააღმდეგეს.

დეტროიტელებს ორლანდოელთა 211-სანტიმეტრიან ვარსკვლავ-ცენტრ დუაიტ ჰოვარდთან ჭიდაობა არ დაუწყიათ, მით უფრო, რომ ბენ ვოლესი აღარ ჰყავთ. მათ თამაში უკანახაზელებზე — ჩონსი ბილაფსსა და რიპ ჰამილტონზე ააგეს და შედეგად გამარჯვებაც მოიმკეს. ბილაფსმა სეზონში უმეტესი, 31 ქულა გააზერზა, ჰამილტონმა კი მოკრძალებულ 14 ქულას 10 მოხსნაც მოაყოლა.

„დეტროიტთან“ რომ ვერ მოიგო, „ორლანდომ“ მეორე დღეს „ფილადელფია“ მოიხელთა და ზედიზედ მე-7 მარცხი აწვნია. შავ დღეშია ეს უკანასკნელი — ალენ აივერსონი გაუჯიუტდა „ფილადელფიას“, ოღონდ ამჯერად, მგონი, საქმე სერიოზულად უნდა იყოს. აივერსონს ხშირად მოსვლია უთანხმოება გუნდის ხელმძღვანელებთან, მწვრთნელებთანაც და მენეჯერებთანაც, მაგრამ აგერ მე-11 სეზონია, მაინც ამ გუნდში აგრძელებს თამაშს. მაგრამ, როგორც ჩანს, „სიქსერზი“ წლეულს მაინც დაკარგავს ნბა-ს 4-გზის საუკეთესო მექულეს და მოუწევს მისი სხვა გუნდში გაშვება. სავარაუდო მთხოვნელებიც გამოუჩნდნენ ჭინკა ბომბარდირს — „დალასი“ და „ბოსტონი“. აივერსონის გარეშე კი „ფილადელფია“ რა ხვითოცაა, ცხრილისთვის თვალის შევლებითაც განსაზღვრავთ.

ის ვიკითხოთ, საათივით აწყობილ „დალასს“ რაში უნდა ამ ჭირვეული ვარსკვლავის შემატება, რომელიც არავინ იცის, მოერგება თუ ვერა საჩემპიონო გუნდს. „დალასს“ უმისოდაც გადასარევად მისდის საქმე, ნოვიცკი და კომპანია თამაშს თამაშზე იგებენ — 9 დეკემბერს „დენვერი“ შემოემარცხათ. ამ უკანასკნელს წინა ღამით „მაიამისთვის“ მოეგრიხა კისერი, მაგრამ ვიცე-ჩემპიონები ჩემპიონებივით იოლად ვეღარ მოინელეს კოლორადოელებმა. დალასელმა ჯოშ ჰოვარდმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა — უპირველეს მექულე კარმელო ენტონის სისხლი გაუშრო, 26 სროლიდან 18 ააცილებინა და საშუალოდ 32 ქულის მკეთებელი სუპერმექულე 18 ქულას დააჯერა, თავად კი 31 მიითვალა. „დალასმა“ უკვე პირველ მეოთხედში მიუჩინა „დენვერს“ ადგილი, როცა 41:25 დაწინაურდა, ხოლო ტაიმი 61:41 მოუგო.

ბოსტონში საკმაო ბრძოლა გადახდა სტივ ნეშის „ფინიქსს“, მაგრამ ბოლოს მაინც სტუმრებმა იძალეს და ზედიზედ მე-9 გამარჯვება ჩაიწერეს. ახლა „ფინიქსი“ მხოლოდ ერთი გამარჯვებით ჩამოუვარდება წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერ „ლეიკერსს“ და დასავლეთში საპატიო მე-6 ადგილი უკავია. ურიგო შედეგი არაა გუნდისთვის, რომელმაც სეზონი 6 თამაშში 5 წაგებით დაიწყო.

„გოლდენ სტეიტის“ ლეგენდარულმა თავკაცმა დონ ნელსონმა თავის გუნდს შინ, ოკლენდში „ნიუ ორლეანი“ დაამარცხებინა და ეს მოგება მის კარიერაში 1200-ე გამოდგა. მასზე მეტი გამარჯვება ნბა-ს ისტორიაში მხოლოდ ლენი უილკენსს თუ მოუხვეჭია — 1332. ნამატჩევს ნელსონი ამბობდა, უილკენსს რომ შევხვდები, ავტოგრაფი უნდა ვთხოვო და თუ ისურვებს, ჩემსასაც დავუტოვებო. ცხადია, ხუმრობდა, თორემ 66 წლის კაცი ავტოგრაფებს ნამდვილად არ გამოედევნება.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 7 | 12 | 36,8 |
| ტორონტო | 7 | 12 | 36,8 |
| ნიუ იორკი | 8 | 14 | 36,4 |
| ბოსტონი | 6 | 13 | 31,6 |
| ფილადელფია | 5 | 14 | 26,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 13 | 7 | 65,0 |
| კლივლენდი | 12 | 7 | 63,2 |
| ინდიანა | 11 | 11 | 50,0 |
| ჩიკაგო | 10 | 10 | 50,0 |
| მილუოკი | 8 | 12 | 40,0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 15 | 7 | 68,2 |
| ვაშინგტონი | 9 | 11 | 45,0 |
| ატლანტა | 8 | 10 | 44,4 |
| მაიამი | 8 | 11 | 42,1 |
| შარლოტი | 5 | 14 | 26,3 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 15 | 5 | 75,0 |
| ჰიუსტონი | 14 | 6 | 70,0 |
| დალასი | 14 | 6 | 70,0 |
| ნიუ ორლეანი | 9 | 10 | 47,4 |
| მემფისი | 5 | 15 | 25,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 15 | 5 | 75,0 |
| დენვერი | 11 | 7 | 61,1 |
| მინესოტა | 10 | 9 | 52,6 |
| სიეტლი | 9 | 11 | 45,0 |
| პორტლენდი | 7 | 14 | 33,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 13 | 6 | 68,4 |
| ფინიქსი | 12 | 6 | 66,7 |
| კლიპერსი | 10 | 9 | 52,6 |
| გოლდენ სტეიტი | 10 | 10 | 50,0 |
| საკრამენტო | 8 | 10 | 44,4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

**8 დეკემბერი**
**რუსთავი**

**აზოტი 127:71 მაკაბი**
*36:13 26:13 33:18 32:27*

აზოტი: გამყრელიძე (16), ლიპარტელიანი (10), ბეჟანიშვილი (4), ბოისა (6), ცეკვავა (4), ტულუში (12), მარკოიშვილი (7), უგრეხელიძე (7), გოგობერიშვილი (13), მინაშვილი (19), ჭოჭუა (14)
მაკაბი: დოლიძე (13), პირველაშვილი (7), ხორავა (2), ხიზანიშვილი (11), ვაშაკიძე (7), კორკოტაძე (9), ს. შერმადინი (17), კორძაძე (5)
*მსაჯები:* ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე
*კომისარი:* როლანდ გელოვანი

**9 დეკემბერი**
**ვერის ბაღი**

**ავიამშენი 91:85 სტუ**
*16:19 31:32 22:18 22:16*

ავიამშენი: ი. ბერიშვილი (13), ხოშტარია (20), კეიდია (4), ბაბიაშვილი (14), ნინიაშვილი (5); ბარბაქაძე (21), დ. ბერიშვილი (8), ნიკოლაძე (6), სუხიშვილი
სტუ: კოხრეიძე (16), ბერაია (28), ბარბაქაძე, მაისურაძე (4), ახალკაცი (12); ბაბუნაშვილი (10), ეძგვერაძე (7), ლ. ნოზაძე (8)
*მსაჯები:* მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე
*კომისარი:* თენგიზ ქიქოძე

**თსუ 100:81 დინამო**
26:18 18:25 18:16 38:22

თსუ: ვეფხვაძე (5), ლეჟავა (12), ხეცურიანი (22), იმნაძე (4), მათიაშვილი (26); შანიძე (14), მ. ბერიშვილი (5), ბ. ბერიშვილი (12), ფანჩულიძე, არწივიძე, სანიკიძე
დინამო: ბადრიძე (18), გულისაბედაშვილი (6), ლაფანაშვილი (16), გვიმრაძე (18), კოლუაშვილი (9); კეშელავა (9), ნ. ნოზაძე (3)
*მსაჯები:* დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა
*კომისარი:* მურმან ქურიძე

## კალენდარმა ცენტრალურ მატჩებს ხელი დარია
## სტუ-მ ავიამშენი ტექნიკურად შეაშინა

**ირაკლი პერტაია**

**კალენდრის** წინასწარ შედგენას ის ნაკლი აქვს, რომ შესაძლოა, ცენტრალურმა მატჩმა არ გაამართლოს. სუპერლიგამ რეგულარული ჩემპიონატის თამაშების განრიგი ერთიანად განსაზღვრა და ტელევიზიით გადასაცემი ცენტრალური მატჩებიც აქედანვეა ცნობილი. როცა ამ მატჩებს არჩევდნენ, ცხადია, გუნდების იმ მომენტისთვის მზადყოფნას ითვალისწინებდნენ, თუმც კლუბები რომ სეზონის მანძილზე ცვლილებებს განიცდიან, ამასაც ხომ უნდოდა გათვალისწინება. ადრე არ იყო ცენტრალური მატჩები, მაგრამ ყოველი წრის კალენდარი მაინც ცალ-ცალკე დგებოდა.

ამის თქმა იმიტომ დაგვჭირდა, რომ გასული ტურის ცენტრალურმა მატჩმა, თსუ — „დინამომ", ისე ვერ გაამართლა, როგორც რიგითად მიჩნეულმა სტუ — „ავიამშენმა". კალენდრის შედგენისას მიიჩნიეს, რომ „დინამო" სტუ-ზე ძლიერი გუნდია და ლიდერს ის უფრო დიდ წინააღმდეგობას გაუწევდა. სტუ-მ „დინამო" პირად შეხვედრაშიც დაჩაგრა და დღესდღეობით რომ უფრო მაღალ დონეზეა, ეს შაბათსაც კარგად გამოჩნდა.

„ავიამშენთან" სტუ ყველამ განწირულად ჩათვალა, მაგრამ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა, ძალიან დახვეწილად, დალაგებულად ითამაშა და ბოლო წუთზე ფატალური შეცდომები რომ არ დაეშვა, ჩემპიონატის მთავარ სენსაციას მოახდენდა.

„ავიამ" ექვსქულიანი უპირატესობით კი მოიგო, მაგრამ ეს ჰანდიკაპი ბოლო წამებზე მოიპოვა — ხოლო თამაშის უკანასკნელი წუთი რომ დაიწყო, ტექნიკოსები მხოლოდ 2 ქულით იგებდნენ (85:83).

„ავიამშენს" გაუმართლა, რომ სტუ-ს ცენტრმა გულივერ ახალკაცმა ბოლო წუთზე ზედიზედ სამი შეტევა გააცუდა, თორემ...

სტუდენტების საპირველმეოთხედო ყოჩაღობა „ავიატორებს" ალბათ შემთხვევითობა ეგონათ და თამაშის ტემპს არ უმატებდნენ. ის კი არა, პირველი ათწუთეულის მოგების შემდეგ სტუ-მ კიდევ უფრო მოუმატა და პირველი ტაიმის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე სოლიდურად დაწინაურდა — 51:39.

სტუ-ს წარმატების საფუძველი სწრაფი და კონტრშეტევებზე აგებული თამაში იყო. წინა ტურის საუკეთესო ნოდარ ბერაია „ავიატორებს", რომ იტყვიან, სისხლს უშრობდა. სამქულიანი გინდა, კონტრშეტევა, ფარქვეშიდან ჩაგდებული — ბერაია ყველაფერს ბრწყინვალედ ართმევდა თავს და პირველი ტაიმის შემდეგ 23 ქულით ყველა დაჩრდილა.



ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა ტექნიკოსები მაგრად მომართა

ვაჟა ლომჯარიძის ფოტო

ბერაიას მხარს უბამდნენ სტუ-ს ახალგაზრდა უკანახაზელები — კოხრეიძე, ეძგვერაძე და ბაბუნაშვილი. ტექნიკოსებს მეფარეებიც უმართლებდნენ, გულივერ ახალკაცი და ლუკა ნოზაძე ტოლს არ უდებდნენ გაცილებით ძლიერ და გამოცდილ „ავიატორ" ოპონენტებს.

პირველი ტაიმის ბოლოს სტუ-ს მიერ მოპოვებული 12-ქულიანი ლიდერობა მთლიანად უკანახაზელების დამსახურება იყო. იმ მომენტში მოედანზე სამი ტანმაღალი მოთამაშე ჰყავდა „ავიამშენს" — ზვიად ბაბიაშვილი, დავით ბარბაქაძე და ლადო სუხიშვილი. ტექნიკოსებმაც თავი დაანებეს ფარქვეშა ბრძოლებს და ფეხმარდი უკანახაზელების წყალობით გვარიანი ლიდერობა დაიბევეს. ტაიმის დასრულებამდე დარჩენილ დროში კი „ავიამშენი" გონს მოეგო და 8:0 მოგებული მონაკვეთის შემდეგ დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი დეფიციტით გავიდა.

თამაში „ავიამშენის" სასარგებლოდ განახლდა. ლევან მოსეშვილის გუნდმა შორი არტილერია მომართა და მესამე მეოთხედის პირველ ნახევარში ტექნიკოსებს თავზე 5 სამქულიანი დაატეხა — 62:57 დაწინაურდა.

ყველამ ჩათვალა, რომ სტუ გატყდა, მაგრამ სამარქაფო ბაბუნაშვილმა ახალი ძალა შემატა ტექნიკოსთა სწრაფ გარღვევებს და ბოლო მეოთხედის წინ ფრე იყო — 64:64.

ძნელია, აიხსნას „ავიატორთა" ასეთი ინერტულობა. მოსეშვილის შეგირდები ვერც გადამწყვეტ მეოთხედში ათამაშდნენ, სტუ-ს შემართება მათ ამის საშუალებას არ აძლევდა.

თამაშის დასრულებამდე ორწუთნახევრით ადრე სტუ 83:78 იგებდა და სულ ცოტა უნდოდა და გაიმარჯვებდა, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ახალგაზრდა სტუდენტებს ხელი აუკანკალდათ და გამარჯვების მომტანი ქულები ვეღარ ჩააგდეს, ხოლო ბაბიაშვილმა და ირაკლი ბერიშვილმა აუღელვებლად გაათანაბრეს ანგარიში და ბოლო წუთზე რაც მოხდა, უკვე გითხარით.

ამის შემდეგ გაიმართა თსუ-სა და „დინამოს" ცენტრალურად შერაცხული შეხვედრა და მესამე მეოთხედამდე მაყურებელს მოსაწყენად არ ეცალა. სნაიპერი დინამოელები — ლაფანაშვილი, გულისაბედაშვილი და ბადრიძე თავიანთ გუნდს საჭირო სამქულიანებით 30 წუთი უნარჩუნებდნენ შანსს, მაგრამ თსუ-მ მეოთხე მეოთხედში ისე აიწყვიტა, რომ „დინამომ" საბოლოოდ დიდი სხვაობით წააგო. ტურის საუკეთესო მოთამაშე ამ მატჩიდან დაასახელეს — თსუ-ს ცენტრმა რიჩარდ მათიაშვილმა 26 ქულა და 19 მოხსნა მოაგროვა და სეზონის რეკორდი 18 მოხსნის გამჩარხველ „მაკაბის" ცენტრ გიორგი შერმადინს ჩამოართვა.

ისედაც აუტსაიდერი „მაკაბი" კი სწორედ შერმადინის გარეშე ეწვია რუსთავს და წაუგებელ „აზოტთან", რა თქმა უნდა, განადგურდა. ქვემოქართლელებმა თავიდან ისე შეუტიეს, რომ 24:2 ჩამოიტოვეს „მაკაბი" და მერე ალბათ მოეშვნენ, თორემ საარაკო შედეგსაც იოლად დააფიქსირებდნენ.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 8 | 8 | 0 | +245 | 16 |
| ავიამშენი | 8 | 7 | 1 | +177 | 15 |
| თსუ | 8 | 5 | 3 | +123 | 13 |
| სტუ | 8 | 2 | 6 | -155 | 10 |
| დინამო | 8 | 1 | 7 | -160 | 9 |
| მაკაბი | 8 | 1 | 7 | -210 | 9 |

**ავტორბოლა**

# ფია-შოუ მონტე კარლოში
## წლევანდელები და სტირლინგ მოსი

**მონტე კარლოში** შედგა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) ყოველწლიური გალა-შოუ, ანუ სუპერწარმოდგენა, რომელშიც ავტოფედერაცია აჯილდოებს ფორმულა 1-ის, მსოფლიო ავტორალის, ტურინგის მსოფლიო სერიის გამარჯვებულებს.

კი ბატონო, ყველა ყველაა, მაგრამ უმთავრესი ყურადღება ხომ მუდამ „სამეფო რბოლების" ტრიუმფატორებისკენ იყო მიმართული და ამდენად, რა გასაკვირია, რომ მონაკოურ შოუში მთავარი გმირები იყვნენ ორგზის მეფორმულე ჩემპიონი 25 წლის ესპანელი ფერნანდო ალონსო და პენსიაზე გასული შვიდგზის ტრიუმფატორი მიხაელ შუმახერი — 37 წლის ლეგენდარული გერმანელი პილოტი, რომელმაც ავტოსპორტში უზარმაზარი დამსახურებისთვის საგანგებო ოქროს მედალი დაიმსახურა.

თითქმის ასეთივე ოქროს მედალი მიიღო ლეგენდარულმა ბრიტანელმა მეფორმულე სტირლინგ მოსმა, ალბათ ყველაზე უიღბლო პილოტმა, რომელიც 1955-58 წლებში ზედიზედ ოთხჯერ გახდა საფორმულო მსოფლიოს ჩემპიონატების ვიცე-პრიზიორი და როგორც იტყვიან, ნაბიჯიღა დააკლდა „სამეფო რბოლებში" ტრიუმფამდე.

მეფორმულეებთან ერთად შესაბამისი პატივი მიაგეს რალის, უკვე სამგზის ჩემპიონ ფრანგ სებასტიენ ლოებს და ტურინგის მსოფლიო სერიის გამარჯვებულს, ბრიტანელ ენდი პრიოლს.



ფერნანდო ალონსო



მიხაელ შუმახერი



სტირლინგ მოსი

# ევროპის VII ჩემპიონატი

euro2006 HANDBALL SWEDEN

## ქალები. შვედეთი. 7-17 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ავსტრია 32:27 სერბეთი
უნგრეთი 30:22 მაკედონია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 72:45 | 4 |
| მაკედონია | 1 | 0 | 1 | 47:53 | 2 |
| ავსტრია | 1 | 0 | 1 | 55:69 | 2 |
| სერბეთი | 0 | 0 | 2 | 50:57 | 0 |

**C ჯგუფი**

ხორვატია 24:23 უკრაინა
რუსეთი 30:15 შვედეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 0 | 0 | 57:37 | 4 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 | 46:50 | 2 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 | 37:48 | 2 |
| უკრაინა | 0 | 0 | 2 | 41:46 | 0 |

**B ჯგუფი**

გერმანია 31:30 სლოვენია
ნორვეგია 32:21 პოლონეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 75:41 | 4 |
| გერმანია | 2 | 0 | 0 | 61:50 | 4 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 2 | 41:62 | 0 |
| სლოვენია | 0 | 0 | 2 | 50:74 | 0 |

**D ჯგუფი**

ესპანეთი 28:24 საფრანგეთი
დანია 30:23 ჰოლანდია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 54:40 | 4 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 50:47 | 2 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 48:48 | 2 |
| ჰოლანდია | 0 | 0 | 2 | 39:56 | 0 |



# მაგარი ამბები ექს თავსართით

**მეორე** ტურში სენსაციური მარცხი იგემეს მსოფლიოს ექსჩემპიონმა ფრანგებმა და საგრძნობლადაც გაირთულეს სამედლო გზა. წინა დღეს ოლიმპიურ ჩემპიონ დანიელთა შთამბეჭდავი ძლევის (24:20) შემდეგ ოლივიე კრუმბოლცის გოგოები უტიტულ-უსახელო ესპანელებმა შეარცხვინეს, რომლებიც წინა ევროპირველობაზე მხოლოდ მერვე ადგილზე გავიდნენ, შარშან კი მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ დაძლიეს.

ფრანგები თავიდან ორჯერ ლიდერობდნენ, მაგრამ პირინეელები მიყოლებით სამი გოლის წყალობით მერვე წუთზე პირველად დაწინაურდნენ — 4:2 და საფინალო სასტვენამდე ხელიდან აღარც გაუშვიათ ამ ნერვიული მატჩის სადავეები. ექსჩემპიონებს წინა თამაშის გმირმა, მეკარე ვალერი ნიკოლიმაც ვერ უშველა, რომელმაც 28 ნატყორცნიდან მხოლოდ რვის მოგერიება შეძლო. ეს ესპანელ დიაცთა პირველი გამარჯვებაა სახელოვან მეტოქეზე.

უხეიროდ გამოდიან 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი უკრაინელები. მათ მეორე შეხვედრაც წააგეს, ამჯერად ხორვატ ქალებთან მეტად დრამატულ ბრძოლაში. არადა, ქარიშხლური დასაწყისის შემდეგ ექსსაბჭოელთა მარცხს ვერავინ იტყოდა — ანგარიში ათ წუთში 7:1 იყო მათ სასარგებლოდ. ექსიუგებმა ტაიმის მიწურულს ვითარება გაათანაბრეს — 11:11, თუმც დასასრულამდე ექვსი წუთით ადრე კვლავ უკრაინელები იყვნენ წინ — 21:19. ნიკიჩა პუსიჩმა და ივანა ლავრიჩმა მიყოლებით ოთხჯერ გაიტანეს და ახლა უკვე ხორვატები დაწინაურდნენ ორი ბურთით. ბოლო წუთზე მარინა ვერგელიუკმა თანაფარდობა აღადგინა — 23:23, მაგრამ ზედ საფინალო სასტვენის წინ მაიდა არსლანაგიჩმა ზუსტი ტყორცნით ხორვატიას ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოუპოვა.

უპრობლემოდ მიიწევს წინ ფავორიტთა სამეული — მსოფლიოს ჩემპიონი რუსეთი, ევროპის მოქმედი ჩემპიონი ნორვეგია და ექსჩემპიონი უნგრეთი. მადიარებს მაკედონიელებმა მისხალი სირთულეც ვერ შეუქმნეს მათი ლიდერის, მარინა ნაუკოვიჩის ტურნირის სარეკორდო 11 გოლის მიუხედავად.

შეგახსენებთ, ჯგუფებიდან სამსამი გუნდი გააგრძელებს ბრძოლას მედლებისთვის.

**გია ახალაძე**



# რეგულარული ჩემპიონატი

NHL

# ნოემბრის სელიანე დეკემბერშიც ელავს

**8 დეკემბერი**

**ვაშინგტონი 1:6 ანაჰაიმი**
*0:2 0:1 1:3*
0:1 შ. ტორნტონი (1), 0:2 მარჩანტი (15), 0:3 პენიე (28), 0:4 სელიანე (43), 1:4 სიომინი (46), 1:5 მაკდონალდი (51), 1:6 პერი (52)

**ნიუ ჯერსი 2:0 ფილადელფია**
*1:0 1:0 0:0*
1:0 ლანგერბრუნერი (4), 2:0 ჯიონტა (32)

**დალასი 0:2 ედმონტონი**
*0:1 0:1 0:0*
0:1 ბერჟერონი (12), 0:2 ტორესი (23)

**ვანკუვერი 4:3 კაროლინა**
*1:0 1:0 1:3 1:0*
1:0 ბულისი (11), 2:0 შუინარი (38), 3:0 ტრემბლი (46), 1:3 კ. ადამსი (46), 2:3 კოული (56), 3:3 კომოდორი (58), 4:3 დ. სედინი (64)

**9 დეკემბერი**

**ოტავა 1:3 რეინჯერსი**
*0:1 1:1 0:1*
0:1 სტრაკა (18), 0:2 იაგრი (27), 1:2 სპეცა (36), 1:3 შენაჰანი (60)

**ბოსტონი 1:5 ნიუ ჯერსი**
*0:2 1:0 0:3*
0:1 პანდოლფო (12), 0:2 ლანგერბრუნერი (19), 1:2 სავარი (23), 1:3 რასმუსენი (51), 1:4 ელიაში (55), 1:5 ბრილინი (57)

**მონრეალი 2:3 ბაფალო**
*0:0 1:2 1:0 0:0 (ბულიტები)*
0:1 ნოვოტნი (27), 1:1 რაიდერი (30), 1:2 როი (38), 2:2 სურეი (43)

**აილენდერსი 5:4 ფლორიდა**
*2:1 0:2 2:1 0:0 (ბულიტები)*
1:0 ჰილბერტი (2), 2:0 ეშამი (10), 2:1 ჰორტონი (18), 2:2 რობერტსი (38), 2:3 ვაისი (38), 3:3 მარტინეკი (45), 4:3 შატანი (59), 4:4 სალეი (60)

**ფილადელფია 3:5 ვაშინგტონი**
*0:1 3:2 0:2*
0:1 ოვეჩკინი (7), 0:2 ლაიხი (22), 1:2 განიე (23), 2:2 განიე (28), 2:3 კლარკი (28), 3:3 კნუბლი (41), 3:4 მუირი (48), 3:5 პეტინგერი (60)

**ატლანტა 3:4 პიტსბურგი**
*1:1 0:1 2:1 0:1*
0:1 კროსბი (15), 1:1 ჰნიდი (19), 1:2 მალკინი (29), 2:2 ჰოსა (41), 2:3 უიტნი (48), 3:3 ნ. კაპანენი (56), 3:4 არმსტრონგი (64)

**დეტროიტი 5:1 ტორონტო**
*2:0 2:1 1:0*
1:0 სამუელსონი (10), 2:0 ზეტერბერგი (18), 3:0 სამუელსონი (31), 3:1 მაკკეიბი (33), 4:1 ზეტერბერგი (40), 5:1 კლირი (42)

**ტამპა 3:4 ანაჰაიმი**
*1:1 1:2 1:1*
0:1 პენიე (4), 1:1 პერინი (11), 1:2 პენიე (31), 1:3 სელიანე (33), 2:3 ფედოტენკო (38), 2:4 კუნიცი (43), 3:4 ბ. რიჩარდსი (51)

**სენტ ლუისი 1:5 კოლუმბუსი**
*0:2 1:2 0:1*
0:1 მოდინი (17), 0:2 ფიოდოროვი (20), 0:3 ფუტი (31), 1:3 გერინი (33), 1:4 ბრულე (40), 1:5 ფიოდოროვი (51)

**მინესოტა 5:4 ჩიკაგო**
*1:1 2:1 1:2 1:0*
0:1 ჰავლატი (9), 1:1 პერიში (16), 2:1 დემიტრა (32), 2:2 ჰავლატი (35), 3:2 მ.კოივუ (40), 4:2 პერიში (44), 4:3 ჰამილტონი (54), 4:4 სიბრუკი (54), 5:4 პერიში (64)

**ფინიქსი 3:4 დალასი**
*1:2 1:1 1:0 0:1*
0:1 ლეჰტინენი (9), 0:2 ი.იოკინენი (14), 1:2 ჟოვანოვსკი (14), 1:3 ჰაგმანი (21), 2:3 ნოლანი (26), 3:3 ზიგომანისი (48), 3:4 ლეჰტინენი (65)

**კალგარი 5:3 ვანკუვერი**
*2:1 2:0 1:2*
1:0 ჰუსელიუსი (5), 1:1 დ.სედინი (15), 2:1 პანიოფი (19), 3:1 იგინლა (27), 4:1 ლომბარდი (30), 4:2 ბულისი (46), 4:3 ბიეკსა (51), 5:3 ტანგეი (60)

**ლოს ანჯელესი 5:4 კოლორადო**
*0:2 2:1 3:1*
0:1 ლააკსონენი (4), 0:2 საკიკი (7), 1:2 კონსტოპულოსი (25), 2:2 კამალერი (28), 2:3 ლაილსი (39), 3:3 კამალერი (45), 3:4 ტარჟონი (46), 4:4 ს. ტორნტონი (51), 5:4 კონროი (54)

**სან ხოსე 3:1 ნეშვილი**
*2:0 0:1 1:0*
1:0 კ.ბრაუნი (5), 2:0 ჩიჩუ (17), 2:1 ვასიჩეკი (35), 3:1 ჩიჩუ (57)

„ფინიქსი" როგორც იქნა განიკურნა „ვარსკვლავური" დაავადებისგან. არ იფიქროთ, თითქოსდა არიზონელებს წარმატებები აუვარდათ თავში და ყველას ზემოდან უყურებენ. არა, საქმე იმაშია, რომ „კოიოტებს" ვერაფერი მოეხერხებინათ „დალასელი ვარსკვლავებისთვის", რომელთაც წლეულს სამ მატჩში კინკილა გოლიც ვერ გაუტანეს.

მაგრამ შაბათს „ფინიქსმა" ეს ნავსი გატეხა, თუმც წაგებას მაინც ვერ გადაურჩა — „დალასს" მისმა ფინურმა ლეგიონმა მოაგებინა, რომელთა შორის განსაკუთრებით იერი ლეჰტინენმა გაიბრწყინა.

კვლავ დიდებულად ირჯება 19 წლის სიდნი კროსბი, რომელიც ბომბარდირთა დავაში უკვე მეხუთე ადგილამდე აღზევდა და ლიდერ იარომირ იაგრს მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩება. გუშინ კი კანადელი ვუნდერკინდის დახმარებით (1+1) „პიტსბურგმა" ოთხმატჩიან წაგებათა სერიას ბოლო მოუღო და გასვლაზე „ატლანტა" დასცა, მაგრამ მატჩის გმირი არა კროსბი, არამედ მასზე არანაკლებ ნიჭიერი ევგენი მალკინი გახლდათ, რომელმაც გოლს ორი შედეგიანი გადაცემა დაურთო.

აი, „კალგარი" მთელ ლიგას უჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მშობლიური კედლების ფაქტორი — „ალებმა" ზედიზედ მეცხრე საშინაო შეხვედრა მოიგეს, ამჯერად კი თანადივიზიონელი „ვანკუვერი" შეიწირეს. რა თქმა უნდა, „კალგარის" წარმატებაში ლომის წილი კაპიტანმა ჯერომ იგინლამ დაიდო, რომელსაც გუშინ სხვებიც სათანადოდ აჰყვნენ და მოლიანობაში აღვილადაც მოიგეს.

რეგულარული ჩემპიონატის ლიდერი „ანაჰაიმი" კი აღებული ტემპის დაგდებას სულაც არ აპირებს. „იხვებმა" ამ უქმეებზე გასვლაზე ზედიზედ წააქციეს „ვაშინგტონი" და „ტამპა" და ლიგაში პირველები გადასცდნენ 50-ქულიან ზღვარს. ძველებურად ბრწყინავს ტეემუ სელიანე, რომელმაც ახლაც დაამტკიცა, რომ ნოემბრის საუკეთესო მოთამაშედ ტყუილად არ დაუსახელებიათ — „ფინურმა ელვამ" ამ ორ შეხვედრაში ოთხი ქულა (2+2) დააგროვა.

„ტორონტოს" საუბედუროდ, „დეტროიტმა" მაინდამაინც მასთან შეხვედრაში გაიხსენა, რომ შარშან მეტობაში თამაშში საუკეთესო იყო. წლეულს „წითელი ფრთები" ამ კომპონენტში მაგრად კი მოიკოჭლებენ, მაგრამ შაბათს უბრალოდ თავი გაიგიჟეს — წინა 27 შეხვედრაში მეტობაში მხოლოდ 13 შაიბა დაეგროვებინათ, მაგრამ კანადელებს უხეშობა არ აპატიეს და ხუთივე გოლი მაშინ გაიტანეს, როცა „ტორონტო" კაცნაკლული თამაშობდა.

შაბათის დღის გმირი კი მაინც მინესოტელი მარკ პერიში იყო, რომელმაც ჰეთ თრიქი მიითვალა. მინესოტა — ჩიკაგოს მთავარ მოვლენად უდავოდ მარტინ ჰავლატის დაბრუნება უნდა ქცეულიყო. „ალექჰოქსის" ჩეხმა ლიდერმა ყინულზე დაბრუნება ორი გოლით აღნიშნა და ყველაფერი გააკეთა თავისი გუნდის გამარჯვებისთვის, მაგრამ პერიშმა ალბათ კარიერის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და ოვერტაიმის მიწურულს გატანილი გადამწყვეტი გოლით ჰავლატს მთელი წვალება წყალში ჩაუყარა.

**კახა ლომაშვილი**



მარკ პერიში ოვერტაიმში გატანილ გადამწყვეტ გოლს ზეიმობს

## მსოფლიოს თასი. მეორე ეტაპი
### ჰოხფილცენი (ავსტრია). 8 – 10 დეკემბერი



# ისევ ოლე და იქაც ანდრეა



ანდრეა ჰენკელი

**პარასკევიდან** კვირის ჩათვლით ავსტრიულ ჰოხფილცენში ბიატლონისტთა მსოფლიოს თასის მესამე ეტაპი ჩატარდა, რომლის პროგრამაშიც სპრინტი, გამოდევნებით რბოლა და ესტაფეტები იყო.

გინდა ჰოხფილცენი იყოს, გინდა ოსტერსუნდი და გინდა ნაგანო — ოლე ეინარ ბიორნდალენი შეუდარებელია და ყველას ერთი კი არა, რამდენიმე თავით აღემატება. დიადმა ნორვეგიელმა თავისი სიძლიერე ამ პატარა ავსტრიულ ქალაქშიც დაამტკიცა და დიდი უპირატესობით მოიგო როგორც 10 კილომეტრზე სპრინტი, ისე 12,5 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლა.

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ოლემ სპრინტის ორივე სასროლეთი უშეცდომოდ გაიარა და აბა, მისი დამწევი ვინ იქნებოდა. ყველაზე დიდი კონკურენცია ნორვეგიელს ტურინის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონმა, გერმანელმა მიხაელ გრაისმა გაუწია — მხოლოდ ერთ სამიზნეს ააცილა და ბიორნდალენს 39,2 წამით ჩამორჩა. აი, გამოდევნებით რბოლაში კი, რომლის სტარტზეც ბიატლონისტები სპრინტის შედეგების გათვალისწინებით დგებიან, ბიორნდალენმა ახლოსაც არავინ გაიკარა — ოთხ სასროლეთზე მხოლოდ ორი შეცდომა დაუშვა და უახლოეს მდევარს, წლევანდელი სეზონის აღმოჩენად ქცეულ რუს დმიტრი იაროშჩენკოს 2 წუთზე მეტი მოუგო. იაროშჩენკომ ბიორნდალენის უკან, უკვე მესამედ დაამთავრა რბოლა წლევანდელ სეზონში და ამ ჯერზე კი მესამე-მეოთხე ადგილებზეც რუსები — ივან ჩერეზოვი და სერგეი როჟკოვი გავიდნენ. გრაისს რაც შეეხება, ამჯერად მან ერთბაშად 7 სამიზნე დატოვა ხელუხლებელი და, მიუხედავად იმისა, რომ თხილამურებით სასწაულებრივად იმუშავა, მხოლოდ მე-13 ადგილი დაიკავა.

მორიგი ორი გამარჯვება და ბიორნდალენი, ვის ანგარიშზეც, უკვე 72 საკარიერო გამარჯვებაა, 250 ქულით საერთო ჩათვლის კენწეროშია და ახლოს არავის იკარებს. ისევე, როგორც ქალებში გერმანელი ანდრეა ჰენკელი, რომელმაც ჰოხფილცენში ბიორნდალენის დარად დუბლი შეასრულა — სპრინტიც მოიგო და გამოდევნებაც.

7,5 კილომეტრზე სპრინტში ჰენკელმაც უშეცდომოდ ისროლა და ზუსტად ნახევარი წუთი მოუგო წელს მშვენივრად მოასპარეზე პოლონელ მაგდალენა გვიზდუნს. ანდრეა 10 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლის დროსაც მშვენივრად ისროდა — მხოლოდ ერთი სამიზნე გააცუდა და სკანდინაველებს, ნორვეგიელ ლინდა გრუბენსა და სახელოვან შვედ ანა კარინ ოლოფსონს მიახლოების საშუალება არ მისცა.

**გია მუჯირი**

## კაცები

| 10 კმ. სპრინტი(2 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1 ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 26წთ 27,9წმ (0) |
| 2 მიხაელ გრაისი (გერმანია) | +39,2წმ (1) |
| 3 მატიას სიმენი (შვეიცარია) | +46,5 (2) |
| 4 ფრიდრიხ პინტერი (ავსტრია) | +50,2 (1) |
| 5 ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | +53,9 (0) |

| 12,5 კმ გამოდევნება(4 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1 ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 39.59,9 (2) |
| 2 დმიტრი იაროშჩენკო (რუსეთი) | +2.08,1 (2) |
| 3 ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | +2.20,0 (1) |
| 4 სერგეი როჟკოვი (რუსეთი) | +2.37,5 (2) |
| 5 ფრიდრიხ პინტერი (ავსტრია) | +2.42,2 (4) |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1 ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 250 ქულა |
| 2 დმიტრი იაროშჩენკო (რუსეთი) | 192 |
| 3 მიხაელ გრაისი (გერმანია) | 180 |
| 4 ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 164 |
| 5 ფრიდრიხ პანტერი (ავსტრია) | 141 |

## ქალები

| 7,5 კმ. სპრინტი(2 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1 ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 24.22,6 (0) |
| 2 მაგდალენა გვიზდუნი (პოლონეთი) | +30,6 (0) |
| 3 იანგ ჩაო კონგი (ჩინეთი) | +37,4 (1) |
| 4 კატი ვილჰელმი (გერმანია) | +48,3 (1) |
| 5 დარია დომრაჩევა (ბელარუსია) | +56,6 (1) |

| 10კმ. გამოდევნება (4 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1 ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 32.29,2 (1) |
| 2 ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | +37,4 (1) |
| 3 ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | +39,9 (1) |
| 4 კატი ვილჰელმი (გერმანია) | +2.01,0 (4) |
| 5 მარტინა გლაგოვი (გერმანია) | +2.20,0 (2) |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1 ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 204 |
| 2 ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 178 |
| 3 კატი ვილჰელმი (გერმანია) | 174 |
| 4 მაგდალენა გვიზდუნი (პოლონეთი) | 171 |
| 5 ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 150 |



## მსოფლიოს თასი
### რაიტერალმი (ავსტრია). 10 დეკემბერი

# ივიცა, ძმა იანიცასი

**დეკემბრისთვის** უჩვეულო ევროპულმა სითბომ და უთოვლობამ მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის ორგანიზატორებს გვარიანად აურია დავთრები — მთელი რიგი ეტაპები გადაიდო, ზოგი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანეს, მაგრამ დიდად სახარბიელო პირობები არც იქ იყო და ასე შემდეგ...

ახლა, თითქოს საქმე გამოსწორებისკენ წავიდა და ისიც ხელოვნური თოვლის წყალობით. ყოველ შემთხვევაში, ირწმუნებიან, რომ 15-16 დეკემბერს ვალგარდენში გასამართი ეტაპი სრული პროგრამით ჩატარდება. მანამდე კი, გუშინ, ავსტრიულ რაიტერალმში ფრანგული ვალ დიზერიდან გადმოტანილი კაცთა სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება+სლალომის ერთი დაშვება) ჩატარდა და კოსტელიჩების სახელოვანი გვარის წარმომადგენლის, სწორუპოვარი იანიცას ძმის, ივიცას გამარჯვებით დასრულდა.

სწრაფდაშვებაში ყველას შვედმა ნიკლას რაინერმა აჯობა, ციცაბო ფერდობი წუთსა და 19,38 წამში ჩაიქროლა და კოსტელიჩს, რომელიც ამ სახეობაში დიდად არ ბრწყინავს, ნახევარი წამი მოუგო. მეორე-მესამე ადგილებზე ავსტრიელები შრაიბერი და გრუბერი იყვნენ, რომლებიც შვედს წამის ცხრა მეასედით ჩამორჩნენ. ეს ავსტრიელები სლალომში სუსტები არიან და არც განიხილებოდნენ ფავორიტებად. სამაგიეროდ, სხვა ავსტრიელმა, რომედ ბაუმანმა ივარგა და საბოლოო ჯამში მეორე ადგილიც დაიკავა, მაგრამ კოსტელიჩს მაინც წუთზე მეტით ჩამორჩა. სლალომში ივიცა მართლაც შეუდარებელი იყო — თვით ამ საქმის დიდოსტატებს, ავსტრიელებს რაინერ შონფელდერს, ბენჯამინ რაიხს და იტალიელ ჯორჯო როკასაც დიდი სხვაობით აჯობა და ალალად ირგუნა პირველი ადგილი — მართალია, იანიცა ტრავმის გამო ამ სეზონს ტოვებს, მაგრამ კოსტელიჩები ისე არ დაეცემით, მსოფლიოს თასზე რამდენიმე ეტაპი მაინც ვერ მოვიგოთო.

რაც შეეხება სწრაფდაშვებაში საუკეთესო რაინერს, ის სუპერკომბინაციის ჩათვლაში მე-7 ადგილზე გავიდა. მასზე ერთი ადგილით წინ იყო ნორვეგიელი აქსელ ლუნდ სვინდალი, ვინც ლიდერობს კიდეც მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლას.

**გია მუჯირი**



ივიცა კოსტელიჩი

## კაცები

| სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება+სლალომის 1 ცდა) | |
|---|---|
| 1 ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 2წთ, 08,90წმ (1.19,87+49,03) |
| 2 რომედ ბაუმანი (ავსტრია) | 2.09,98 (1.20,04+49,94) |
| 3 პიერიკ ბურჟე (საფრანგეთი) | 2.10,41 (1.20,29+50,12) |
| 4-5 ჰანს ოლსონი (შვედეთი) | 2.10,44 (1.20,55+49,89) |
| 4-5 ტედ ლიგეტი (აშშ) | 2.10,44 (1.20,49+49,95) |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1 აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 275 ქულა |
| 2 პეტერ ფილი (იტალია) | 206 |
| 3 დიდიე კუშე (შვეიცარია) | 204 |
| 4 ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 176 |
| 5 რაინერ შონფელდერი (ავსტრია) | 169 |

# მასკაევი ქამრიანად გარუსდა

**გუშინ** საღამოს მოსკოვში WBC-ს ვერსიით ჩემპიონმა მძიმე წონაში ოლეგ მასკაევმა ტიტული დაიცვა, დაამარცხა რა უგანდელი პიტერ ოჰელო. აქამდე ყველასთვის ყაზახად ცნობილ, მაგრამ ახლახან გარუსებულ მასკაევს კი გაუჭირდა, მაგრამ უპირატესობა აშკარად მის მხარეს იყო და დამსახურებულადაც იმარჯვა. ასე რომ, 2006 წელი მაინც ისე იწურება, რომ მძიმე წონაში ოთხიდან სამი ქამარი პოსტ-საბჭოელთა ხელში რჩება.

მოსკოვში კი მართლაც დიდი ზეიმი მოაწყვეს. ძნელი სათქმელია ეს იმიტომ მოხდა, რომ რუსეთის დედაქალაქში ამ დონის ბრძოლა აქამდე არასოდეს გაართულა, თუ თავიანთ ახალ ფალავანს მიაგეს პატივი, მაგრამ რუსებმა ყველაფერი სათანადოდ გააკეთეს — თუნდაც ის რად ღირდა, რომ ჰიმნი იოსებ კობზონს ამღერეს. მოკლედ, ყოველივე ამით ბრძოლის ორგანიზატორებმა ოფიციალურად გააფორმეს მასკაევის გარუსება. თვითონ ოლეგმაც შეიფერა და მართალია, „წმინდა დერჟავას" არ უმღერა (ტექსტი არ იცოდა ალბათ), მაგრამ თვალზე ცრემლ-მომდგარი კი იდგა.

ისე, ბრძოლის წინ ორივე მოკრივე იმედიანად იყო განწყობილი. აკი ამბობდა უგანდელი სამშობლოში ქამარი უნდა ჩავიტანოო. მასკაევიც არანაკლებ თვითდაჯერებული იყო, მაგრამ მის გულშემატკივრებს ოლეგის ფეხის ტრავმა აღელვებდათ — მოგეხსნებათ ამის გამო „ახალმა რუსმა" ღია ვარჯიში ვერ ჩაატარა. მართლაც, ისედაც ნელი მასკაევი კიდევ ფეხს რომ შეეზღუდა, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდებოდა.

საკუთრივ ბრძოლა კი ძალიან მძიმე საყურებელი გამოდგა როგორც დარბაზში შეკრებილი, ისე ტელეაუდიტორიისთვისაც. მასკაევს ტრავმის არაფერი ეტყობოდა, მაგრამ მის ჩხუბს ჩემპიონური მაინც ძნელად დაერქმევა — ტრადიციულ სიზანტესთან ერთად შემუშავებული ტაქტიკური მონახაზის არაფერი ეტყობოდა. ეგ კი არა და ოლეგი თავიდან მეტოქის უბრალო დაცვითმა სტილმაც მაგრად დააბნია. ოჰელოს კარგად ცოდნია, რომ მასკაევის უმთავრესი იარაღი მარჯვნიდან პირდაპირი დარტყმაა და ამას თავიდან ადვილად უმკლავდებოდა.

თუმც ოჰელოს წარმატებები ამით ამოიწურა — უბრალოდ უცნობია, თუ რის იმედზე გავიდა უგანდელი რინგზე. აფრიკელს შეტევაში აბსოლუტურად არაფერი უჩვენებია და 12 რაუნდის განმავლობაში მეტოქეს სამ-ოთხჯერ თუ მოარტყა ხეირიანად.

ასე თუ ისე, ოჰელო საკმაოდ იოლად უძლებდა ჩემპიონს, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, აფრიკელი მალე დაილალა — გამძლეობა-ამტანობაში პოსტ-საბჭოელებს ბადალი მართლაც არ ჰყავთ. პლუს მასკაევმაც შეიგნო მწვრთნელების შეგონება და როგორც იქნა ტაქტიკა შეცვალა — დაახლოებით მეშვიდე რაუნდიდან რუსი უკვე კორპუსში უტევდა მეტოქეს და უგანდელი ამან მალე გამოფიტა.



ოლეგ მასკაევმა მეტოქეს შანსიც არ დაუტოვა

AFP

ბრძოლის ყველაზე საინტერესო ნაწილი მეათე რაუნდი გამოდგა, როდესაც მასკაევმა სერიოზულ წნეხში მოაქცია მეტოქე და ნოკდაუნშიც გაუშვა. ჩემპიონი კიდევ ერთხელ ბოლოსკენ გააქტიურდა, რადგანაც თავისი ტრიბუნების წინ ნოკაუტით მოგება ეწადა. თუმც არ გამოუვიდა — ოჰელომ აქეთ-იქით სირბილში დრო გაიყვანა და მოსკოვური ფიცარნაგთან პაემანს გადაურჩა.

სამივე მსაჯმა მასკაევს მიაკუთვნა გამარჯვება, ოჰელოს კი ჩემპიონობაზე ფიქრის დიდი ხნით, შეიძლება სამუდამოდაც დავიწყება მოუწევს.

დაბოლოს ეგრეთ წოდებულ გამახურებელ ბრძოლებზეც ვთქვათ — ყველაზე საინტერესო რუსთა იმედ ალექსანდერ პოვეტკინის ამერიკელ იმამ მეიფილდთან ჯახი იყო. ათენის ოლიმპიურ ჩემპიონ პოვეტკინს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და მასაც თავისი ამბიციები გუშინ უნდა დაემტკიცებინა.

რუსმა ეს მშვენივრად მოახერხა და მეიფილდს წირვა უკვე მესამე რაუნდის შუაწლეზე გამოუყვანა — მანამდე ორჯერ დაანოკდაუნა და წარბიც გაუხეთქა. ჰოდა, ამერიკელი კიდევ ერთხელ რომ წაიქცა, რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა და პოვეტკინი გამარჯვებულად გამოაცხადა.

**ქაxა ლომაშვილი**

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 11 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 1 | შეფილდი-ასტონ ვილა | 2.75 | 3.20 | 2.45 | 1.47 | 1.29 | 1.38 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 11 დეკემბერი | | | | | | |
| 23:15 | 75 | ფრაიბურგი-კარლსრუე | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 11 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 97 | ჩეზენა-ნაპოლი | 2.55 | 2.70 | 2.90 | 1.31 | 1.35 | 1.39 |
| | | იტალია. სერია C1/A | | | | | | |
| | | 11 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 109 | პიზა-პრო პატრია | 1.50 | 3.10 | 7.70 | 1.01 | 1.25 | 2.21 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 11 დეკემბერი | | | | | | |
| 23:30 | 178 | დიჟონი-გრენობლი | 1.90 | 2.90 | 4.00 | 1.14 | 1.28 | 1.68 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 11 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 218 | ნასიონალი-პორტუ | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 12 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 259 | ბასინგსტოუკი-ალდერშოტი | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 23:45 | 260 | ბორნმუთი-როვერსი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:45 | 261 | ჩესტერი-ბერი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 262 | დონკასტერი-მენსფილდი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 263 | ლეიტონი-ტორკი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 23:45 | 264 | მილუოლი-ბრედფორდი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:45 | 265 | ნოტინგემი-სალისბერი | 1.15 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.28 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 11 დეკემბერი | | | | | | |
| 22:00 | 399 | მალმიო-ფრიოლუნდა | 2.40 | 4.00 | 2.00 | 1.50 | 1.09 | 1.33 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | შეფილდი-ასტონ ვილა | 3.30 | 2.00 | 2.95 | 1.24 | 1.55 | 1.19 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | შეფილდი-ასტონ ვილა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | შეფილდი-ასტონ ვილა | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | შეფილდი-ასტონ ვილა | 1.60 | 2.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | შეფილდი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.80 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | შეფილდი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | შეფილდი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.70 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | შეფილდი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ინგლისი
## პრემიერლიგა
## XVII ტური

### მანჩესტერი 3:1 სიტი
1:0 რუნი (6), 2:0 საა (45), 2:1 ტრაბელსი (72), 3:1 რონალდუ (85)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ჰაინცე, რონალდუ, კარიკი, სქოულზი, გიგზი, რუნი, საა (ოში 66)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
სიტი: რივერი (ისაქსონი 46), რიჩარდსი (ბიზლი 76), დანი, დისტინი, ტეტჩერი, ტრაბელსი, რეინა (ირლანდი 46), ბარტონი, ვასელი, კორადი, სამარასი
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
გაფრთხილება: რუნი, ტეტჩერი, რეინა, კორადი
გაძევება: კორადი (90)
მსაჯი: პოლი
75 858 მაყურებელი

### ლივერპული 4:0 ფულემი
1:0 ჯერარდი (54), 2:0 კარაგერი (61), 3:0 ლუის გარსია (66), 4:0 გონსალესი (90)
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი, ალონსო, ჯერარდი, ლუის გარსია (ფაულერი 80), ბელამი (კრაუჩი 77), კუიტი (გონსალესი 72)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ფულემი: ლაშტუვკა, ვოლცი, ნაითი, პირსი (ჰელგუსონი 90), როსენიორი, რაძინსკი, ბრაუნი, დიოპი (კრისტანვალი 49), კ. იენსენი, ბოა მორტე, მაკბრაიდი (ჯონი 72)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: პენანტი, პირსი
მსაჯი: რენიე
43 189 მაყურებელი

### პორტსმუთი 2:0 ევერტონი
1:0 ტეილორი (14), 2:0 კანუ (26)
პორტსმუთი: ჯეიმსი, პრიმუსი, ჯონსონი, კემპბელი, პამაროტი, ონილი, ფერნანდესი, დევისი (ჰიუზი 90), ტეილორი, მვარუვარი (დუალა 62), კანუ (კრანჩარი 81)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ევერტონი: ჰოვარდი, იობო, სტაბსი, ვეირი (მაკფადენი 46), ლესკოტი, ვან დერ მეიდე (ვაგანი 80), დეივისი, კარსლი, ნუნუ ვალენტე, ჯონსონი, ბიტი (ანიჩებე 46)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ჯონსონი, დევისი, ბიტი, ვან დერ მეიდე, ჯონსონი, სტაბსი
მსაჯი: კლატენბურგი
19 528 მაყურებელი

### ტოტენჰემი 5:1 ჩარლტონი
1:0 ბერბატოვი (31), 2:0 ტაინიო (33), 2:1 დოუსონი (43ს.კ.), 3:1 მალბრანკი (55), 4:1 დეფო (63), 5:1 ბერბატოვი (66)
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა (სტალტერი 82), დოუსონი, კინგი, ლი, ლენონი, ჰადლსტოუნი, ტაინიო, მალბრანკი (მერფი 70), ბერბატოვი (მიდო 76), დეფო
მწვრთნელი: მარტინ იოლი
ჩარლტონი: კარსონი, იანგი, დიავარა, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, სემი, კიშიშევი (რომედალი 53), ფეიე, ჰიუზი, რიდი (ჰასელბაინკი 67), დ. ბენტი
მწვრთნელი: ლეს რიდი
გაფრთხილება: დოუსონი, მავრანკი, ჰიუზი, რიდი, სემი, დიავარა
მსაჯი: დინი
35 565 მაყურებელი

### ბოლტონი 4:0 ვესტ ჰემი
1:0 2:0 დევისი (17, 52), 3:0 დიუფი (77), 4:0 ანელკა (78)
ბოლტონი: იასკალაინენი, ჰანტი, ფეიე, მეიტე, პედერსენი, კამპო, დევისი (ვაზ ტე 82), ნოლანი, სპიდი (გარდნერი 88), დიუფი (ტალი 79), ანელკა
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ვესტ ჰემი: გრინი, სპექტორი (პანსილი 61), მაკარტნი, დეილი, კოლინზი, კონჩესკი, მულინსი, რეო-კოკერი, ეტერინგტონი, ჰარვუდი, ტევესი (შერინგემი 61)
მწვრთნელი: ალან პერდიუ
გაფრთხილება: დიუფი, კამპო, რეო-კოკერი, ეტერინგტონი
მსაჯი: ვები
22 283 მაყურებელი

### ბლექბერნი 1:3 ნიუკასლი
0:1 მარტინსი (31), 0:2 ტეილორი (35), 1:2 პედერსენი (47), 1:3 მარტინსი (90)
ბლექბერნი: ფრიდელი, ნილი, ოიერი, ანშო, გრეი, ბენტლი (ტოდი 46), სევიჯი, თუგაი, პედერსენი, ნონდა (დერბიშირი 46), მაკარტი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ნიუკასლი: გივენი, სოლანო (როსი 67), რემიჯი, ტეილორი, ბაბაიარო, მილნერი, ბატი, ემრე (პატისონი 54), ნზოგბია, მარტინსი, სიბიერსკი (ჰანტინგტონი 86)
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
გაფრთხილება: მაკარტი, ბაბაიარო, ნზოგბია
გაძევება: ანშო (40)
მსაჯი: გალაჰერი
19 225 მაყურებელი

### მიდლსბრო 1:1 უიგანი
0:1 კამარა (24პ), 1:1 იაკუბუ (67)
მიდლსბრო: შვარცერი, შავიერი, ვუდგეიტი, პოგატეცი (პარნაბი 46), ტეილორი, მორისონი, ბოატენგი, არკა, დაუნინგი, ვიდუკა, იაკუბუ
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
უიგანი: კირკლანდი (პოლიტი 46), რაიტი, ბოისი, ჰოლი, ბაიენსი, კოტერილი (ვალენსია 57), შერნერი, სკოკო, კილბეინი, კამარა, მაკკულოხი, ვალენსია (იოჰანსონი 68)
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: პოგატეცი, ვიდუკა, მაკკულოხი
მსაჯი: ბენეტი
23 638 მაყურებელი

### უოტფორდი 0:0 რედინგი
უოტფორდი: ლი, ჩემბერსი, დემერიტი, შიტუ, სტიუარტი, სმიტი (პოუელი 84), ფრენსისი, ბანგურა, ბოაზა, იანგი, ჰენდერსონი
მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი
რედინგი: ჰანემანი, ბიკეი, სონკო, ინგიმარსონი, შორი, ოსტერი (ლიტლი 90), ჰარპერი, სიდველი, ჰანტი, ლიტა (ლონგი 75), დოილი
მწვრთნელი: სტივ კოპელი
გაფრთხლება: ოსტერი
მსაჯი: ფოი
19 223 მაყურებელი

### ჩელსი 1:1 არსენალი
0:1 ფლამინი (78), 1:1 ესიენი (84)
ჩელსი: ილარიო, ჯერემი (შ. რაიტ-ფილიპსი 66), კარვალიუ, ტერი, ეშლი კოული, ესიენი, ბალაკი, მაკელელე, ლამპარდი, შევჩენკო (რობენი 67), დროგბა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
არსენალი: ლემანი, ებუ, ჟურუ, სენდეროსი, კლიში, გლები, ფაბრეგასი, ჟილბერტო, ფლამინი, ვან პერსი (ლიუნგბერგი 83), ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ეშლი კოული, დროგბა, ფლამინი, ლემანი
მსაჯი: ვაილი
41 917 მაყურებელი

### შეფილდი — ასტონ ვილა
*დღეს გაიმართება*


AFP მანჩესტერიდან

მანჩესტერი — სიტი. მასპინძელთა არტილერია: უეინ რუნი და ლუი საა

# ფერგიუსონის ზღაპრების წიგნი

„მანჩესტერ იუნაიტედი“ კვლავ იგებს და კვლავაც ცხრილის სათავეშია, თანაც მტკიცედ.

ამ ჯერზე მანკუნიანური დერბი იყო და „სიტიმ“ მხოლოდ მეორე ტაიმის ერთი მონაკვეთს გაიფაფხურა, რამაც თამაშის შემოტრიალების სურვილი გაუჩინა, თუმცა, აქედან არაფერი გამოვიდა „იუნაიტედის“ კიდევ ერთი გოლის გარდა. თამაშის მიწურულს „ცისფერებს“ საჯარიმოში საპენალტე სიმულაციისთვის იტალიელი ბერნარდო კორადი გაუძევეს მეორე ყვითლი. მანამდე კი დაშავებული მეკარე ნიკი ვივერი შეიქნა შესაცვლელი. ასე რომ, გასაჭირი ბევრი იყო. უეინ რუნიმ უკვე 6-ე წუთზე შეაგდო თავისი 50-ე პრემიერლიგური გოლი, ალექს ფერგიუსონმა კი თქვა: „ჩვენ ზღაპრული ფორმაში ვართ. ეს მახარებს. „სიტი“ მართლა კარგი გუნდია და ანგარიში უნდა გაგვეწია“.

საერთოდ კი შაბათი უხვგოლიან დაშამათებათა დღე გამოდგა:

ისევე, როგორც გასულ ტურში „უიგანთან“, „ლივერპულმა“ ამჯერადაც ოთხი მშრალი ბურთით მოიგო, ძლეული კი ფულემი იყო. მეორე ტაიმის 12-წუთიან მონაკვეთში სტივ ჯერარდის ნიჭმა სამი გოლი შექმნა წვიმიან ენფილდზე, და წითლები მეოთხე საფეხურზე აცოცდნენ. მენეჯერ რაფა ბენიტესისთვის ეს ასევე 50-ე სალიგო გამარჯვება იყო კოპთა სათავეში, ჯემი კარაგერმა კი კარიერაში მეორე გოლი გაიტანა.

„ბოლტონის“ „რიბოკზე“ კი ორმოცს მიტანებული გარის სპიდის მეფობამ შუა მოედანზე მასპინძლებს ასევე 4 უპასუხო გოლი გაატანინა „ვესტ ჰემის“ კარში. კევინ დევისის დუბლის სხვებმაც დააყოლეს, „ვესტ ჰემს“ კი 9 გასვლით თამაშში მერვე წაგება გამოუვიდა. თავის მხრივ, ბოლო შვიდიდან ხუთ მატჩში გოლი ვერ გაეტანა ბოლტონსაც.

37 წლის სპიდმა კი კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში მოახერხა: „ლიგაში მეხუთასედ ვთამაშობდი, მაგრამ სამი ქულა უფრო მნიშვნელოვანია. ბიჭები კარგად ასრულებდნენ გადამწყვეტ დარტყმებს“.

ოთხი ბურთითვე სძლია „ტოტენჰემმა“ „ჩარლტონს“. დიმიტარ ბერბატოვმა ხუთგოლიანი კოშმარი დაიწყო და დაუმთავრა საბრალო გარეუბნელებს, რომელთაც ერთი საპასუხოლა მოახერხეს. „ტოტენჰემმა“ ზედიზედ მეცხრე საშინაო თამაშში იმარჯვა და თვალი ევროპისკენ უჭირავს.

ამასობაში კი ფორმას იბრუნებს „ნიუკასლი“, რომელმაც გასვლაზე დაამარცხა „ბლექბერნი“. თუმცა, მასპინძელთა მენეჯერმა მარკ ჰიუზმა ეს ყველაფერი მსაჯ დერმოტ გალაჰერის შეცდომებს მიაწერა: სტეფან ანშოს 40-ე წუთზე ტყუილად გაგვიგდო მარტენსთან შეჯახებისთვის და საერთოდაც, ორი თამაშგარე გოლად ჩაუთვალა სტუმრებს. ამას თუ იმას მივამატებთ, რომ ჰიუზი აქეთ ითხოვდა ერთი გოლის ჩათვლას, ნიუკასლელთა გამარჯვების სირთულე და ფასი დასანახი შეიქნება.

„პორტსმუთი“ კი სამეულისთვის ბრძოლას არ თმობს: მეტ ტეილორისა და ნვანკო კანუს ლამაზი გოლებით, ზღვისპირელებმა შესვენებამდე მოუთავეს ხელი „ევერტონს“.

„პირველი ტაიმი საზიზღრობა იყო — თქვა წაგებულთა მენეჯერმა დევიდ მოიესმა — „მეორეში კი ვივარგეთ, მაგრამ თამაში ველარ შამოვატრიალეთ“.

ტურის თამაში კი, რაღა თქმა უნდა, „სტემფორდ ბრიჯზე“ იყო და მის შედეგს კმაყოფილი ოდენ „მანჩესტერი“ უნდა დაეტოვებინა. მრავალსვლიანი კომბინაციით ფლამინიმ რომ გაიტანა და „არსენალი“ დააწინაურა, მატჩის დასრულებამდე 12 წუთი კიდევ რჩებოდა, რაც ძალიან ბევრი დროა თუ მეტოქედ „ჩელსი“ გყავს. ჰოდა, მაურინიუს ბიჭებმაც გაიწიეს და, სადაც სამართალია, მოგებაც ალალად ეკუთვნოდათ. აბა, როგორი საქმეა, ბოლო წუთებზე ორჯერ რომ გაარტყამ ძელს. თუმცა ისიც საქმეა, რომ „ჩელსი“ წაგებას გადაურჩა, ესიენის გოლი კი ნაღდი შედევრი იყო. კაი 30 მეტრიდან ისე გაისროლა, ლემანს ალების იოტისოდენა შანსიც არ ჰქონდა.

მოკლედ, სამანჩესტერო ტური გამოვიდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| კანუ (პორტსმუთი) | 9 |
| დროგბა (ჩელსი) | 8 |
| ქ. დოილი (რედინგი) | 8 |
| რუნი (მანჩესტერი) | 8 |
| ლუი საა (მანჩესტერი) | 8 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 17 | 14 | 2 | 1 | 38:9 | 44 |
| ჩელსი | 16 | 11 | 3 | 2 | 26:9 | 36 |
| პორტსმუთი | 17 | 8 | 4 | 5 | 23:13 | 28 |
| ლივერპული | 17 | 8 | 4 | 5 | 23:15 | 28 |
| ბოლტონი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:15 | 27 |
| არსენალი | 16 | 7 | 5 | 4 | 26:13 | 26 |
| რედინგი | 17 | 8 | 2 | 7 | 19:21 | 26 |
| ტოტენჰემი | 17 | 7 | 4 | 6 | 20:21 | 25 |
| ასტონ ვილა | 16 | 5 | 9 | 2 | 19:15 | 24 |
| ევერტონი | 17 | 6 | 6 | 5 | 20:17 | 24 |
| უიგანი | 16 | 6 | 4 | 6 | 20:21 | 22 |
| სიტი | 17 | 5 | 5 | 7 | 14:20 | 20 |
| ფულემი | 17 | 5 | 5 | 7 | 16:27 | 20 |
| ნიუკასლი | 16 | 5 | 4 | 7 | 15:18 | 19 |
| მიდლსბრო | 17 | 4 | 5 | 8 | 14:22 | 17 |
| ბლექბერნი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:21 | 16 |
| შეფილდი | 16 | 4 | 4 | 8 | 11:20 | 16 |
| ვესტ ჰემი | 17 | 4 | 2 | 11 | 10:24 | 14 |
| ჩარლტონი | 17 | 3 | 3 | 11 | 13:28 | 12 |
| უოტფორდი | 16 | 1 | 8 | 7 | 10:20 | 11 |

**XVIII ტური**
16-17 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| ნიუკასლი | : | უოტფორდი |
| რედინგი | : | ბლექბერნი |
| ვესტ ჰემი | : | მანჩესტერი |
| უიგანი | : | შეფილდი |
| არსენალი | : | პორტსმუთი |
| ასტონ ვილა | : | ბოლტონი |
| ჩარლტონი | : | ლივერპული |
| ევერტონი | : | ჩელსი |
| ფულემი | : | მიდლსბრო |
| სიტი | : | ტოტენჰემი |

### ჩემპიონატი. XXII ტური
ბირმინგემი — პრესტონი 3:1; კარდიფი — იფსვიჩი 2:2; ქოვენთრი — ბარნლი 1:0; კრ. პალასი — კოლჩესტერი 1:3; ლიდსი — დერბი 0:1; ნორვიჩი — ვენსდი 1:2; პლიმუთი — ჰალი 1:0; საუთენდი — საუთჰემპტონი 2:1; სტოკი — ქპრ 1:0; სანდერლენდი — ლუტონი 2:1; ვულვზი — ლესტერი 1:2; ბარნსლი — ვესტ ბრომვიჩი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბირმინგემი | 22 | 13 | 4 | 5 | 35:22 | 43 |
| დერბი | 22 | 12 | 4 | 6 | 32:25 | 40 |
| პრესტონი | 22 | 10 | 8 | 4 | 32:22 | 38 |
| სტოკი | 22 | 10 | 7 | 5 | 30:15 | 37 |
| კარდიფი | 22 | 10 | 7 | 5 | 32:22 | 37 |
| საუთჰემპტონი | 22 | 10 | 6 | 6 | 35:26 | 36 |
| ბარნლი | 22 | 10 | 5 | 7 | 30:23 | 35 |
| კოლჩესტერი | 22 | 10 | 4 | 8 | 36:26 | 34 |
| ვესტ ბრომვიჩი | 22 | 9 | 6 | 7 | 34:24 | 33 |
| პლიმუთი | 22 | 8 | 9 | 5 | 28:25 | 33 |
| ქოვენთრი | 22 | 10 | 3 | 9 | 21:18 | 33 |
| სანდერლენდი | 22 | 10 | 3 | 9 | 30:28 | 33 |
| უენსდი | 22 | 9 | 6 | 7 | 29:28 | 33 |
| ვულვზი | 22 | 9 | 5 | 8 | 20:25 | 32 |
| ნორვიჩი | 22 | 8 | 5 | 9 | 29:35 | 29 |
| იფსვიჩი | 22 | 7 | 5 | 10 | 33:33 | 26 |
| კრ. პალასი | 22 | 7 | 5 | 10 | 26:29 | 26 |
| ლესტერი | 22 | 6 | 7 | 9 | 22:28 | 25 |
| ლუთონი | 22 | 7 | 4 | 11 | 29:38 | 25 |
| ქუინზ პარკი | 22 | 6 | 6 | 10 | 31:37 | 24 |
| ბარნსლი | 22 | 6 | 5 | 11 | 28:39 | 23 |
| ლიდსი | 22 | 6 | 3 | 13 | 24:41 | 21 |
| ჰალი | 22 | 4 | 5 | 13 | 18:34 | 17 |
| საუთენდი | 22 | 3 | 6 | 13 | 18:39 | 15 |

### პირველი ლიგა. XXI ტური
ბლექპული — სუონსი 1:1; ბორნმუთი — პორტ ვეილი 0:4; ბრენტფორდი — ტრანმერი 1:1; კარლაილი — სკანთორპი 0:2; ჩესტერფილდი — ოლდემი 2:1; ქრიუ — ნოტინგემი 1:4; ლეიტონი — ჰადერსფილდი 1:0; მილუოლი — ბრედფორდი 2:0; ნორთჰემპტონი — დონკასტერი 0:2; როტერჰემი — ბრისტოლი 1:1; იოვილი — ჯილინგემი 2:0; ბრაიტონი — ჩელტენემი 2:1

### მეორე ლიგა. XXI ტური
აკრინგტონი — მილტონი 3:4; ბოსტონი — რექსემი 4:0; როვერსი — ჰარტლპული 0:2; ჩესტერი — ლინკოლნი 4:1; გრიმსბი — შრიუსბერი 2:1; ჰერეფორდი — ტორკი 1:1; მენსფილდი — ბერი 0:2; ნოტსი — მაკლსფილდი 1:2; როჩდეილი — პიტერბრო 0:1; სტოკპორტი — დარლინგტონი 5:2; უოლსონი — სუინდონი 0:2; უიკომბი — ბარნეტი 1:1

### კონფერენსლიგა. XXII ტური
ბარტონი — ალდერშოტი 1:3; ქროული — ტემუორთი 1:0; ექსეტერი — დაგენემი 3:2; ფორესტ გრინი — საუთპორტი 1:2; გრეისი — იორკი 0:0; ჰალიფაქსი — სტ. ალბანსი 4:1; კიდერმინსტერი — ალტრინჰემი 3:2; მორიკომბი — სტეფორდი 1:0; ნორსვიჩი — ვეიმუთი 0:1; რაშდენი — ოქსფორდი 1:0; სტივენეიჯი — გრეივსენდი 3:0; უოკინგი — კემბრიჯი 0:1

# გერმანია
## ბუნდესლიგა XVI ტური

**ბაიერნი 2:1 კოტბუსი**

1:0 შვაინშტაიგერი (42), 1:1 ბაუმგარტი (53), 2:1 ვან ბუიტენი (54)
ბაიერნი: კანი, ლამი, ლუსიო, სანიოლი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ოტლი (დაისლერი 46), სალიჰამიჯიჩი (პოდოლსკი 67), შვაინშტაიგერი, მაკაი, პიზარო (სანტა კრუზი 78)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, კუკიელკა, მაკენა, მიტრესკი (რივიჩი 90), შელესი, ბანდროვსკი, მუნტიანუ, ციბიგი (კიოიო 67), ბაუმგარტი (შაო 75), რადუ
მწვრთნელი: პეტრიკ სანდერი
გაფრთხილება: სანიოლი, რადუ, ციბიგი
მსაჯი: მეიერი
69 000 მაყურებელი

**აინტრახტი 2:6 ვერდერი**

0:1 ნალდო (3), 1:1 რუსი (4), 1:2 იენსენი (11), 1:3, 1:4 ნალდო (31, 48), 2:4 კირიაკოსი (81), 2:5 ვრანიეში (86), 2:6 დიეგო (90)
აინტრახტი: პროლი, რემერი, რუსი, კირიაკოსი, ვასოსკი (მაიკონი 78), სპიხერი, ოხსი, შტრაიტი, მაიერი, ტურკი (კოლერი 46), ტაკაჰარა
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ვერდერი: ვიზე, ფრიცი (პასანენი 81), ნალდო, მერტესაკერი, შულცი, იენსენი (ვრანიეში 75), ფრინგსი, დიეგო, ბოროვსკი (ვომე 68), კლასნიჩი, კლოზე
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: შტრაიტი, ოხსი, მერტესაკერი, ფრიცი
მსაჯი: კინხოფერი
51 400 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:0 ბოხუმი**

1:0 შტრელერი (87)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ტასკი, ფ. მეირა, დელპიერი, ბოკა, ჰილბერტი (შტრელერი 79), პარდო, და სილვა (გენტნერი 46), ჰიცლშპერგერი (მანინი 63), კაკაუ, გომესი
მწვრთნელი: არმინ ფეე
ბოხუმი: ს. იენსენი, ლენსე, მალტრიცი, დრშეკი, ბენიგი, დაბროვსკი, ცდებელი, შრიოდერი (ილიჩევიჩი 79), ტროიანი (ბეჰმანი 63), მისიმოვიჩი, გეკასი (ვან ჰუტი 82)
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: ბეჰმანი, ლენსი
მსაჯი: მერკი
48 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 1:1 არმინია**

1:0 ნდიენგი (67), 1:1 ბრდარიჩი (68)
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ჟურავი, ტარნატი, ბალიჩი, იანკოვი, როზენტალი (იენდირშეკი 89), შრიოტერი (ბრდარიჩი 54), ბრუგინკი, შტაინერი (ჰაშემიანი 80)
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, ვესტერმანი, გაბრიელი, შულერი, მარქსი (დანებერგი 74), კუჩერა, ნდიენგი (კობილიკი 81), ბიომე (აიგლერი 74), მასმანიდისი, ზუმა
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
გაფრთხილება: ჩერუნდოლო, მარქსი
მსაჯი: ზიტელი
34 107 მაყურებელი

**გლადბახი 1:1 მაინცი**

1:0 დემირტასი (17ს.კ.), 1:1 იოვანოვიჩი (89)
გლადბახი: კელერი, ჰელვეგი, სვენსონი, ზე ანტონიო, კომპერი (დეგენი 63), ტისი, კირხი, კლუგე, ინსუა, დელურა (პოლანსკი 80), კაე
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
მაინცი: ვეტკლო, დემირტასი, ფრიდრიხი, ნოვესკი, როზე, ბაბაცი, პეკოვიჩი (ვრანჩიჩი 68), აზაუაგი (რუმანი 62), ფიოლნერი, საბიჩი (ედუ 75), იოვანოვიჩი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: დეგენი, პეკოვიჩი, როზე
მსაჯი: შმიდტი
44 157 მაყურებელი

**ჰამბურგი 0:0 ნიურნბერგი**

ჰამბურგი: ვეხტერი, შმიდტი, რაინჰანრდტი, მატიისენი, ბენჟამინი, მაჰდავიკია, ლაასი, ტროხოვსკი (სანოგო 64), იაროლიმი, ლიუბოია, ბერიშა (გერერო 72; ლაუტი 84)
მწვრთნელი: თომას დოლი
ნიურნბერგი: შეფერი, რაინჰარდტი, ვოლფი, ბუშომი, პინოლა (გრეშკო 90), მნარი, გალაშეკი, კრისტიანსენი (ბანოვიჩი 46), საენკო, ვიტეკი, შროტი (ბენკო 83)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: შმიდტი, საენკო, ბანოვიჩი
მსაჯი: ფანდელი
54 628 მაყურებელი

**ლევერკუზენი 2:1 ჰერტა**

0:1 პანტელიჩი (22), 1:1 ფრაიერი (33), 2:1 ბაბიჩი (79)
ლევერკუზენი: ბუტი, ატირსონი (ბარნეტა 62), კალსენ-ბრაკერი, კასტრო (შვედლერი 82), ჟუანი, ბაბიჩი, ფრაიერი, როლფსი, შნაიდერი, ბარბარესი, კისლინგი (ვორონინი 61)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
ჰერტა: ფიდლერი, ჩაჰედი, ფრიდრიხი, ფატი, შიმუნიჩი, ჟილბერტო, დარდაი, შმიდტი (ხიმენესი 82), დეჟაგა (ბოატენგი 65), ედე (ნოიენდორფი 74), პანტელიჩი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: კალსენ-ბრაკერი, ვორონინი, ჩაჰედი, დარდაი, ნოიენდორფი
მსაჯი: ბრიხი
22 500 მაყურებელი

**შალკე 3:1 დორტმუნდი**

1:0 პანდერი (14), 2:0 კურანი (25), 3:0 ლოვენკრანდსი (47), 3:1 ფრაი (82)
შალკე: ნოიერი, რაფინია, როდრიგესი, კრსტაიჩი, პანდერი, ვარელა (ლინკოლნი 81), ერნსტი, ქობიაშვილი, ჰალილ ალტინტოპი (ჰამიტ ალტინტოპი 64), ლოვენკრანდსი, კურანი (ლარსენი 81)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, დეგენი, ბრზენსკა (მეცელდერი 58), ამედიკი, დედე, საჰინი, ტინგა, კრინგე, ფრაი (ტირალა 83), ვალდესი (ამოა 22), შმოლარეკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: როდრიგესი, ფრაი, ტინგა, დეგენი
მსაჯი: შტარკი
61 482 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 1:2 ალემანია**

1:0 მადლუნგი (50), 1:1 რეგეკამპფი (72), 1:2 ჰერსიგი (77)
ვოლფსბურგი: იენჩი, მიორლე, კიოგა, ჰოფლანდი, სტეგმაიერი, ვან დერ ლეეგტე, მენსეგეში, მაკიადი, კრჟინოვეკი (სანტანა 86), კლიმოვიჩი (ჰანკე 69), ბოაკი (მადლუნგი 33)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ალემანია: შტრაუბი, შტელე (იბისევიჩი 68), ჰერსიგი, კლიტცპერა, ლეივაკაბესი, ჰაიდრიხი (პინტო 69), მ. ლემანი (კრონტირისი 46), რეგეკამპფი, ფილი, შლაუდრაფი, ებერსი
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
გაფრთხილება: ვან დერ ლეეგტე, მ. ლემანი, ლეივაკაბესი, კრონტირისი, რეგეკამპფი
მსაჯი: კემპტერი
19 891 მაყურებელი

# ნალდო თუ კლოზე?


აინტრახტი — ვერდერი. ჰეთთრიქოსანი ნალდო

„ვერდერმა“ მალევე დაივიწყა „ბარსელონასთან“ მარცხი და გოლუხვი ფეხბურთი ითამაშა ფრანკფურტში. ბრაზილიელმა მცველმა ნალდომ ჰეთ თრიქი მიითვალა და მეორე ტაიმის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ „აინტრახტი“ ამ მატჩში ქულას ვერ ეღირსებოდა.

ანგარიში მესამე წუთზე კლასნიჩი-ნალდოს კომბინაციით გაიხსნა, მაგრამ მასპინძლებმა უმალ გაათანაბრეს — შტრეიტმა საჯარიმო შეასრულა, რუსმა კი თავურით გაიტანა. 26 წლის შტრეიტი „აინტრახტის“ ერთ-ერთი ლიდერია და გერმანიის ნაკრების კანდიდატად ითვლება.

მეთერთმეტე წუთზე სტუმრები კვლავ დაწინაურდნენ. ამჯერად კომბინაცია კლოზემ, კლასნიჩმა და დიეგომ გაითამაშეს, ხოლო საგოლე დარტყმა დანიელ იენსენმა იკისრა.

ნახევარი საათის თავზე „ვერდერი“ უკვე ორგოლიანი სხვაობით იგებდა. ფრინგსიმ საჯარიმოში ჩააწოდა, მცველებს კი ნალდომ აჯობა და თავით შეაგდო ბურთი კარში.

მასპინძელმა კირიაკოსმა ტაიმის მიწურულს გაიტანა, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალეს.

შესვენების შემდეგ ნალდომ მაინც არ მოისვენა და ამჯერად საჯარიმო დარტყმით, დაახლოებით 30 მეტრიდან გატანილით გააგონა მეკარე მარკუს პროლი. აინტრახტელები მსაჯს აუხირდნენ, კლასნიჩი ოფსაიდში იყო და მეკარეს ხელს უშლიდაო, მაგრამ მან ყური არ უგდო.

კირიაკოსმა სხვაობა შტრეიტის კუთხურის შემდეგ შეამცირა, როცა ახლოდან თავით დაარტყა, ამას კი „ვერდერს“ კონტრშეტევა და მეხუთე გოლი მოჰყვა. კლოზეს მეკარემ აუღო, ხოლო ვრანიეშმა მოგერიებულს დაამატა — 2:5. ბოლოს კი დიეგო გავიდა მეკარესთან პირისპირ და მეექვსე გაიტანა.

„ვფიქრობ, რომ ამჟამად გერმანიის საუკეთესო გუნდი ვართ და პირველ ადგილს ვერავინ წაგვართმევს“ — თქვა „ვერდერის“ მენეჯერმა კლაუს ალოფსმა.

მიუნხენის „ბაიერნს“ გაუჭირდა „კოტბუსთან“, რომელიც ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის. მასპინძელთა კარის ჩარჩო მეორე წუთზევე შეზანზარდა, როცა ბაუმგარტმა საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა. კოტბუსელები პირველ ტაიმში „ბაიერნზე“ უკეთ აგორებდნენ ბურთს და საგოლე მომენტებიც შექმნეს, მაგრამ ამაოდ. შესვენებამდე სამი წუთით ადრე ბასტიან შვაინშტაიგერმა ანგარიში გახსნა. თითქოს მისი დარტყმული სახიფათო არ ჩანდა, მაგრამ სტუმართა მეკარე ტომისლავ პიპლიცამ მოახერხა და გოლი გაუშვა. მეორე ნახევრის დასაწყისში ბაუმგარტმა თავისი მაინც გაიტანა, „ბაიერნის“ დაცვას გაექცა და გაათანაბრა. „კოტბუსის“ სიხარული ერთ წუთს გაგრძელდა. შვაინშტაიგერმა საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი და ახმახმა ვან ბუიტენმა თავური დარტყმით „ბაიერნის“ გამარჯვებისა შეაგდო. თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე კოტბუსელმა კუკიელკმა სცადა 20 მეტრიდან გატანა, თუმცკანმა ურთულესი ბურთი მოიგერია.

„ჰერტა“ ლევერკუზენთან მარკო პანტელიჩმა დააწინაურა და სეზონში მეათე გოლი მიითვალა, მაგრამ მასპინძლებმა მეტოქეს მაინც გამოგლიჯეს სამი ქულა. სტუმართა მცველ მალიკ ფატის შეცდომით ისარგებლა პაულ ფრაიერმა და ანგარიში გაათანაბრა. თამაშის მიწურულს კი მარკო ბაბიჩმა ოციოდ მეტრიდან საუცხოოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა — ბურთი ცხრიანში შევარდა.

რურულ დერბიში „შალკემ“ იოლად სძლია „დორტმუნდს“. კრისტიან პანდერმა ანგარიში საჯარიმო დარტყმით გახსნა, რასაც კევინ კურანის შედეგიანი თავური მოჰყვა, ხოლო მესამე გოლი სტუმრებს კურანის პასით პიტერ ლოვენკრანდსმა შეუგდო. დორტმუნდელებმა მეტოქეს ოდენ ალექსანდრ ფრაის გოლით უპასუხეს. შედეგად, გელზენკირხენელები ბრემენის „ვერდერთან“ ერთად ისევ ცხრილის სათავეში არიან.

**ვაჟა ხუციშვილი**


AFP მიუნხენიდან

ბაიერნი — კოტბუსი. ჰასან სალიჰამიჯიჩის „ბაიერნმა“ „კოტბუსი“ არცთუ იოლად დაამარცხა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 16 | 10 | 3 | 3 | [illegible]:21 | 33 |
| შალკე | 16 | 10 | 3 | 3 | 28:17 | 33 |
| შტუტგარტი | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| ბაიერნი | 16 | 9 | 3 | 4 | 26:19 | 30 |
| ჰერტა | 16 | 6 | 6 | 4 | 27:24 | 24 |
| არმინია | 16 | 5 | 7 | 4 | 23:18 | 22 |
| ლევერკუზენი | 16 | 6 | 4 | 6 | 26:23 | 22 |
| დორტმუნდი | 16 | 5 | 7 | 4 | 20:19 | 22 |
| ნიურნბერგი | 16 | 3 | 11 | 2 | 18:15 | 20 |
| აინტრახტი | 16 | 4 | 8 | 4 | 22:27 | 20 |
| ჰანოვერი | 16 | 5 | 5 | 6 | 15:23 | 20 |
| ვოლფსბურგი | 16 | 4 | 7 | 5 | 11:14 | 19 |
| ალემანია | 16 | 5 | 3 | 8 | 25:30 | 18 |
| კოტბუსი | 16 | 4 | 4 | 8 | 18:24 | 16 |
| გლადბახი | 16 | 4 | 3 | 9 | 13:21 | 15 |
| ბოხუმი | 16 | 4 | 3 | 9 | 20:30 | 15 |
| ჰამბურგი | 16 | 1 | 9 | 6 | 13:19 | 12 |
| მაინცი | 16 | 1 | 8 | 7 | 11:26 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კლოზე (ვერდერი) | 10 |
| პანტელიჩი (ჰერტა) | 10 |
| გომესი (შტუტგარტი) | 8 |
| მაკაი (ბაიერნი) | 8 |
| დიეგო (ვერდერი) | 8 |

**XVII ტური**

16-17 დეკემბერი

| | |
|---|---|
| დორტმუნდი | ლევერკუზენი |
| ნიურნბერგი | ჰანოვერი |
| მაინცი | ბაიერნი |
| არმინია | შალკე |
| ბოხუმი | გლადბახი |
| ალემანია | ჰამბურგი |
| კოტბუსი | შტუტგარტი |
| ვერდერი | ვოლფსბურგი |
| ჰერტა | აინტრახტი |

**მეორე ბუნდესლიგა**
**XVI ტური**

ბურგჰაუზენი — ესენი 1:1; აუე — კობლენცი 4:1; ლაუტერნი — კარლ ცაისი 0:0; აუგსბურგი — ბრაუნშვაიგი 0:0; დუისბურგი — პადერბორნი 1:1; ფიურტი — უნტერჰახინგი 1:0; ჰანზა — მიუნხენი 1:1; ოფენბახი — კიოლნი 2:0. ფრაიბურგი — კარლსრუე დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰანზა | 16 | 10 | 6 | 0 | 30:11 | 36 |
| კარლსრუე | 15 | 9 | 5 | 1 | 35:17 | 32 |
| დუისბურგი | 16 | 7 | 8 | 1 | 30:16 | 29 |
| ლაუტერნი | 16 | 8 | 5 | 3 | 23:14 | 29 |
| აუე | 16 | 9 | 2 | 5 | 25:20 | 29 |
| მიუნხენი | 16 | 7 | 4 | 5 | 19:20 | 25 |
| აუგსბურგი | 16 | 5 | 6 | 5 | 15:15 | 21 |
| ფიურტი | 16 | 5 | 5 | 6 | 24:21 | 20 |
| კიოლნი | 16 | 5 | 4 | 7 | 22:22 | 19 |
| ოფენბახი | 16 | 5 | 4 | 7 | 19:23 | 19 |
| კობლენცი | 16 | 5 | 4 | 7 | 19:24 | 19 |
| პადერბორნი | 16 | 4 | 6 | 6 | 13:17 | 18 |
| უნტერჰახინგი | 16 | 4 | 5 | 7 | 15:16 | 17 |
| ფრაიბურგი | 15 | 3 | 7 | 5 | 16:20 | 16 |
| კარლ ცაისი | 16 | 3 | 7 | 6 | 18:31 | 16 |
| ბურგჰაუზენი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:29 | 16 |
| ესენი | 16 | 3 | 4 | 9 | 14:20 | 13 |
| ბრაუნშვაიგი | 16 | 1 | 6 | 9 | 9:26 | 9 |

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**XIX ტური**

ჰამბურგი (მ) — მაგდებურგი 1:1; ზტ პაული — ვუპერტალი 1:1; ალენი — ფორტუნა 4:1; ლევერკუზენი (მ) — ლიუბეკი 0:1; კილი — დინამო დრ 1:0; ემდენი — დორტმუნდი (მ) 3:2; უნიონი — ჰერტა (მ) 2:2; ვილჰელმშავენი — ვერდერი (მ) გადაიდო; გლადბახი (მ) — ერფურტი 0:1

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**XX ტური**

ჰოფენჰაიმი — ბაიერნი (მ) 2:2; ზიგენი — დარმშტადტი 1:2; ჰესენი — ელვერსბერგი 0:2; მიუნხენი (მ) — აალენი 1:1; პირმასენსი — შტუტგარტი (მ) 0:1; როიტლინგენი — ინგოლშტადტი 0:1; ზაარბრიუკენი — პფულენდორფი 2:2; ვეენი — კარლსრუე (მ) 1:0; კიკერსი — ლაუტერნი (მ) 3:0

# იტალია
## სერია A
## XV ტური

### რეჯინა 2:1 ასკოლი
1:0 ა. ლუკარელი (29), 2:0 ამორუზო (78), 2:1 პეკორარი (84)
რეჯინა: პელიცოლი, გიოსა, ა. ლუკარელი, არონიკა, მესტო, მოდესტო (კარობიო 85), ამერინი (ტონიოცი 61), ტედესკო, ლეონი (მისიროლი 74), ამორუზო, ბიანკი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
ასკოლი: პალიუკა, კუდინი, ვასტოლა, პეკორარი, ნასტაზე, ძანეტი, ფონტანა (პეკია 82), ნსიაბამფუმუ (პერული 56), გალოპა, გუბერტი (პაოლუჩი 78), ბიელანოვიჩი
მწვრთნელი: ნედო სონეტი
გაფრთხილება: ვასტოლა, გალოპა, მოდესტო, მისიროლი
მსაჯი: მესინა
6 000 მაყურებელი

### პალერმო 3:0 ლივორნო
1:0 სიმპლისიო (2), 2:0 ამაური (36), 3:0 სიმპლისიო (79)
პალერმო: ფონტანა, კასანი, ძაკარდო, ბარძალი, პიზანო, გუანა, კორინი, სიმპლისიო, დი მიკელე, ბრეშიანო (ტედესკო 82), ამაური (კარაჩოლო 76)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ლივორნო: ამელია, გრანდონი, კუფური, გალანტე, პფერცელი, მორონე, პასონი, ფილიპინი, პასკუალე (ბაკაიოკო 69), პაულინიო (დანილევიჩუსი 80), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: ფილიპინი, გრანდონი, კუფური, კორინი, პაულინიო
მსაჯი: როკი
25 000 მაყურებელი

### ემპოლი 0:3 ინტერი
0:1 კრესპო (60), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (78), 0:3 სამუელი (87)
ემპოლი: ბალი, რადი, ადანი, პრატალი (პოტსი 80), ლუკინი (ტოსტო 46), ბუშე, ალმირონი (გასპარეტო 65), მარიანინი, მორო, ვანუკი, საუდატი
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
ინტერი: ჟულიო სეზარი, ბურდისო, მატერაცი, სამუელი, გროსო (მაქსველი 50), სოლარი (რეკობა 68), კამბიასო, ძანეტი, სტანკოვიჩი, იბრაჰიმოვიჩი, კრესპო (ადრიანო 62)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: იბრაჰიმოვიჩი, რაგი, საუდატი, სტანკოვიჩი, მატერაცი
მსაჯი: აიროლდი
10 000 მაყურებელი

### მილანი 0:0 ტორინო
*ჯილარდინომ ვერ გაიტანა პენალტი (79)*
მილანი: კალაჩი, კაფუ, შიმიჩი, მალდინი, იანკულოვსკი, გურკუფი (გატუზო 61), ბროკი, ზეედორფი, რ. ოლივეირა (ინძაგი 71), ბორიელო (ბონერა 75), ჯილარდინო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ტორინო: აბიატი, ბრევი (დუდუ 75), კიოფი, ფრანჩესკინი, კომოტო, ბარონე, დე აშენტისი, ბალესტრი, ლაზეტიჩი (არდიტო 83), როსინა, სტელონი (მუცი 74)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ბარონე, იანკულოვსკი, დე აშენტისი
მსაჯი: ჯირარდი
50 000 მაყურებელი

### კიევო 0:1 ფიორენტინა
0:1 მუტუ (80)
კიევო: სიჩინიანო, მალაგო, მანდელი, დანა, ლანა, სამარკო, ძანკეტა (ტირიბოკი 77), ბრიგი (მარკოლინი 17), სემიოლი, ობინია, კოსატო (პელსიერი 57)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, დაინელი, გამბერინი (კროლდრუპი 83), პასკუალი, დონადელი, ლივერანი (ბლაზი 85), პაციენცა, მუტუ, იორგენსენი (მონტოლივო 65), ტონი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: მანდელი, დაინელი, მარკოლინი, ობინია
მსაჯი: პაპარესტა
10 000 მაყურებელი

### ატალანტა 3:2 მესინა
1:0 ბომბარდინი (28), 2:0 პინტო (57), 3:0 დონი (67), 3:1 კორდოვა (76), 3:2 დი ნაპოლი (85)
ატალანტა: კალდერონი, არიატი, ლორია, რივალტა, ბელინი, პინტო (ტისონე 84), მილაჩო, ბერნარდინი, ბომბარდინი (ადრიანო 65), დონი, ძამპანა (ვენტოლა 74)
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
მესინა: სტორარი, ლავეკია, ზორო, მორელო, პარიზი (ილიევი 84), ალვარესი (დინაპოლი 80), კოპოლა, სულო, კორდოვა, მასუელო, ფლოკარი
მწვრთნელი: ბრუნო ჯორდანო
გაფრთხილება: ბომბარდინი, სულო, პარიზი, კოპოლა, არიატი
მსაჯი: ფარინა
12 000 მაყურებელი

### კატანია 1:0 უდინეზე
1:0 სპინეზი (68)
კატანია: პანტანელი, სილვესტრი, სოტილი, სტოვინი, ლუჩენტი, ბაიოკო, ედუსეი, კასერტა, კოლუჩი (მილეზი 85), სპინეზი, დელ კორე (ისკო 73)
მწვრთნელი: პიერლუიჯი მარინო
უდინეზე: პაოლეტი, ძენონი, ნატალი, ძაპატა, ფელიპე (დოსენა 72), დე მარტინო (ბარეტო 72), ობოდო, პინცი, მუნტარი, იაკინტა, დი ნატალე
მწვრთნელი: ჯოვანი გალეონე
გაფრთხილება: პინცი, სპინეზი, იაკინტა
მსაჯი: დამატო
17 000 მაყურებელი

### კალიარი 0:0 პარმა
კალიარი: ფორტინი, ფერი, ლოპესი, ბიანკო, აგოსტინი (პიზანო 86), კონტი, კოლუჩი, დაგოსტინო (პეპე 56), ესპოზიტო, კაპონე (ბუდელი 55), სუაზო
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
პარმა: ბუჩი, ფერონეტი, კოუტუ, კონტინი, კასტელინი, დესენა (ჩიგარინი 72), გრელა, ჩირამიტარო, პიზანო (მუსლიმოვიჩი 60), გასბარონი (დედიჩი 85), ბუდანი
მწვრთნელი: სტეფანო პიოლი
გაფრთხილება: ფერონეტი, კოლუჩი, კონტინი, ჩირამიტანო, ჩიგარინი, კოუტუ
მსაჯი: ჩამპი
10 000 მაყურებელი

### სამპდორია 0:0 სიენა
სამპდორია: ბერტი, ძენონი, სალა, ფალკონე, აკარდი, ოლოვერა (კუალიარელა 46), დელ ვეკიო, ვოლპი, ფრანჩესკინი (პალომბო 78), ფლაკი, ბაცანი (ბონაცოლი 69)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
სიენა: მანინგერი, ნეგრო, რინაუდო, პორტანოვა, მოლინარო, კონკო, კანდელა (ალბერტო 81), ვერგასოლა, ლოკატელი (ბრევი 36), ბოგდანი, კიეზა (ფრიკი 63)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: პორტანოვა, აკარდი, ბოგდანი, ბრევი, დელ ვეკიო, კონკო, მოლინარო, კონკო
გაძევება: კონკო (85)
მსაჯი: სკილაჩი
18 000 მაყურებელი

### ლაციო 3:0 რომა
1:0 ლედესმა (44), 2:0 ოდო (52პ), 3:0 მუტარელი (73)
ლაციო: პერუცი, ოდო, სივილია, კრივბარი, ძაური, მუტარელი, ლედესმა, მაური (მანფრედინი 90), მუდინგაი, როკი (ფოჯა 84), პანდევი (მაკინვა 73)
მწვრთნელი: დელიო როსი
რომა: დონი, პანუჩი, მექსეში, კივუ, ტონეტო (ვუჩინიჩი 61), დე როსი, პიზარო, ტადეი, პეროტა, მანსინი, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: მუტარელი, კრივბარი, მუდინგაი, დონი, ტოტი, ძაური, მაური
მსაჯი: როზეტი
70 000 მაყურებელი

# ინტერი რვიანმა გააერთიანა
## ერერა, ტრაპატონი, მანჩინი


ბიჭები ცხრილის თავიდან

AFP ემპოლიდან

**საინტერესო** ტური იყო: თუკი მის საერთო სურათს თვალს ინტერნეტით ადევნებდით, აუცილებლად შეამჩნევდით, რომ მეორე ტაიმის მე-15 წუთამდე ფეხბურთელებს „მკვდარი ანგარიში", ანუ 0:0, მხოლოდ ერთ შეხვედრაში დაეძლიათ. ეს შეხვედრა ბერგამოში მიმდინარეობდა, „ატალანტა" „მესინას" მასპინძლობდა და ჩვენ რომ ვთქვით, იმ დროისთვის 2:0-ს იგებდა. საინტერესოა, რომ ერთი ხნის შემდეგ მასპინძლებმა მესამეც გაიტანეს და... რომ არ გაეტანათ, რა იქნებოდა ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ 3:0-ზე თავი სამშვიდობოს იგრძნეს და ამის გამო კინალამ დაისაჯნენ — სიცილიელებმა ორი გოლით უპასუხეს.

მაგრამ დავუბრუნდეთ, ტურის მე-60 წუთს, როდესაც 0:0-ების ბატონობა კიდევ ერთ ქალაქში დაირღვა: ემპოლიში, „სტადიო კასტელანიზე" „ინტერმა" შეაგდო.

თქვენი ნებართვით, ამ თამაშის ცალკეულ ეპიზოდებს არ აღვწერთ და იმას მოგახსენებთ, რომ „ინტერმა" 3:0 მოიგო, რაც სერია A-ში მისი ზედიზედ მე-8 გამარჯვება, სხვა სიტყვებით კი, ისტორიაში საუკეთესო შედეგი გახლდათ. აქამდე ასეთივე რვიანისთვის „შავლურჯებს" ელინიო ერერასა და ჯოვანი ტრაპატონის მწვრთნელობის დროს მიეღწიათ.

და როდის წააგო „ინტერმა" ბოლოს? ეს გახლდათ გაზაფხულზე, 30 აპრილს აქვე, „კასტელანიზე". მაშინ მარკო მატერაციმ საკუთარ კარში ძალიან სასაცილო გოლი გაიტანა — რატომღაც 30 მეტრიდან დაარტყა და შეაგდო.

ამჯერად „ინტერს" ალარავინ გაუცინებია. მეტსაც გეტყვით, თუკი ამ, ფეხბურთელებით სავსე გუნდზე ასეთი თქმა უხერხული არ არის, იგი ერთგვარად შესუსტებული შემადგენლობით გახლდათ ჩასული, არ ჰყავდა ოლივიე დაკური, პატრიკ ვიეირა, ხულიო კრუზი და მაიკონი, დეიან სტანკოვიჩმა კი ბოლოწამს „ჩაბარა" სამედიცინო ტესტი და თამაშის ნებართვა მიიღო.

„ემპოლის" შეიდმატჩიანი წაუგებელი სერია კი წინა ტურში „ტორინომ" შეწყვიტა (თან თამაშის ბოლო წუთში გატანილი გოლით), ასე რომ, ახლა უკვე ზედიზედ ორ წაგებაზე უნდა ვილაპარაკოთ.

„მილანზეც" ვთქვათ. „შავ-წითლებმა" გულშემატკივარი კიდევ ერთხელ გააწბილეს, „ტორინოს" უმასპინძლეს და ვერ მოუგეს, თან 77-ე წუთზე ალბერტო ჯილარდინომ პენალტი ვერ შეაგდო.

შეგახსენებთ და მოგახსენებთ „მილანის" დაშავებულთა არმიას, რომელმაც გუშინ ვერ ითამაშა: ჯენარო გატუზო, ალესანდრო ნესტა, დიდა, სერჟინიო, ჯუზეპე ფავალი, მასიმო ამბროზინი, ალესანდრო კოსტაკურტა და საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე. ამას ანდრეა პირლოს დისკვალიფიკაციაც დაემატა და...

თუმცა, კი ბატონო, თუ ეს დაშავებულთა ბალანსად შეიძლება ჩაითვალოს, საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ გამოჯანმრთელდა და მოედანს დაუბრუნდა კაფუ.

„სან სიროს" მინდორზე გასულ მილანელებს საკუთარმა ქომაგმა უსტვინა — ეს ჩემპიონთა ლიგაში „ლილთან" წაგების გამოძახილი გახლდათ.

ახლა პენალტის ეპიზოდზე: საჯარიმოში მყოფ ჯილარდინოს ზურგიდან ჩიოფი დაესხა და პენალტით დაისაჯა. ჯილარდინომ დარტყმა თავად დაიჩემა, მაგრამ ჯერ ძელს გაარტყა, შემდეგ კი ვერც ასხლეტილი შეაგდო კარში.

„პალერმომ" კი ხმამაღლა განაცხადა, რომ პატარა კრიზისი დაძლეულია და კვლავ ჩემპიონობისთვის აპირებს ბრძოლას — სიცილიელებმა „ლივორნოს" მოუგეს 3:0. შთამბეჭდავი იყო ისიც, რომ მასპინძლებმა ანგარიში მე-3 წუთზევე გახსნეს და შემდეგაც დაჯაბნეს მეტოქე.

ტური რომაული დერბით დასრულდა, მატჩით, რომელსაც, ალბათ, განსაკუთრებული ყურადღებით ელოდა „ინტერი". სერია A-ს ლიდერს „ლაციომ" მოლოდინი სწორედაც რომ გაუმართლა — „რომას" 3:0 გადაურბინა. ლედესმა, ოდო და მუტარელი — აი, ამ ფეხბურთელებმა „ჩადგეს" „რომას" ცოდვაში ფეხი და ახლა „ინტერი" სერიას შვიდქულიანი უპირატესობით ლიდერობს.

**პაპუნა ძედია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რიგანო (მესინა) | 9 |
| ტოტი (რომა) | 9 |
| სპინეზი (კატანია) | 8 |
| ბიანკი (რეჯინა) | 8 |
| ამაური (პალერმო) | 8 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 15 | 12 | 3 | 0 | 32:14 | 39 |
| რომა | 15 | 10 | 2 | 3 | 32:14 | 32 |
| პალერმო | 15 | 10 | 1 | 4 | 30:18 | 31 |
| კატანია | 15 | 6 | 5 | 4 | 21:26 | 23 |
| ლაციო | 15 | 7 | 3 | 5 | 25:13 | 21 |
| ატალანტა | 15 | 5 | 5 | 5 | 24:24 | 20 |
| ლივორნო | 15 | 5 | 5 | 5 | 15:18 | 20 |
| ემპოლი | 15 | 4 | 7 | 4 | 12:13 | 19 |
| სიენა | 15 | 4 | 7 | 4 | 13:16 | 18 |
| ტორინო | 15 | 4 | 6 | 5 | 10:17 | 18 |
| სამპდორია | 15 | 4 | 5 | 6 | 21:21 | 17 |
| უდინეზე | 15 | 4 | 5 | 6 | 14:16 | 17 |
| კალიარი | 15 | 2 | 10 | 3 | 13:14 | 16 |
| მესინა | 15 | 3 | 5 | 7 | 18:25 | 14 |
| მილანი | 15 | 5 | 6 | 4 | 14:14 | 13 |
| ფიორენტინა | 15 | 8 | 2 | 5 | 22:15 | 11 |
| კიევო | 15 | 2 | 4 | 9 | 13:20 | 10 |
| პარმა | 15 | 2 | 4 | 9 | 12:27 | 10 |
| ასკოლი | 15 | 0 | 6 | 9 | 10:23 | 6 |
| რეჯინა | 15 | 5 | 5 | 5 | 17:20 | 5 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 15 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

### XVI ტური
16-17 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| ასკოლი | : | ტორინო |
| ფიორენტინა | : | მილანი |
| კატანია | : | ემპოლი |
| ლივორნო | : | ლაციო |
| ინტერი | : | მესინა |
| პარმა | : | კიევო |
| რეჯინა | : | სამპდორია |
| რომა | : | პალერმო |
| სიენა | : | ატალანტა |
| უდინეზე | : | კალიარი |

## სერია B
### XV ტური
ბარი — მოდენა 1:0; ბოლონია — ლეჩე 3:1; ფროზინონე — ბრეშა 2:1; მანტოვა — ალბინოლეფე 0:0; პესკარა — რიმინი 0:5; პიაჩენცა — არეცო 1:0; ტრევიზო — ჯენოა 2:3; ვიჩენცა — ტრიესტინა 3:0; ჩეზენა — ნაპოლი დღეს გაიმართება

### იუვენტუსი 1:0 ვერონა
1:0 კამორანეზი (55)
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, კოვაჩი, ბუმსონგი, კიელინი, კამორანეზი, პარო, მაკიზიო (პიკოლო 87), პალადინო, ბოჟინოვი (დელ პიერო 62), ზალაიეტა (დე ჩელიე 78)
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
მსაჯი: პიერპაოლი
23 400 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 15 | 11 | 4 | 0 | 27:6 | 28 |
| ბოლონია | 15 | 9 | 1 | 5 | 20:14 | 28 |
| პიაჩენცა | 15 | 8 | 3 | 4 | 15:14 | 27 |
| რიმინი | 15 | 7 | 5 | 3 | 25:12 | 26 |
| ნაპოლი | 14 | 7 | 5 | 2 | 15:9 | 26 |
| ჯენოა | 15 | 7 | 4 | 4 | 26:21 | 25 |
| ჩეზენა | 14 | 6 | 5 | 3 | 25:20 | 23 |
| მანტოვა | 15 | 5 | 8 | 2 | 16:12 | 23 |
| ტრიესტინა | 15 | 6 | 6 | 3 | 12:11 | 23 |
| ბარი | 15 | 6 | 4 | 5 | 13:9 | 22 |
| ფროზინონე | 15 | 6 | 4 | 5 | 17:15 | 22 |
| ალბინოლეფე | 15 | 3 | 11 | 1 | 14:13 | 20 |
| ბრეშა | 15 | 5 | 5 | 5 | 14:15 | 20 |
| სპეცია | 15 | 4 | 6 | 5 | 15:17 | 18 |
| ლეჩე | 15 | 5 | 2 | 8 | 20:25 | 17 |
| მოდენა | 15 | 5 | 2 | 8 | 10:16 | 17 |
| ტრევიზო | 15 | 3 | 6 | 6 | 16:20 | 15 |
| კროტონე. | 15 | 3 | 5 | 7 | 13:22 | 14 |
| ვიჩენცა | 15 | 2 | 5 | 8 | 13:17 | 11 |
| ვერონა | 15 | 2 | 5 | 8 | 5:13 | 11 |
| პესკარა | 15 | 0 | 5 | 10 | 10:29 | 4 |
| არეცო | 15 | 1 | 5 | 9 | 6:17 | 2 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

## სერია C1/A
### XV ტური
პრო სესტო — სანჯოვანეზე 1:2; ჩიტადელა — პისტოიეზე 3:0; გროსეტო — ივრეა 2:0; ლუკეზე — კრემონეზე 5:2; მასეზე — პავია 1:0; ნოვარა — მონცა 2:0; პიციგეტონე — პადოვა 1:1; სასუოლო — ვენეცია 0:0

## სერია C1/B
### XV ტური
ანკონა — ტარანტო 1:1; აველინო — სამბენედეტეზე 3:0; ფოჯა — ლანჩანო 1:1; გალიპოლი — მანფრედონია 2:1; იუვე სტადია — რავენა 2:1; მარტინა — სან მარინო 1:2; პერუჯა — ტერნანა 2:1; სალერნიტანა — ჯულიანოვა 2:1; ტერამო — კავეზე 2:1

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XVI ტური

**ჰერენვენი 1:0 როდა**

1:0 ტარვაიარვი (87)

**ბრედა 2:1 ექსელსიორი**

0:1 სლორი (23), 1:1 სტამი (36), 2:1 ზონეველდი (65)

**გრონინგენი 0:2 პსვ**

0:1 აფელაი (62), 0:2 კონე (88)

**ჰერაკლესი 2:3 სპარტა**

0:1, 0:2 მედუნიანი (33, 45), 0:3 ფლუგი (56), 1:3 ბისესვარი (72), 2:3 კანაში (90)

**ნაიმეგენი 2:0 უტრეხტი**

1:0 ოლსონი (6), 2:0 ვაისგერჰოფი (46)

**აიაქსი 2:2 ალკმაარი**

1:0 ჰეიტინგა (35) 1:1 შ. არველაძე (51), 1:2 მენდესი (57), 2:2 ჰუნტელაარი (75)

**ფეიენოორდი 3:1 დენ ჰააგი**

1:0 ჰოფსი (55), 2:0 გუზმანი (58), 3:0 ხარისტეასი (85პ), 3:1 კოლკი (90)

**ვიტესი 3:1 ვალვაიკი**

0:1 რემაკლი (18), 1:1 ლაზოვიჩი (22), 2:1 იუნკერი (24), 3:1 ჰერსი (67)

**ტილბურგი 1:3 ტვენტე**

0:1, 0:2 ნკუფო (31, 42), 1:2 ბობსონი (45), 1:3 ნკუფო (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 16 | 14 | 1 | 1 | 43:6 | 43 |
| ალკმაარი | 16 | 11 | 3 | 2 | 50:16 | 36 |
| აიაქსი | 16 | 11 | 2 | 3 | 38:14 | 35 |
| ტვენტე | 16 | 9 | 5 | 2 | 35:17 | 32 |
| ფეიენოორდი | 16 | 10 | 2 | 4 | 33:30 | 32 |
| ჰერენვენი | 16 | 8 | 2 | 6 | 29:20 | 26 |
| გრონინგენი | 16 | 7 | 3 | 6 | 27:33 | 24 |
| როდა | 16 | 6 | 4 | 6 | 17:20 | 22 |
| ნაიმეგენი | 16 | 6 | 3 | 7 | 18:21 | 21 |
| უტრეხტი | 16 | 6 | 2 | 8 | 23:28 | 20 |
| ბრედა | 16 | 5 | 4 | 7 | 15:26 | 19 |
| ვიტესი | 15 | 5 | 1 | 9 | 22:26 | 16 |
| ექსელსიორი | 16 | 4 | 4 | 8 | 24:31 | 16 |
| სპარტა | 16 | 5 | 1 | 10 | 18:33 | 16 |
| ჰერაკლესი | 16 | 4 | 3 | 9 | 15:31 | 15 |
| ტილბურგი | 16 | 4 | 1 | 11 | 17:39 | 13 |
| ვალვაიკი | 16 | 2 | 5 | 9 | 14:35 | 11 |
| დენ ჰააგი | 15 | 2 | 2 | 11 | 16:28 | 8 |

### II დივიზიონი. XX ტური

კამბური — მაასტრიხტი 1:1; გრააფსხაპი — დორდრეხტი 2:0; ემენი — ჰელმონდი 2:1; ეინდჰოვენი — ვეენდამი 1:2; ვოლენდამი — ვენლო 1:0; სიტარდი — ალმერე 1:2; როზენდალი — აპელდორნი 5:1; იგლსი — ზვოლე 1:1; ოსი — დენ ბოსხი 0:3; ჰაარლემი — ტელსტარი 1:0

## ბელგია

### იუპილერლიგა. XVI ტური

**შარლერუა 4:1 გენკი**

1:0 კამუსი (3), 2:0 კოსტა (42), 3:0 კამუსი (47), 4:0 ოლმერსი (68), 4:1 ვანდურენი (77)

**ბეერსხოტი 0:3 გენტი**

0:1 ფოლი (10), 0:2 ბულე (55), 0:3 დურენი (69ს.კ.)

**ლოკერენი 0:2 ზულტე-ვარეგემი**

0:1 რუსელი (20), 0:2 მერტი (89)

**მონსი 1:0 ბევერენი**

1:0 დამანი (45პ)

**მუსკრონი 2:2 ლიერსი**

0:1 ერნანდესი (48), 1:1 ბერტინი (66), 2:1 კუსტოიჩი (67), 2:2 დეველერი (70)

**სენტ ტრუიდენი 1:1 რუზელარე**

1:0 ბუვენსი (82), 1:1 ვანდერბისტი (87)

**ვესტერლო 0:0 სერკლი**

**ბრიუგე 4:4 სტანდარდი**

1:0, 2:0 ბალაბანი (4, 13), 3:0 ჰეერდენი (53), 3:1 კამარგო (58), 4:1 ი. სალუ (64), 4:2 ფელაინი (69), 4:3 ონიევუ (83), 4:4 ლუკუნკუ (89)

**ბრიუსელი 0:1 ანდერლეხტი**

0:1 ტშიტე (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 16 | 11 | 4 | 1 | 35:15 | 37 |
| ანდერლეხტი | 16 | 10 | 4 | 2 | 29:16 | 34 |
| ბრიუგე | 16 | 9 | 4 | 3 | 35:18 | 31 |
| გენტი | 16 | 9 | 3 | 4 | 27:22 | 30 |
| შარლერუა | 16 | 8 | 5 | 3 | 23:16 | 29 |
| სტანდარდი | 16 | 8 | 4 | 4 | 30:20 | 28 |
| ვესტერლო | 16 | 7 | 4 | 5 | 22:20 | 25 |
| ბეერსხოტი | 16 | 6 | 4 | 6 | 19:23 | 22 |
| რუზელარე | 16 | 5 | 5 | 6 | 26:28 | 20 |
| მუსკრონი | 16 | 4 | 7 | 5 | 23:27 | 19 |
| ზულტე-ვარეგემი | 16 | 4 | 6 | 6 | 19:23 | 18 |
| სენტ ტრუიდენი | 16 | 5 | 2 | 9 | 21:25 | 17 |
| ბრიუსელი | 16 | 3 | 7 | 6 | 15:19 | 16 |
| მონსი | 16 | 4 | 4 | 8 | 13:20 | 16 |
| ლოკერენი | 16 | 3 | 7 | 6 | 12:19 | 16 |
| ბევერენი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:23 | 16 |
| სერკლი | 16 | 4 | 3 | 9 | 13:18 | 15 |
| ლიერსი | 16 | 0 | 3 | 13 | 9:33 | 3 |

### II კლასი. XVI ტური

ლომელი — რონსე 2:1; დაინცე — ტინენი 1:1; ჰამე — კორტრაიკი 0:1; ვაასლანდი — ეუპენი 1:1; ტუბიცე — ექსელსიორი 0:1; ვარეგემი — მეხელენი 1:2; ჰევერლე — ოსტენდე 5:3; დენდერი — დესელი 1:0; სენტ ჟილი — ანტვერპენი 0:1

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. XIV ტური

იონიკოსი — ირაკლისი 2:2; პანათინაიკოსი — ლარისა 1:0; კალამარია — არისი 1:1; ერგოტელისი — კერკერა 1:1; ქსანთი — აეკ 0:0; პანიონიოსი — ოფი 1:0; ოლიმპიაკოსი — ეგალეო 3:2; პაოკ — ატრომიტოსი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 14 | 12 | 0 | 2 | 29:8 | 36 |
| აეკ | 14 | 9 | 4 | 1 | 27:8 | 31 |
| პანათინაიკოსი | 14 | 10 | 1 | 3 | 23:12 | 31 |
| პაოკ | 14 | 6 | 4 | 4 | 15:12 | 22 |
| ქსანთი | 14 | 5 | 4 | 5 | 11:9 | 19 |
| ატრომიტოსი | 14 | 4 | 6 | 4 | 17:16 | 18 |
| არისი | 14 | 3 | 8 | 3 | 12:13 | 17 |
| ოფი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:16 | 17 |
| კერკერა | 14 | 4 | 4 | 6 | 10:14 | 16 |
| პანიონიოსი | 14 | 3 | 7 | 4 | 10:14 | 16 |
| ეგალეო | 14 | 4 | 4 | 6 | 13:18 | 16 |
| ლარისა | 14 | 4 | 4 | 6 | 12:21 | 16 |
| ერგოტელისი | 14 | 4 | 3 | 7 | 12:15 | 15 |
| ირაკლისი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:20 | 13 |
| კალამარია | 14 | 2 | 6 | 6 | 11:18 | 12 |
| იონიკოსი | 14 | 2 | 2 | 10 | 9:24 | 8 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XVIII ტური

შაფჰაუზენი — გრასჰოპერი 3:3; იანგ ბოისი — სენტ გალენი 3:0; ციურიხი — სიონი 2:1; აარაუ — ბაზელი 2:3; ლუცერნი — თუნი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 18 | 13 | 1 | 4 | 38:17 | 40 |
| სიონი | 18 | 10 | 4 | 4 | 35:25 | 34 |
| გრასჰოპერი | 18 | 9 | 3 | 6 | 33:19 | 30 |
| ბაზელი | 17 | 9 | 2 | 6 | 37:29 | 29 |
| იანგ ბოისი | 17 | 9 | 2 | 6 | 28:21 | 29 |
| სენტ გალენი | 18 | 9 | 2 | 7 | 26:28 | 29 |
| ლუცერნი | 18 | 5 | 4 | 9 | 19:26 | 19 |
| შაფჰაუზენი | 18 | 3 | 6 | 9 | 18:32 | 15 |
| თუნი | 18 | 3 | 5 | 10 | 11:34 | 14 |
| აარაუ | 18 | 4 | 1 | 13 | 17:31 | 13 |

### ჩელენჯლიგა. XVII ტური

კონკორდია — ივერდონი 4:0; კიაზო — შო დე ფონი 2:0; ლოზანა — ბელინცონა 3:3; ლოკარნო — ბოლნი 5:1; სერვეტი — იუვენტუსი 4:3; ვილი — ვადუცი 1:0; ვინტერთური — კრინსი 0:1; დელემონი — ვოლენი 1:2; ქსამაქსი — ლუგანო გადაიდო

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. XXI ტური

აუსტრია — ზალცბურგი 0:2; გრაცერი — პაშინგი 2:1; მატერსბურგი — შტურმი 1:0; რიდი — რაპიდი 1:2; ალტახი — ტიროლი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 21 | 13 | 5 | 3 | 44:12 | 44 |
| მატერსბურგი | 21 | 10 | 4 | 7 | 30:33 | 34 |
| პაშინგი | 21 | 8 | 7 | 6 | 25:23 | 31 |
| ტიროლი | 21 | 7 | 7 | 7 | 22:27 | 28 |
| ალტახი | 21 | 8 | 3 | 10 | 31:36 | 27 |
| რიდი | 21 | 5 | 10 | 6 | 22:22 | 25 |
| შტურმი | 21 | 7 | 4 | 10 | 20:27 | 25 |
| გრაცერი | 21 | 5 | 9 | 7 | 27:33 | 24 |
| რაპიდი | 21 | 5 | 8 | 8 | 27:31 | 23 |
| აუსტრია | 21 | 4 | 9 | 8 | 21:25 | 21 |

## რუმინეთი

### I ლიგა. XIX ტური

არადი — ვასლუი 0:1; ჩაპლაული — პოლიტექნიკა 0:4; ნაციონალი — გლორია 1:0; ჟული — რაპიდი 1:0; ოცელული — ფარული 0:0; პოლი — არჯესი 3:1; პანდური — დინამო 0:3; უნირეა — კლუჟი 0:0; უნივერსიტატია — სტიაუა 0:0

## უნგრეთი

### ბორსოდილიგა. XVII ტური

კაპოშვარი — კიშპეშტი 1:2; მტკ — ზალაეგერსეგი 2:0; დიორი — უიპეშტი 0:3; ტატაბანია — პეჩი 4:0; დებრეცენი — პაკში 1:0; დიოშდიორი — რიკო 1:0; ფეჰერვარი — შოპრონი 3:1; ვაკი — ვაშაში დღეს გაიმართება

## მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2006
## იაპონია. 10-17 დეკემბერი

ოკლენდ სიტი (ახალი ზელანდია) 0:2 ალ აჰლი (ეგვიპტე)

# ვისაც გაწყენინე, ყველას გაპატიებ



**იტალიელმა** მსოფლიოს ჩემპიონმა [illegible] თქვა ზინედინ ზიდანს ვაპატიეო. რა ვაპატიეო? გასაგებია, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მკერდში თავის ძგერება.

„მის საქციელს გონივრულს ვერ დავარქმევთ, მაგრამ მიპატიებია — თქვა „ინტერის“ მცველმა — უკვე რამდენჯერმე ვთქვი, რომ მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ჩემი სახლის კარი მისთვის ღიაა“.

ინტერვიუ მარკო მატერაცისთან პორტუგალიურმა გაზეთმა „კორიეიო და მანიამ“ გამოაქვეყნა.

„ფეხბურთში მოწინააღმდეგის პროვოცირება ჩვეულებრივი ამბავია — განმარტავს შემდეგ მატერაცი — დიახ, მე ის პროვოკაციაზე წამოვიკიდე, მაგრამ ამას რომ ვაკეთებდი პირადად მის შეურაცხყოფას სულ არ ვაპირებდი. მან ყველაფერი ცუდად გაიგო და რეაქციაც ცუდი ჰქონდა. ახლა მინდა, ეს ყველაფერი დავივიწყო და იმედი მაქვს, რომ ფინალში მომხდარი ინციდენტი დავიწყებას მიეცემა. ამ ჩემპიონატიდან მხოლოდ იმის დამახსოვრება მინდა, რომ ტიტული მოვიგე, მეტი კი არაფერი“.

მატერაცის სიტყვებისა და მტყუან-მართლის განსჯა „სარბიელის“ მკითხველისთვის მიგვინდია.

**პაპუნა ქედია**

# მსაჯს ახრჩობდა

**შაბათს** ბერძნული სუპერლიგის მატჩი ჩაიშალა — ლაინსმენს თავს „იონიკოსის“ განრისხებული გულშემატკივარი დაესხა. შეხვედრა იქამდეც დაძაბულად მიმდინარეობდა, „იონიკოსმა“ და „ირაკლისმა“ ერთმანეთი დაჩეხეს და მსაჯსაც ხშირად უწევდა ბარათების აფრიალება. დაძაბულობამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა არბიტრმა „ირაკლისის“ კამერუნელი ლეგიონერი ჟოელ ელაპე და „იონიკოსის“ მცველი იორგოს პულოპულოსი გააძევა, აქედან მცირე ხანში მოულოდნელად მოედანზე მავანი იონიკოსელი შევარდა და გვერდით მსაჯს დახრჩობას უპირებდა...

მატჩი დაუყოვნებლივ შეწყდა, ხოლო პოლიციამ გავეშებულ ფანს და სიკვდილის პირას მისულ ლაინსმენს სულზე მოუსწრო. დაზარალებული მოედნიდან საკაცით და ყელზე სპეციალური სამედიცინო არტახებით გაიყვანეს. პოლიცია კი ამჯერად გასახდელში ატეხილი ჩხუბის გამშველებელი შეიქნა — ერთმანეთს თავ-პირი მოწინააღმდეგე გუნდების ფეხბურთელებმა დაუხეთქეს.

მოგახსენებთ, რომ „იონიკოსმა“ წელს ერთი დისციპლინარული სასჯელი უკვე მიიღო. კლუბის ექსპრეზიდენტი ხრისტოს კანელაკისი ერთ-ერთ არბიტრს აეროპორტში მიუხტა და მიასიკვდილა. მაშინ ხრისტოსს თანამდებობა დაატოვებინეს, „იონიკოსს“ კი საბერძნეთის ჩემპიონატში 2 ქულით დააკლეს.

**ლადო ხომერიკი**

# ხავიერ პისხუანელმა ცუდს გაუსწრო

„სევილიას“ ერნესტო ხავიერ ჩევანტონმა „სანჩეს პისხუანის“ ინჩადა ეშხიანად შესრულებული დარტყმით გადარია და ანდალუზირ გუნდს მადრიდის „რეალთან“ მნიშვნელოვანი მატჩი მოაგებინა. ჩევანტონი ურუგვაელია, თავის დროზე, იქაურ „დანუბიოში“, იტალიურ „ლეჩეში“ და ფრანგულ „მონაკოში“ თამაშობდა, „სევილიაში“ კი 2006 წლის ზაფხულიდან ბურთაობს. ფორვარდს „რეალთან“ შეხვედრის შემდეგ „ასის“ ჟურნალისტი გაესაუბრა



**— ბრწყინვალე და თანაც ძალიან მნიშვნელოვანი გოლი შეაგდეთ — „სევილიამ“ თამაში თქვენი გოლის წყალობით მოიგო...**

— ბედნიერი ვარ, ბედმა გამიღიმა ასეთი გოლი რომ გავიტანე. სხვას ვერაფერს გეტყვით...

**— გოლის ეპიზოდში ვინ გაგახსენდათ? კასილიასის კარის დალაშქვრა ვის მიუძღვენით?**

— უშუალოდ არავის, მაგრამ ასეთ მომენტებში ხვდები, რომ ყოველივე ცუდი უკან დარჩა და ახლა შესანიშნავ ფორმაში ვართ... „სევილიამ“ „რეალთანაც“ კარგად ითამაშა და საერთოდ საამსეზონო პრიმერაში ჩვენს ბურთაობას წუნი არ დაედება.

**— ძნელი გამარჯვების შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?**

— ყველანი ბედნიერები ვართ. ახლა სიხარულის დრო მოვიდა, სამი ქულის მოპოვებას უზარმაზარი ენერგია შევალიეთ და ღირსეულადაც გავიმარჯვეთ. მთავარია, ამის შემდეგაც იგივე რიტმი შევინარჩუნოთ და ყოველდღიური მუშაობა არ შევწყვიტოთ. საამსეზონოდ დიდი მიზნები გვაქვს, რომელთა განხორციელებასაც ყველანაირად ვეცდებით.

**— მატჩის დროს შეცვლები „სევილიას“ მოუხდა, „რეალზე“ კი თითქმის უარყოფითად იმოქმედა. რონალდოს გასვლის შემდეგ მადრიდელთა ბურთაობა დასუსტდა...**

— მე რონალდოს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად ვთვლი და, ცხადია, რომ მოედანზე მისი არყოფნა „რეალს“ ძალიან დაეტყო. „სევილიას“ კარგი ფეხბურთელები ჰყავს, ძირითადის ხალხმაც ჩინებულად იბურთავა და სუსტად ითამაშესო, ვერც შეცვლაზე შემოსულებზე ვიტყვით. ასეთ მოთამაშეებს თავის გამოჩენის შანსი ეძლევა და მეც ეს გამოვიყენე. რა თქმა უნდა, „სევილიას“ გამარჯვებით ძალიან კმაყოფილი ვარ.

**— „რეალთან“ მატჩში „სევილიასთვის“ მნიშვნელოვანი იყო, რომ ცხრილში უშუალო მეტოქეს „სანჩეს პისხუანზე“ აღებული ქულებით გადაასწარით...**

— გეთანხმებით. ძალიან რთული შეხვედრა იყო, მადრიდის დამარცხება ყოველთვის ძნელია.

**— თქვენი მიზანი პრიმერადივიზიონის ჩემპიონობაა თუ მარტო სეზონის საჩემპიონთალიგო ადგილებზე მოხვედრით დაკმაყოფილდებით?**

— ცხადია, ჩემპიონობაზე უარს არავინ იტყვის, მაგრამ „სევილიას“ მთავარი მიზანი მაინც პირველ ოთხეულში მოხვედრაა. მინდა, ჩვენი ძალა საკუთარ თავზე ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდებმაც გამოცადონ.

# ექიმმა ნიანგს სისე გაუგზავნა

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XVII ტური

**ტრუა 3:3 ოსერი**
1:0 ლაშოვი (19), 2:0 გილიოტი (44), 2:1 იელენი (53), 3:1 ილიოტი (70), 3:2 იელენი (84), 3:3 აკალე (90)

**ლორიანი 2:0 სედანი**
1:0 გინაკი (23), 2:0 საიფი (29)

**ნანტი 0:0 ლემანი**

**ბორდო 1:2 რენი**
0:1 მარვუ (11), 0:2 უტაკა (62), 1:2 დარშევილი (69)

**ნიცა 0:0 ნანსი**

**მარსელი 2:1 მონაკო**
1:0 პაჟისი (38), 1:1 დი ვაიო (58), 2:1 ნიანგი (78)

**ვალანსიენი 0:0 სოშო**

**ტულუზი 0:1 ლანსი**
0:1 ჟემაა (90)

**ლილი 2:2 სენტ ეტიენი**
0:1 ილანი (8), 1:1 ბოდმერი (22), 2:1 კეიტა (52), 2:2 ილანი (66)

**ლიონი 3:1 პსჟ**
1:0 ვილტორდი (45), 1:1 პაულეტა (60), 2:1 კრისი (87), 3:1 მალუდა (88)


AFP მარსელიდან

ჯიბრილ სისე საგოლე პასით დაბრუნდა

ექვსთვიანი მკურნალობის შემდეგ ჯიბრილ სისემ დაბრუნება საგოლე პასით აღნიშნა, ამ გოლმა კი ბოლო ხანებში მისავათებულ „მარსელს“ გამარჯვება მოუტანა. სისემ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ჩინეთთან ამხანაგურ მატჩში ფეხი მოიტეხა, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ „ლივერპულიდან“ „მარსელში“ მისი განათხოვრება გადაწყდებოდა. შეცვლაზე შესულმა ფორვარდმა მამადუ ნიანგს გაუჩარხა საგოლე პასი.

ანგარიში მიკაელ პაგიმ თავური დარტყმით გახსნა ტაივოს ფლანგური ჩაწოდების შემდეგ. მეორე ტაიმში ტაივოს და ორუმას შეცდომით მარკო დი ვაიომ ისარგებლა და გაათანაბრა. სისეს შასვლით „მარსელის“ შეტევები გაძლიერდა, რაც მალევე აისახა ანგარიშში. მან ჭკვიანური პასით „მონაკოს“ დაცვა უსაქმოდ დატოვა და ნინგს გატანა არ გასჭირვებია. „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი დაბრუნება გამარჯვებით აღვნიშნეთ. ექვსი თვე თიქთოს მალე გავიდა, მადლობა ექიმებს, რომლებმაც საუცხოოდ იშრომეს“ — თქვა სისემ.

„სენმა“ სეზონში პირველი მატჩი მოიგო სტუმრად, თან „ბორდოსთან“, რომელიც შინ იოლი წასაქცევი არ არის. ეინდჰოვენში პსვ-ს ძლევით გახალისებული მასპინძლები თავიდანვე მიაწყდნენ მეტოქის საჯარიმოს, მაგრამ „რენის“ პირველივე კონტრიერიში გოლით დასრულდა. სილვენ მარვოს დარტყმა ისეთი გამოდგა, რომ მეკარე ულრიხ რამეს ალების შანსი არ ჰქონდა.

„ბორდო“ გააფთრებული უტევდა, მაგრამ ერთი საათის თავზე მეორე გოლი გაუშვა — ბრაიანდის პასით ჯონ უტაკამ სხვაობა ორამდე გაზარდა და მასპინძლებს საქმე უფრო გაურთულა. ბორდოელთა ფორვარდმა ჟან კლოდ დარშევილმა ერთი კი გაქვითა, მაგრამ „რენის“ დაცვა ამის შემდეგ მაგრად დადგა და სამი ქულა წაიღო.

„ტრუამ“, რომელიც ლიგაში დასარჩენად იბრძვის„„ოსერთან“ ბოლო წუთებზე გაუშვა ხელიდან სამი ქულა და ფრესლა დასჯერდა. იან ლაშუერმა მასპინძლები 30 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით დააწინაურა. შესვენებამდე გილიოტიმ მეორე გაუტანა „ოსერს“, მაგრამ მეორე ტაიმში იელენმა ერთი უმალ გაქვითა. შემდეგ ლაშუერმა საჯარიმო შეასრულა და გილიოტიმ თავურით მესამე შეაგდო. აქ ტრუელები დამშვიდდნენ და დაისაჯნენ. იელენმა აკალეს პასით გაიტანა, ხოლო ბოლოს თავად აკალემ მიითვალა გოლი.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 17 | 15 | 1 | 1 | 35:11 | 46 |
| ლანსი | 17 | 9 | 5 | 3 | 26:15 | 32 |
| ლილი | 17 | 8 | 6 | 3 | 26:16 | 30 |
| სოშო | 17 | 8 | 6 | 3 | 21:16 | 30 |
| სენტ ეტიენი | 17 | 8 | 4 | 5 | 27:21 | 28 |
| მარსელი | 17 | 8 | 3 | 6 | 23:16 | 27 |
| ნანსი | 17 | 7 | 5 | 5 | 14:13 | 26 |
| ბორდო | 17 | 8 | 1 | 8 | 20:22 | 25 |
| ტულუზი | 16 | 7 | 3 | 6 | 20:19 | 24 |
| რენი | 17 | 6 | 5 | 6 | 15:15 | 23 |
| ლორიანი | 17 | 6 | 5 | 6 | 18:20 | 23 |
| ლე მანი | 17 | 4 | 9 | 4 | 19:21 | 21 |
| ოსერი | 17 | 4 | 7 | 6 | 17:22 | 19 |
| ვალანსიენი | 17 | 5 | 3 | 9 | 14:24 | 18 |
| პსჟ | 16 | 4 | 5 | 7 | 17:23 | 17 |
| მონაკო | 17 | 4 | 4 | 9 | 20:21 | 16 |
| ნიცა | 17 | 3 | 6 | 8 | 14:19 | 15 |
| ტრუა | 17 | 3 | 6 | 8 | 18:26 | 15 |
| ნანტი | 17 | 2 | 7 | 8 | 12:23 | 13 |
| სედანი | 17 | 1 | 7 | 9 | 19:32 | 10 |

II დივიზიონი. XIX ტური

ამიენი — კრეტეი 1:0; ბასტია — გენიონი 0:1; ბრესტი — ტურსი 1:1; კაენი — ისტრი 4:0; გენგამი — შატორუ 1:1; ლიბურნი — რეიმსი 2:3; მონპელიე — აიაჩო 1:2; ნიორი — ლე ავრი 0:0; მეცი — სტრასბური 4:1. დიჟონი — გრენობლი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 19 | 14 | 4 | 1 | 30:9 | 46 |
| კაენი | 19 | 11 | 7 | 1 | 33:14 | 40 |
| სტრასბური | 19 | 9 | 7 | 3 | 25:17 | 34 |
| დიჟონი | 18 | 9 | 5 | 4 | 22:19 | 32 |
| ლე ავრი | 19 | 7 | 9 | 3 | 28:17 | 30 |
| ამიენი | 19 | 9 | 3 | 7 | 25:24 | 30 |
| რეიმსი | 19 | 8 | 5 | 6 | 23:19 | 29 |
| შატორუ | 19 | 8 | 5 | 6 | 24:22 | 29 |
| გრენობლი | 18 | 7 | 7 | 4 | 26:20 | 28 |
| აიაჩო | 19 | 7 | 5 | 7 | 20:21 | 26 |
| ბასტია | 19 | 6 | 6 | 7 | 24:23 | 24 |
| გენიონი | 19 | 7 | 3 | 9 | 20:28 | 24 |
| ლიბურნი | 19 | 5 | 5 | 9 | 22:26 | 20 |
| მონპელიე | 19 | 5 | 4 | 10 | 21:25 | 19 |
| კრეტეი | 19 | 4 | 7 | 8 | 13:22 | 19 |
| ბრესტი | 19 | 3 | 9 | 7 | 18:23 | 18 |
| ისტრი | 19 | 4 | 5 | 10 | 15:31 | 17 |
| გენგამი | 19 | 3 | 7 | 9 | 18:23 | 16 |
| ნიორი | 19 | 3 | 7 | 9 | 16:25 | 16 |
| ტურსი | 19 | 3 | 4 | 12 | 13:28 | 13 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. XIII ტური

**ბელენენსეში 2:0 ბრაგა**
1:0 სილასი (2), 2:0 ამორიმი (76)

**ბოავიშტა 3:0 ბეირა მარი**
1:0, 2:0 გრჟელაკი (14, 44), 3:0 ლინცი (51)

**სეტუბალი 0:3 სპორტინგი**
0:1 ლიდსონი (3), 0:2 ნანი (19), 0:3 ლიდსონი (53)

**აკადემიკა 1:2 მარიტიმუ**
0:1, 0:2 მბესუმა (34, 81), 1:2 გიანი (82)

**ავეში 0:1 ლეირია**
0:1 სუგუ (61)

**ფერეირა 1:1 ამადორა**
0:1 ჟაიმე (30), 1:1 ედსონი (44)

**ნავალი 0:0 ბენფიკა**

**ნასიონალი — პორტუ**
*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 12 | 10 | 1 | 1 | 26:7 | 31 |
| სპორტინგი | 13 | 9 | 2 | 2 | 21:9 | 29 |
| ბენფიკა | 12 | 7 | 2 | 3 | 23:13 | 23 |
| ბრაგა | 13 | 7 | 2 | 4 | 19:17 | 23 |
| მარიტიმუ | 13 | 7 | 1 | 5 | 15:13 | 22 |
| ლეირია | 13 | 6 | 3 | 4 | 12:13 | 21 |
| ნასიონალი | 12 | 6 | 1 | 5 | 19:13 | 19 |
| ფერეირა | 13 | 4 | 6 | 3 | 14:15 | 18 |
| ბელენენსეში | 12 | 5 | 2 | 5 | 11:9 | 17 |
| ნავალი | 13 | 4 | 5 | 4 | 10:11 | 17 |
| ბოავიშტა | 13 | 4 | 3 | 6 | 15:17 | 15 |
| აკადემიკა | 13 | 3 | 4 | 6 | 18:21 | 13 |
| ამადორა | 13 | 3 | 3 | 7 | 8:17 | 12 |
| სეტუბალი | 13 | 2 | 3 | 8 | 8:19 | 9 |
| ავეში | 13 | 2 | 2 | 9 | 10:20 | 8 |
| ბეირა მარი | 13 | 1 | 4 | 8 | 14:29 | 7 |

II დივიზიონი. XIII ტური

გონდომარი — რიუ ავე 0:0; მოსკავიდი — სანტა კლარა 0:1; ოლიანენსე — ტროფენსე 1:1; პენაფიელი — ლეიშოში 3:0; პორტიმონენსე — გიმარაეში 1:3; ვიზელა — ეშტორილი 1:2; შავეში — ჟილ ვისენტე 0:1

## როიალ ლიგა 2006-2007

A ჯგუფი. IV ტური

**რუსენბორგი 0:1 ოდენსე**
**ჰელსინგბორგი 2:2 ბრანი**

B ჯგუფი. IV ტური

**ბრონდბიუ 1:1 ლილესტრიომი**
**ჰამარბი 1:2 კოპენჰაგენი**

C ჯგუფი. IV ტური

**ვიბორგი 1:2 აიკ**
**ელფსბორგი 2:3 ვოლერენგა**

# შეიგნეთ რეინჯერსი

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XVIII ტური

**ჰართსი 4:1 მოზერუელი**
1:0 ფისასი (9), 1:1 ფორანი (20), 2:1 ქუინი (55 ს.გ.), 3:1 ველიჩკა (58), 4:1 აგიარი (64)

**რეინჯერსი 3:0 ჰიბერნიანი**
1:0 პრსო (16), 2:0 სიონკო (32), 3:0 ფერგიუსონი (36)

**კილმარნოკი 1:1 სენტ მირენი**
1:0 დი ჯაკომო (54), 1:1 კორკორანი (75)

**დანდი იუნ. 3:1 ინვერნესი**
0:1 უილსონი (15), 1:1, 2:1 ჰანტი (22, 65), 3:1 რობერტსონი (78)

**აბერდინი 2:1 ფოლკირკი**
1:0 მაკი (17), 2:0 კლარკი (44), 2:1 გოუ (69)

**დანფერმლაინი 1:2 სელტიკი**
0:1 მაკგიდი (49), 0:2 ჟურავსკი (68), 1:2 სიმონსი (90)




სტივენ პრესლიმ „გულები“ მიატოვა

პოლ ლე გუენმა თქვა, რომ „რეინჯერსის“ ფეხბურთელებმა მეტი ერთსულოვნება უნდა გამოიჩინონ, იბრძოლონ და კლუბის სახელი არ შეარცხვინონ. „ჩაფრებმა“ იოლად მოუგეს „ჰიბერნიანს“ და მეორე ადგილზე აინაცვლეს. ფრანგი მწვრთნელის აზრით, ეს იყო მისი გუნდის საუკეთესო მატჩი ამ სეზონში. მიუხედავად ამისა, ლე გუენმა ბიჭები მაინც დაარიგა: „გამიხარდა, რომ თავდაუზოგავად იბრძოლეს. როცა ასეთი გუნდური სულია, ჩვენ ვერავინ დაგვამარცხებს და სწორედ ამას ვითხოვ მუდმივად ფეხბურთელებისგან. ვაჩვენეთ ქომაგებს, რომ კარგად თამაში შეგვიძლია, მაგრამ სიმტკიცე ჯერ კიდევ გვაკლია. ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს და მათ უნდა შეიგნონ, რას ნიშნავს „რეინჯერსის“ მაისრუით თამაში.“

პოლ ლე გუენმა რამდენიმე სიტყვა სლოვაკ ფორვარდ ფილიპ სებოზეც თქვა, რომელიც ზაფხულში ვენის „აუსტრიადან“ იყიდეს, მაგრამ ჯერ თავი ვერაფრით გამოიჩინა. „ჰიბერნიანთან“ მატჩში იგი შეცვლაზე შევიდა და ორი უეჭველი საგოლე მომენტი გაანიავა. „რა თქმა უნდა, მსურს, რომ სებომ გაიტანოს და, დარწმუნებული ვარ, ეს უიღბლო პერიოდი მალე დასრულდება.“ — თქვა ფრანგმა.

„რეინჯერსმა“ მეთექვსმეტე წუთზე გახსნა ანგარიში. ნაჩო ნოვომ მეტოქის დაცვაში შეინავარდა და მერე ბურთი პრსოს მიაწოდა, რომელმაც 12 მეტრიდან გაიტანა. შემდეგ კვლავ ნოვომ გაჩარხა საგოლე პასი და ამჯერად ლიბორი საინოკომ შეირგო ესპანელის საჩუქარი. ტაიმის მიწურულს კი ადამსმა ჩააწოდა, ხოლო ბარი ფერგიუსონმა მესამე შეაგდო.

„ჰართსმა“ „მოზერუელი“ გაანადგურა, მაგრამ კაპიტანი სტივენ პრესლი გუნდიდან წავიდა, პრესლი „ჰართსის“ პატრონმა ვლადიმირ რომანოვმა აითვალწუნა, რაკი კაპიტანმა ერთი თვის წინ პატრონი გააკრიტიკაო. პრესლი თვლის, რომ მწვრთნელების დაუსრულებელმა ცვლამ გუნდი წაახდინა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 18 | 15 | 2 | 1 | 36:13 | 47 |
| რეინჯერსი | 18 | 9 | 4 | 5 | 29:17 | 31 |
| აბერდინი | 18 | 9 | 4 | 5 | 24:15 | 31 |
| ჰართსი | 18 | 7 | 6 | 5 | 27:19 | 27 |
| ჰიბერნიანი | 18 | 7 | 5 | 6 | 32:22 | 26 |
| კილმარნოკი | 18 | 7 | 5 | 6 | 25:28 | 26 |
| ფოლკირკი | 18 | 6 | 3 | 9 | 22:25 | 21 |
| ინვერნესი | 18 | 4 | 8 | 6 | 17:23 | 20 |
| დანდი იუნ. | 18 | 5 | 5 | 8 | 19:31 | 20 |
| სტ. მირენი | 18 | 4 | 6 | 8 | 17:24 | 18 |
| მოზერუელი | 18 | 5 | 3 | 10 | 22:33 | 18 |
| დანფერმლაინი | 18 | 3 | 3 | 12 | 13:33 | 12 |

I დივიზიონი. XVII ტური

სტ. ჯონსტონი — დანდი 2:1; ლივინგსტონი — კლაიდი 1:1; ქუინი — ჰამილტონი 1:1; როსი — პარტიკი 2:5; ერდრი — გრეტნა 4:2

**ასოციაციის თასი**
**მეორე ეტაპი**
**პირველი მატჩები**

ანანი — მორტონი 0:3; დევერნოველი — ფრასერბურგი 2:1; რეითი — დამბარტონი 0:1; ბრეჩინი — პრესტონი 2:1; ბერვიკი — არბროთი 2:0; ელგინი — ბაკი 1:0; სტრანრარი — ფორფარი 3:1; კოუდენბითი — ედინბურგი (უ) 5:1; პიტერჰედი —ეირი 0:2; ედინბურგი (ს) — სტირლინგი 0:1

## თურქეთი

სუპერლიგა. XVIII ტური

ანკარაგიუჯიუ — ფენერბაჰჩე 0:1; ერჟიესი — სივა 0:0; რიზე — საქარია 3:1; ბეშიქთაში — ქაისერი 2:1; დენიზლი — მანისა 0:0; გაზიანთეფი — ქონია 1:0; გენჩლერი — ანთალია 1:0; ტრაბზონი — ანკარა 3:0; გალათასარაი — ბურსა 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 17 | 11 | 4 | 2 | 35:15 | 37 |
| გალათასარაი | 17 | 8 | 6 | 3 | 32:20 | 30 |
| ბეშიქთაში | 17 | 8 | 5 | 4 | 23:16 | 29 |
| მანისა | 17 | 8 | 4 | 5 | 32:23 | 28 |
| გენჩლერი | 17 | 8 | 3 | 6 | 20:18 | 27 |
| ქაისერი | 17 | 7 | 5 | 5 | 22:20 | 26 |
| ბურსა | 17 | 7 | 3 | 7 | 21:21 | 24 |
| ქონია | 17 | 6 | 6 | 5 | 19:20 | 24 |
| ანკარა | 17 | 4 | 11 | 2 | 21:18 | 23 |
| ანკარაგიუჯიუ | 17 | 5 | 7 | 5 | 20:16 | 22 |
| სივა | 17 | 6 | 4 | 7 | 17:22 | 22 |
| გაზიანთეფი | 17 | 5 | 5 | 7 | 18:25 | 20 |
| ტრაბზონი | 17 | 5 | 4 | 8 | 20:21 | 19 |
| დენიზლი | 17 | 4 | 7 | 6 | 13:15 | 19 |
| რიზე | 17 | 5 | 3 | 9 | 14:20 | 18 |
| ანთალია | 17 | 3 | 8 | 6 | 18:21 | 17 |
| საქარია | 17 | 3 | 6 | 8 | 10:21 | 15 |
| ერჟიესი | 17 | 2 | 5 | 10 | 15:38 | 11 |

## ამხანაგური მატჩი

**საამიროები 1:2 სლოვაკეთი**

## ხორვატია

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი

**მედიმურიე 2:3 დინამო**

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი XIV ტური

**სევილია 2:1 რეალი**

0:1 ბექემი (12), 1:1 კანუტი (16), 2:1 ჩევანტონი (76)
სევილია: პალოპი, ნავარო, ესკუდე, დ. ალვეში, ადრიანო (პუერტა 72), პოულსენი (მარესკა 60), რენატო, ხ. ნავასი, მარტი, ლ. ფაბიანო (ჩევანტონი 63), კანუტი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
რეალი: კასილიასი, სალგადო (მეხია 46), რ. კარლოსი, ს. რამოსი, კანავარო, ემერსონი, გუტი (რეიესი 80), ბექემი, რაული, რონალდო (რობინიო 68), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ხ. ნავარო, ლ. ფაბიანო, სალგადო, ბექემი, კანავარო
მსაჯი: მუნიოს ფერნანდესი
45 000 მაყურებელი

**ბარსელონა 1:0 სოსიედადი**

1:0 რონალდინიო (60)
ბარსელონა: ვალდესი, ბელეტი, პუიოლი (ოლეგერი 26), ედმილსონი, სილვინიო, ტურამი, ხავი, რონალდინიო, დეკუ (ინიესტა 64), გუდიონსენი (ესკერო 78), ჟიული
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
სოსიედადი: ბრავო, მ. გონსალესი, ხუანიტო, აიტორი, ხერარდო, რივასი (გარიტანო 67), ხესული (აგირეჩე 78), არანბურუ, პრიეტო, კოვაჩევიჩი, გარი (გარიდო 74)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: სილვინიო, სილვინიო, ბრავო, რივასი, ხერარდო, გარი
გაძევება: სილვინიო (85)
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
69 093 მაყურებელი

**ბილბაო 4:2 უელვა**

1:0 ბაუტისტა (ნს.კ.), 2:0, 3:0 ურსაისი (27, 40), 3:1 უჩე (54), 4:1 ხარმენდია (58), 4:2 სარიეგი (87ს.კ.)
ბილბაო: არანსუბია, ესპოზიტო, კასასი, სარიეგი, პრიეტო, იესტე (ხარმენდია 57), გაბილონდო, ირაოლა, ხ. მარტინესი (ამორებიეტა 73), ეჩებერია, ურსაისი (ლორენტე 81)
მწვრთნელი: მანე
უელვა: ვალეხო, ამო (იაგო 57), მერინო, ბაუტისტა (როსუ 46), კაზორლა, ხ. ვასკესი, რიკეირა, ბეტო (არხო 46), აიტორი, პონიოლი, უჩე
მწვრთნელი: გარსია ტორალე
გაფრთხილება: კასასი, ეჩებერია, ამო, მერინო, არსო
მსაჯი: ველასკო კარვალიო
38 000 მაყურებელი

**რასინგი 0:2 სარაგოსა**

0:1 დ. მილიტო (59), 0:2 ლაფიტა (79)
*დ. მილიტომ ვერ გაიტანა პენალტი (80, მეკარე)*
რასინგი: ტონიო, გარაი, პინილიოსი, ლ. ფერნანდესი, რუბენი, ვიტოლო (მომო 67), ბალბოა (ალვარესი 75), კოლსა (მატაბუენა 80), სკალონი, ხუანხო, სერანო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ პორტუგალი
სარაგოსა: სეზარი, დიოგო, გ. მილიტო, ხუანფრანი, სერხიო (პიკე 89), დალესანდრო, პონსიო, ზაპატერი, აიმარი (ოსკარი 87), ს. გარსია (ლაფიტა 67), დ. მილიტო
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: დიოგო, ხუანფრანი, პინილიოსი
მსაჯი: მედინა კანტალეხო
16 000 მაყურებელი

**ოსასუნა 3:0 მალიორკა**

1:0 მილოშევიჩი (59), 2:0 ხ. ფლანიო (67), 3:0 პუნიალი (80პ)
ოსასუნა: რიკარდო, მ. ფლანიო, კრუჩაგა, ხ. ფლანიო, კორალესი, ნეკუნამი (ფონტი 59), პუნიალი, ვალდო, დ. ლოპესი (მუნიოსი 83), მილოშევიჩი, სოლდადო (რომეო 71)
მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა
მალიორკა: პრატსი, ფ. ნავარო, ნუნიესი, ბალესტეროსი, ექტორი, პერეირა (ხორდი 83), ბასინასი, კომე (ტრისტანი 65), იანკოვიჩი, არანგო, ვიქტორი (მაქსი ლოპესი 74)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ვალდო, ფ. ნავარო, ვიქტორი, ნუნიესი, მაქსი ლოპესი, მაქსი ლოპესი
გაძევება: მაქსი ლოპესი (89)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
17 000 მაყურებელი

**სელტა 1:1 ვილიარეალი**

1:0 ბაიანო (16), 1:1 ფორლანი (64)
სელტა: პინტო, ანხელი, პლასენტე, ნენე (ნუნიესი 78), კონტრერასი, ტამასი, ოუბინია, გ. ლოპესი (ხონათანი 69), კანობიო, ირინეი, ბაიანო (პერერა 88)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
ვილიარეალი: ბარბოსა, არუაბარენა, ალვარესი, ფუენტესი, ხოსემი (ხავი ვენტა 76), რიკელმე, ტაკინარდი (სომოსა 67), სენა, მარკოსი, ფორლანი, ფრანკო (ხოსიკო 84)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინო
გაფრთხილება: ანხელი, ფრანკო, ტამასი, სენა, არუაბარენა
მსაჯი: რამირეს დომინგესი
12 000 მაყურებელი

**ხიმნასტიკი 2:1 ლევანტე**

0:1 რიგა (28), 1:1 დ. გარსია (41), 2:1 კასტრო (76)
ხიმნასტიკი: პერესი, ხ. კასერესი, ლიერა, რუსი, კუელარი, დ. გარსია, მორალესი (ბოადესი 61), ხენერლო, ხილი, პორტილიო (პინილია 78), ირურსუნი (კასტრო 68)
მწვრთნელი: პაკო ფლორესი
ლევანტე: მოლინა, ალექსისი, ალვარო, რუბიალესი, დესკარგა, კამაჩო (ლუინდულა 79), ეტიენი (კარმელო 81), კაპო, რიგა, ბერსონი, ნინო (კუორტოსი 70)
მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს კარო
გაფრთხილება: დ. გარსია, კამაჩო, პინილია
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
12 000 მაყურებელი

**ხეტაფე 1:1 ბეტისი**

1:0 დ. გუისა (49), 1:1 ხუანიტო (86)
ხეტაფე: პატო, პარედესი, ბელენგერი, ალექსისი, დ. კორტესი, სელესტინი, ნაჩო, რედონდო (სოუზა 65), ხ. კასკერო, მანუ (მ. კოტელო 81), დ. გუისა (რ. პულიდო 85)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
ბეტისი: კონტრერასი, მელი, რომერო, ხუანიტო, რივასი, არსუ (დანი 53), კაპი (ფერნანდო 73), რივერა (ფოგელი 60), ასუნსაო, ედუ, სობისი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: პარედესი, ასუნსაო, დ. კორტესი, რივერა, ბელენგერი, ბელენგერი, ედუ
გაძევება: ბელენგერი (83)
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
10 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 1:2 ესპანიოლი**

0:1 ტამუდო (8), 1:1 ფ. ტორესი (56), 1:2 ლუის გარსია (61)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, ზე კასტრო, პერეა, პერნია, გალეტი, ლუკინი, მანიშე, ა. ლოპესი (ხურადო 51), აგერო (მისტა 61), ფ. ტორესი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ესპანიოლი: კამენი, საბალეტა, ხარკე, ტორეიონი, ჩიკა, რუფეტე (კოსტა 64), მოისესი, დე ლა პენია, მოა, ლუის გარსია (ველასკო 87), ტამუდო (პანდიანი 76)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: პერეა, გალეტი, ლუკინი, ხარკე, ტამუდო, ტორეიონი, რუფეტე
მსაჯი: აისა გომესი
40 000 მაყურებელი

**ვალენსია 4:0 დეპორტივო**

1:0 ანგულო (9), 2:0, 3:0 ვილია (37პ, 75), 4:0 ვისენტე (89)
ვალენსია: კანისარესი, ალბელდა, ბარახა (უგო ვიანა 76), დ. ნავარო, ალბიოლი, კურო ტორესი, სილვა, სერა, ანგულო (ხოაკინი 55), ვისენტე, ვილია (ტავანო 78)
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
დეპორტივო: აუატე, კოლოჩინი, სერხიო, კაპდევილა, ხ. როდრიგესი, არბელოა, ლოპო (მ. პაბლო 58), ხუანმა, ფილიპე, არისმენდი (ადრიანი 67), რიკი (ვერდუ 50)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ხუანმა, ლოპო, ხუანმა, არბელოა
გაძევება: ხუანმა (37)
მსაჯი: დელგადო ფერეირო
45 000 მაყურებელი

# 15 წელი და 100 პროცენტი
## ბარსელონამ და სევილიამ ისტორია არ შეცვალეს

**შაბათ** საღამოს „ბარსელონამ“ „რეალთან“ სხვაობა ოთხ ქულამდე გაზარდა, მადრიდელებმა კი, თავის მხრივ, მეორე ადგილი „სევილიას“ გაუცვალეს.

„სოსიედადი“ ერთადერთი გუნდია პრიმერაში, ამ სეზონში თამაში რომ არ მოუგია, „კამპ ნოუზე“ კი ბოლოს სულაც 15 წლის წინ იმარჯვა. ჰოდა, სანსებასტიანელთა გამარჯვებას, ცხადია, არც ახლა ელოდა ვინმე.

ასეც მოხდა — ლუდოვიკ ჟიულის პასით რონალდინიომ შორეულ კუთხეში გაიტანა, „ბარსას“ მოაგებინა, სათავისოდ კი მე-11 საამსეზონო გოლი მიითვალა.

ერთი ეგ არის, რომ „სოსიედადი“ იოლად არ დანებდა და ბოლოსკენ ვიქტორ ვალდესს რომ არ ეყოჩალა და გაისკა გარიტანოს თავური დიდებული რეაქციით არ გადაეგდო ხარიხის ზემოთ, სენსაციის მომსწრენი შევიქნებოდით.

„სანჩეს პისხუანზე“ კი „სევილიამ“ „რეალი“ დაამარცხა, თან ისე, რომ აგებდა და ბოლომდე იბრძოლა.

ამ სეზონში სევილიელებს საკუთარ მოედანზე არა თუ წაეგოთ, ფრეც არ ეთამაშათ და დევიდ ბექემის ჩახვეულმა საჯარიმო დარტყმამ ეს 100-პროცენტიანი შედეგიანობა საფრთხის წინაშე დააყენა. მაგრამ საუკეთესო ფორმაში მყოფმა ფრედერიკ კანუტმა მალევე გაათანაბრა და, რონალდინიოს მსგავსად, ეს მისთვისაც მე-11 გოლი იყო ამ სეზონში. გამარჯვება კი უეფას თასის მფლობელებს შეცვლაზე შესულმა ერნესტო ჩევანტონმა მოუტანა, ვისი მაკრატელათი დარტყმული უმნიშვნელოვანესის გარდა გვარიანად ლამაზიც იყო.

წუხანდელ თამაშთაგან კი მთავარი, რა თქმა უნდა, „ვალენსია“ — „დეპორტივო“ გახლდათ. ოღონდ ბოლო წუთამდე დაძაბული და ინტრიგიანი ბრძოლა არ გამოვიდა, რაკი შესვენებაზე ვალენსიელები უკვე ორბურთიანი უპირატესობით გავიდნენ. გოლები ანგულომ და ვილიამ გაიტანეს. თანაც „დეპორტივო“ ათი ფეხბურთელით დარჩა. მეორე ტაიმში კი ვილიამ და ვისენტემ თითოც მიამატეს და „ვალენსიამ“ იოლი გამარჯვება მოიპოვა.

უთუოდ აღსანიშნავია „ატლეტიკოს“ საშინაო მარცხიც „ესპანიოლთან“. შენიშნული გექნებათ, რომ პატარა ბარსელონელები ძალიან კარგად თამაშობენ ძლიერი გუნდების წინააღმდეგ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 14 | 10 | 3 | 1 | 33:11 | 33 |
| სევილია | 14 | 10 | 1 | 3 | 28:14 | 31 |
| რეალი | 14 | 9 | 2 | 3 | 25:11 | 29 |
| სარაგოსა | 14 | 8 | 2 | 4 | 28:17 | 26 |
| ატლეტიკო | 14 | 7 | 3 | 4 | 19:11 | 24 |
| ხეტაფე | 14 | 6 | 4 | 4 | 11:9 | 22 |
| უელვა | 14 | 7 | 1 | 6 | 22:21 | 22 |
| ვილიარეალი | 14 | 6 | 4 | 4 | 15:17 | 22 |
| ვალენსია | 14 | 6 | 3 | 5 | 19:14 | 21 |
| სელტა | 14 | 5 | 4 | 5 | 19:20 | 19 |
| ესპანიოლი | 14 | 4 | 7 | 3 | 14:15 | 19 |
| ოსასუნა | 14 | 5 | 2 | 7 | 15:18 | 17 |
| დეპორტივო | 14 | 4 | 5 | 5 | 11:17 | 17 |
| მალიორკა | 14 | 4 | 5 | 5 | 11:17 | 17 |
| რასინგი | 14 | 3 | 6 | 5 | 12:18 | 15 |
| ლევანტე | 14 | 3 | 5 | 6 | 12:20 | 14 |
| ბილბაო | 14 | 2 | 5 | 7 | 16:26 | 11 |
| ბეტისი | 14 | 2 | 4 | 8 | 14:19 | 10 |
| ხიმნასტიკი | 14 | 2 | 2 | 10 | 13:29 | 8 |
| სოსიედადი | 14 | 0 | 6 | 8 | 7:20 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდინიო (ბარსელონა) | 11 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 11 |
| კანუტი (სევილია) | 11 |
| ვან ნისტელროი (რეალი) | 8 |

### XV ტური

16-17 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| მალიორკა | : | რასინგი |
| სარაგოსა | : | ვალენსია |
| დეპორტივო | : | ბილბაო |
| უელვა | : | სევილია |
| ესპანიოლი | : | რეალი |
| ატლეტიკო | : | ხეტაფე |
| ბეტისი | : | ბარსელონა |
| სოსიედადი | : | ხიმნასტიკი |
| ლევანტე | : | სელტა |
| ვილიარეალი | : | ოსასუნა |

### სეგუნდადივიზიონი
### XVI ტური

ალმერია — ლორკა 4:0; კასტელიონი — ხერესი 1:0; ალავესი — სიუდად მურსია 1:0; ნუმანსია — სპორტინგი 2:0; ვეცინდარიო — მალაგა 1:1; ერკულესი — პოლი ეხიდო 1:0; კადისი — ვალიადოლიდი 0:0; ალბასეტე — ლას პალმასი 1:1; მურსია — პონფერადინა 1:1; რეალი B — სალამანკა 2:1; ტენერიფე — ელჩე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალიადოლიდი | 16 | 9 | 4 | 3 | 26:13 | 31 |
| ხერესი | 16 | 8 | 5 | 3 | 23:13 | 29 |
| სალამანკა | 16 | 8 | 3 | 5 | 26:19 | 27 |
| მურსია | 16 | 7 | 6 | 3 | 22:17 | 27 |
| ალმერია | 16 | 7 | 4 | 5 | 26:19 | 25 |
| სპორტინგი | 16 | 8 | 1 | 7 | 22:17 | 25 |
| ნუმანსია | 16 | 6 | 4 | 6 | 19:18 | 22 |
| ალბასეტე | 16 | 6 | 4 | 6 | 20:20 | 22 |
| კასტელიონი | 16 | 6 | 4 | 6 | 17:18 | 22 |
| პოლი ეხიდო | 16 | 6 | 4 | 6 | 16:17 | 22 |
| რეალი B | 16 | 6 | 4 | 6 | 19:25 | 22 |
| ერკულესი | 16 | 6 | 3 | 7 | 17:16 | 21 |
| კადისი | 16 | 5 | 6 | 5 | 19:19 | 21 |
| სიუდად მურსია | 16 | 6 | 3 | 7 | 17:17 | 21 |
| ალავესი | 16 | 5 | 6 | 5 | 14:19 | 21 |
| ტენერიფე | 16 | 6 | 3 | 7 | 13:18 | 21 |
| მალაგა | 16 | 5 | 5 | 6 | 20:20 | 20 |
| ლას პალმასი | 16 | 5 | 5 | 6 | 20:21 | 20 |
| ლორკა | 16 | 4 | 6 | 6 | 13:20 | 18 |
| პონფერადინა | 16 | 4 | 5 | 7 | 16:19 | 17 |
| ელჩე | 16 | 4 | 5 | 7 | 18:22 | 17 |
| ვეცინდარიო | 16 | 3 | 2 | 11 | 13:29 | 11 |

ბილბაოში, მასპინძლებმა და უელველებმა თითო ავტოგოლი გაცვალეს, საბოლოოდ კი ბასკებმა მეტოქეზე ორჯერ მეტი გაიტანეს.

დიეგო ფორლანმა ვიგოდან ქულა წაალებინა „ვილიარეალს“, ისევე როგორც, ხეტაფეში ხუანიტომ გადაურჩინა ბოლო წუთებზე ქულა „ბეტისს“.

**ქოტე ქექელია**



გიო ახვლედიანის
უცხოეთის ფეხბურთის
სვეტი

## პუშკაშის დღე

შაბათს ბუდაპეშტში ფერენც პუშკაში დაკრძალეს.

დიდი ფეხბურთელი კარგა ხნის წინ გარდაიცვალა, მაგრამ ჯერ მადრიდში გადაასვენეს და მერეღა მოასვენეს უკან, სამშობლოში.

მადრიდში მის პანაშვიდს ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. სამარცხვინოდ ცოტამ ისურვა „რეალის“ დიად ფეხბურთელთან გამოთხოვება. მთავარი ფიგურა იმ პანაშვიდზე, რა თქმა უნდა, ხელჯოხიანი მოხუცი ალფრედო დი სტეფანო იყო.

ერთხელ გამოკითხვა ჩატარდა და საინტერნეტო ხალხმა „მანჩესტერის“ საუკეთესო ფეხბურთელად დევიდ ბექემი დაასახელა.

არ ვიცი, მადრიდის მოინტერნეტეები ვის დაასახელებენ კლუბის საუკეთესო ფეხბურთელად.

სხვა დროა, სხვა ფეხბურთი, სხვა ხალხი.

ზოგს შავ-თეთრი კადრების ყურებაც ღლის და იკითხავს ხოლმე, კი ატყუებს ეს სივორი ამ მცველებს, მაგრამ ფეხს რატომ არ აგლიჯავენ, ახლა ასე ვის მოატყუებო.

ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა.

გენიოსების ნაკლებობა ყველაფერში აშკარაა და ასეა ფეხბურთშიც.

ფერენც პუშკაში გენიოსი იყო, იმ თავის ცაციათი.

საბჭოთა წიგნებში აღწერილ უცხოურ ამბებში მისი ხსენება მხოლოდ „რეალის“ შემადგენლობის სიაში შეიძლებოდა. იმიტომ, რომ საბჭოთა უნგრეთიდან გაიქცა და ფეხბურთისთვის ბევრმა ახალი და დიდი ფეხბურთი მადრიდში განაგრძო. ეწერა... დი სტეფანო, ხენტო, პუშკაში და მეტი არაფერი. იცოდი, ის პუშკაში იყო. ინგლისისა და მსოფლიოს ვარსკვლავთა მატჩის რეპორტაჟისას საბჭოთა ტელეკომენტატორები მხოლოდ ათი ვარსკვლავის გვარს ამბობდნენ, წიგნში კი ეწერა, სამშობლოს გამყიდველი პუშკაში მადრიდში სასისკის ცეხს უძღვება და ასე ცხოვრობსო.

სასისკის ცეხი... ჰმ.

ფერენც პუშკაში.

დიდი ფეხბურთის ჯადოქართა ეპოქის მევიოლინე.

მიცვალებულს ბრიგადის გენერლის წოდება მიანიჭეს.

სიმბოლური წოდებაა, თუმცა, ფეხბურთში ის მარშალი იყო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge